www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 12 თებერვალი, 2009 წელი. №30 (2068) | ფასი 50 თეთრი

"კადიმა" და "ლიკუდი" - არჩევნებში გამარჯვებულნი

A8



ბრძოლა "იმედისათვის"

A9



მოგონილი პენალტით წაგებული თამაში

A16



# ტალიავინის მისია

## გამოძიება ისტორიული ასპექტებით

დათო გამისონია

*ევროკავშირის ეგიდით შექმნილი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინი გუშინ თბილისში ქართული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. ტალიავინი მუშაობის დაწყებას ინფორმაციის დაფარვით არ აპირებს. მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით არ აქვს სათანადო რაოდენობის მასალები. ევროკავშირის ასეთი საგამოძიებო მისია ერთადერთია და მის მიერ მომზადებულ დასკვნას გარკვეულწილად პრევენციის ფუნქცია სხვა კონფლიქტების შემთხვევებშიც ექნება. ტალიავინის კომისიის სათავო ოფისი ჟენევაშია და ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღწერაზე მუშაობს. "უზარმაზარი სამუშაოა და მას დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით," - აღნიშნა ჰაიდი ტალიავინმა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო

# უშედეგო დიალოგი

მარიკა იაშვილი

ევროპის უსაფრთხოების ახლებური სისტემა და რეგიონული პრობლემები, მათ შორის კავკასიაში არსებული ვითარება, - ასეთია ის ძირითადი თემები, რომლებიც ევროკავშირის "ტროიკასა" და რუსეთს შორის მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრისას ევროკავშირის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა, ევროკომისარი საგარეო ურთიერთობებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ შვარცენბერგი. მოლაპარაკებებს მოგვიანებით შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტიც შეუერთდა, რომელსაც ორგანიზაციის თავმჯდომარეობა წლის მეორე ნახევარში გადაეცემა.

ნოემბერში ნიცაში ჩატარებული რუსეთ-ევროკავშირის სამიტის შემდეგ მოსკოვის მოლაპარაკებები მხარეებს შორის უმაღლეს დონეზე გამართული პირველი შეხვედრაა.

შეხვედრის დაწყების წინ ხავიერ სოლანამ აღნიშნა, რომ კავკასიაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მოლაპარაკებებმა განსხვავებულ ატმოსფეროში ჩაიარა.

**"გასული წლის სექტემბერში ევროკავშირის ლიდერებმა საქართველოში არსებული კონფლიქტისადმი თავისი დამოკიდებულება იმით გამოხატეს, რომ მომავალი ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებები გადადეს,"** - განაცხადა სოლანამ.

სოლანას განმარტებით, დიალოგის განახლებისას ევროკავშირი იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ **"მოლაპარაკებები სანქციებზე უკეთესია, რადგან ისინი ახალი სიგნალების გადაცემისა და საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას იძლევა."**

რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის შეთავაზების კომენტარისას, რომელიც ევროპის უსაფრთხოების სისტემის რეფორმას ეხება, სოლანამ აღიარა, რომ **"არსებული სტრუქტურა სრულყოფილი არ არის. ის გადახედვასა და განახლებას საჭიროებს."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# "პოლიტიკური ფასი" გაეროში

*საქართველოში გაერო-ს მისიის ყოფნის საკითხი კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. უშიშროების საბჭოში გამართულმა კონსულტაციებმა შედეგი ვერ გამოიღო - საბჭოს წევრებმა მისიის სტატუსისა და სახელწოდების საკითხებზე კომპრომისს ვერ მიაღწიეს. რუსეთი კვლავ აფხაზეთის "დამოუკიდებელი" სტატუსის გათვალისწინებას ითხოვს.*

დიმიტრი ავალიანი

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ რეგიონში არსებული სიტუაციის შესახებ მოხსენება წარადგინა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში სიტუაცია კვლავ დაძაბულია.

უშიშროების საბჭომ გაერო-ს მისიის მანდატის საკითხიც განიხილა. როგორც სხდომის შემდეგ უშიშროების საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ, იაპონიის ელჩმა იუკიო ტაკასუმ განაცხადა, **"მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, კონფლიქტის ზონაში კვლავ ირღვევა ადამიანის უფლებები."**

**"სხდომაზე ასევე განვიხილეთ ის ფაქტი, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონაში ბრუნდებიან. ვფიქრობთ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, დამატებითი სხდომის ჩატარება იქნება საჭირო,"** - განაცხადა ტაკასუმ.

საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატი 15 თებერვალს იწურება. ტაკასუმ იმედი გამოთქვა, რომ რეზოლუციას მანდატის გაგრძელების შესახებ ამ კვირაში მიიღებენ. მისი თქმით, რეზოლუციის პროექტზე ამჟამად "სახელმწიფოთა ჯგუფი" მუშაობს.

მან ასევე დაადასტურა, რომ რუსეთი რეზოლუციაში "ახალი რეალიების" გათვალისწინებას მოითხოვს. ტაკასუს თქმით, მან ჯერ არ იცის, **"როგორ აისახება რეზოლუციაში ეს პოზიცია."**

ახალი რეალიები, რუსული გაგებით, აფხაზეთის "დამოუკიდებელი" სტატუსია. შესაბამისად, მოსკოვი მისი სახელწოდების შეცვლას მოითხოვს.

**"საქართველოში გაერო-ს მისიის სახელწოდება უკვე შეცვლილია, რადგან უშიშროების საბჭოს მიერ გასული წლის ოქტომბერში მიღებული რეზოლუციის თანახმად, მას, უბრალოდ, "გაეროს მისია" ეწოდება,"** - განაცხადა რუსეთის ელჩმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა. მისი თქმით, რუსეთს მისიის სახელწოდების შესახებ საკუთარი წინადადებები აქვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზი სეპარატისტები მდინარე ენგურის მთელს პერიმეტრზე საკონტროლო პუნქტების განთავსებას აპირებენ, - ამის შესახებ ბაგაფშის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსაბჭოს კომისარ თომას ჰამერბერგთან შეხვედრისას განაცხადა. **მედიანიუსი**

**თბილისი.** გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში მინისტრი ბარონესა ენ ტეილორი მიიღო. მხარეებმა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ორმხრივი ურთიერთობების შესახებ ისაუბრეს. **მედიანიუსი**

### "კონსერვატიული პარტია" მეორე არხს ითხოვს

"კონსერვატიული პარტია" მოითხოვს, ხელისუფლებამ ოპოზიციას მეორე არხის ეთერი რეორგანიზაციამდე დაუთმოს, - ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ძიძიგურის თქმით, ხელისუფლება აცხადებს, რომ არხის რეორგანიზაციისთვის ფინანსები არ არსებობს და ამიტომ ოპოზიციისთვის მისი დათმობა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

"ხელისუფლებამ მორიგ ტყუილს მიმართა, როცა განაცხადა, რომ მზადაა, მეორე არხი ოპოზიციას დაუთმოს. მათი თქმით, ამ ეტაპზე ფინანსები არ არსებობს, რის გამოც არხის რეორგანიზაცია ვერ ხერხდება. ჩვენ ვთხოვთ ხელისუფლებას, არხი გადმოგვცეს იმ მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფება. ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შევძლებთ არხის გამართვას," - განაცხადა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, უახლოეს დღეებში ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან გამართავენ შეხვედრას, სადაც მეორე არხის საკითხს განიხილავენ.

"თუ მეორე არხით პარლამენტის სხდომების პირდაპირ ეთერში გადაცემა შესაძლებელია, პრესკონფერენციების გადაცემაც მოხერხდება, ამიტომ მოვითხოვთ, არხი რაც შეიძლება მალე გადმოგვეცეს. თუ ხელისუფლებას მართლაც არა აქვს სახსრები, ქვეყანაში სარეზერვო ფონდები არსებობს და იქიდან მოხდეს არხის დაფინანსება," - განაცხადა ძიძიგურმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი საცხოვრებელი ბინიდან გამოასახლეს

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ საჯაია წყნეთში მდებარე საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან გამოასახლეს.

საჯაიას უცნობმა პირებმა სახლის დაცლა გუშინ დილით მოსთხოვეს. სახლი წყნეთში, თამარ მეფის ქ.54 მდებარეობს. ადგილზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია, ასევე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ.

როგორც მჟავიამ განაცხადა, განხორციელებული ქმედებები უკანონოა და ეწინააღმდეგება ხელისუფლების ინიციატივას დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის დაკანონების შესახებ.

"ეს ქმედებები საკმაოდ დაუფიქრებელია მაშინ, როდესაც მიმდინარეობს აბსოლუტურად საშური ღონისძიებები დევნილების საცხოვრებლების დაკანონებისთვის. აღნიშნული ქმედება დაუპირისპირდება ამ ღონისძიებებს. ხელისუფლება უნდა გაერკვეს, რას აკეთებს. ამჟამად მიმდინარეობს ფაქტის სიღრმისეული შესწავლა," - განაცხადა თემურ მჟავიამ. **მედიანიუსი**

**გაზეთი "24 საათი" მწუხარებას გამოთქვამს მწერალ ნუგზარ შატაიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.**



გარდაიცვალა მწერალი

**ნუგზარ შატაიძე**

პანაშვიდი: 12, 13 იანვარს 4 საათზე.
გამოსვენება: 14 იანვარს 2 საათზე
მისამართი: თბილისი,
ოქროყანის ქუჩა №17

# "პოლიტიკური ფასი" გაერო-ში

პირველი გვერდიდან

**"ვნახოთ, რით დასრულდება განხილვა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გაერო-ს ყოფნა აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე გაგრძელდება,"** - აღნიშნა ჩურკინმა.

ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ პარტნიორი ქვეყნები რუსეთს დაარწმუნებენ, მისიის მანდატის გაგრძელებას ვეტო არ დაადოს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებით, თბილისი მხარს დაუჭერს მისიის ვადის თუნდაც ოთხი თვით ტექნიკურ გაგრძელებას.

თემურ იაკობაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთს შეუძლია, მანდატის გაგრძელებას ვეტო დაადოს, თუმცა **"ყველაფერს თავისი პოლიტიკური ფასი აქვს."**

მოხსენებაში, რომელიც გაერო-ს გენერალურმა მდივანმა გასულ კვირას გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების და მოსკოვის ხელშეკრულებიდან საქართველოს გამოსვლის შემდეგ, პირობები, რომელშიც გაერო-ს მისიას მუშაობა უხდება, გაუარესდა.

გენერალურმა მდივანმა ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის ზონაში გახშირებულ ინციდენტებზე, ასევე იმაზე, რომ რუსულმა ძალებმა ახალი პოზიციების გამაგრება დაიწყეს.

ბან კი მუნის წინადადებით აფხაზეთში გაერო-ს მისიის არსებული სტრუქტურისა და რიცხოვნობის შენარჩუნების შესახებ ფუნქციები უნდა "დაზუსტდეს". გაერო-ს გენერალური მდივანი ასევე გამოვიდა კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების დროებითი რეჟიმის დაწესების ინიციატივით, რომელიც ორივე მხარისთვის მძიმე შეიარაღების შეზღუდვას გულისხმობს.

საკუთარი წინადადებები ქართულ მხარესაც აქვს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, საქართველო აფხაზეთის დემილიტარიზებულ ზონად გამოცხადებას და რეგიონში საერთაშორისო პოლიციური ძალების განლაგებას მოითხოვს.

# ნიდერლანდების მხარდაჭერა



AFP ' 2009

გუშინ, 12 თებერვალს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველ კოლეგას შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე მაქსიმ ვერჰაგენმა განაცხადა, რომ ნიდერლანდების სამეფო არის ერთგული საქართველოს ერთიანობისა და სუვერენიტეტის. ნიდერლანდები კვლავ დარჩება საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ დონორად და დაეხმარება ქვეყანას აიცილოს ის საფრთხეები, რომლებიც ახლავს ომის შემდგომ პერიოდს. ნიდერლანდების სამეფოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეუთოსა და ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფებს აუცილებლად უნდა მიეცეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალება. უფრო მეტიც, ნიდერლანდების სამეფო გამოდის ინიციატივით, რომ უშიშროების საბჭოს ფარგლებში აღდგეს გაეროს მონიტორინგის ჯგუფები. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ კველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა დაიშალოს უკანონო სამხედრო შენაერთები სეპარატისტების ტერიტორიაზე, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სიმშვიდის შენარჩუნებას. დიპლომატი ასევე დიდ იმედებს ამყარებს ჟენევის მოლაპარაკებაზე და იმედოვნებს, რომ ასეთი მოლაპარაკებები ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს შორის მდგომარეობის განმუხტვას.

*24 საათი*

# ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადება

ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად ქართული შეიარაღებული ძალების კონცენტრაციასთან დაკავშირებული ბრალდებების შედეგად, გუშინ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საპატრულო ჯგუფებმა, სამხერთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მახლობლად, ყველა ძირითადი ქართული სამხედრო პუნქტის დათვალიერება განახორციელეს.

არსებული მტკიცებულებების დეტალური შეფასების შედეგად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დაასკვნა, რომ ადგილი არ აქვს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის დარღვევას და ქართული შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას. ყველა სამხედრო თანამშრომელი თავის ჩვეულ ფუნქციას ახორციელებდა.

ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობების საფუძველზე ჩვენ გავაგრძელებთ სიტუაციის ყურადღებით მონიტორინგს. ასევე მოხარული ვიქნებით დავათვალიეროთ იმ ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების ნამსხვრევები, რომლებიც ცნობების მიხედვით ცხინვალში იქნა ნაპოვნი თუ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება მოცემულის განსახორციელებლად ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას მოგვცემს.

# ვიდეოხიდი თბილისი-მოსკოვი

"რუსეთი-საქართველო. ვჭირდებით თუ არა ჩვენ ერთმანეთს?"- 11 თებერვალს, საერთაშორისო პრესცენტრ "რია ნოვოსტიში" ამ სახელწოდებით შედგა ვიდეოხიდი თბილისი-მოსკოვი.

ვიდეოხიდის ჩატარების ინიციატორი იყო სტრატეგიული განვითარების მოდელირების ცენტრი. ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. მათ შეაფასეს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის პერსპექტივა და მდგომარეობა, მისი ემოციური სიბრტყიდან კონსტრუქციულ რეჟიმში გადაყვანის გზები და საშუალებები. ყურადღება გაამახვილეს ორ ქვეყანას შორის კრიზისის აღმოფხვრის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობაზე. ორივე მხრიდან გამოითქვა სურვილი სისტემატურად გაგრძელდეს კონსულტაციები.

მსგავსი ვიდეოხიდები მოსკოვსა და თბილისს შორის ახლო მომავალში კვლავ იგეგმება.

*24 საათი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ტალიავინის მისია

პირველი გვერდიდან

ამჟამად თბილისში ვიზიტად მყოფი მისიის შემადგენლობაში, შვეიცარიელ დიპლომატ ჰაიდი ტალიავინისა და მისი ორი მოადგილის გარდა, ხუთი სამხედრო და სამართლის ექსპერტი შედის. მათ საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობების პირებთან გამართეს შეხვედრები. ექსპერტებმა განიხილეს კომისიის მომავალი სამუშაო გეგმები, ასევე, ისაუბრეს საქართველოს კონფლიქტური ზონების მიმდებარე ტერიტორიებთან უსაფრთხოების დასაცავად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

კომისიის შემადგენლობაში არიან გენერალი გილეს გალეტი საფრანგეთიდან; 2004-2007 წლებში შვეიცარიის შეიარაღებული ძალების მეთაური, გენერალი ქრისტოფ კეკაისი; ჰამბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინსტიტუტის პროფესორი ოტო ლუხტერჰანდტი და ბაზელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი ენ პეტერსი.

საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთი წევრია პოლკოვნიკი კრისტოფერ ლანგტონი. მან 32 წლის განმავლობაში იმსახურა ბრიტანულ არმიაში. გარდა ამისა, ლანგტონი საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიაშიც მსახურობდა. 2008 წლის აგვისტოში პოლკოვნიკმა ლანგტონმა გამოაქვეყნა სტატია რუსეთ-საქართველოს ომზე, სათაურით - **"საქართველოს ოცნება დაიმსხვრა, მაგრამ ამაში მან მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს."**

**"ამ დრამის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ მართალია. საქართველომ არაპროპორციულად და არაშესაბამისად იმოქმედა და ახლა უარეს დღეში იმყოფება, ვიდრე ომამდე იყო... თავის მხრივ, რუსეთმა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორია დაიპყრო და არაპროპორციული და ზოგ შემთხვევაში განურჩეველი ძალა გამოიყენა, კერძოდ - საჰაერო ძალა,"** - წერდა პოლკოვნიკი ლანგტონი აგვისტოს ომის შემდეგ.

ასეთი პათოსის სტატიის გამოქვეყნების გამო საქართველოს მთავრობას ეჭვი შეაქვს კომისიის ზოგი წევრის ობიექტურობაში. **"დელეგაციაში არის ხალხი, რომელთა კომისიაში ყოფნის საკითხს საქართველოს ხელმძღვანელობა ძალიან სერიოზულად დააყენებს ჯგუფის ხელმძღვანელობის წინაშე. თუკი ისინი დასკვნების გამოტანისას შეცდნენ, ეს უნდა აღიარონ ან მათ ნაცვლად ალტერნატიული კანდიდატები უნდა შეირჩნენ. საინტერესოა - ასეთი ადამიანების კომისიაში ყოფნა უნებლიე შეცდომაა თუ განზრახ დაგეგმილი ნაბიჯი?"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, გულისხმობდა თუ არა მათ შორის პოლკოვნიკ ლანგტონსაც.

გუშინ, ქართულ მედიასთან შეხვედრისას, საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა განმარტა, თუ როგორი წესით დაკომპლექტდა მისიის შემადგენლობა. ტალიავინის თქმით, კომისია იქნება მიუკერძოებელი და ეს იმთავითვე იყო გათვალისწინებული. საგანგებოდ ითქვა უარი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ შემოთავაზებული კანდიდატურებით კომისიის დაკომპლექტებაზე.

ევროკავშირმა ნდობა გამოუცხადა ჰაიდი ტალიავინს და ის ექსპერტების შერჩევაში სრულიად თავისუფალია. კომისიის თავმჯდომარე ნეიტრალური ქვეყნის - შვეიცარიის მოქალაქეა. ევროკავშირის კომისია თანამშრომლობას აპირებს ყველა მხარესთან, მათ შორის მარიონეტულ რეჟიმებთან. მნიშვნელოვანია ცხინვალსა და სოხუმში ჩასვლა. **"იმ შემთხვევაში, თუ მისიას უშუალოდ კონფლიქტის ზონაში მუშაობის საშუალება არ მისცეს, სამწუხარო იქნება, მაგრამ მომზადებულ დოკუმენტში ასეთი დამოკიდებულებაც აისახება, რაც თავისთავად გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა,"** - აღნიშნა ტალიავინმა.

კომისიის მუშაობის პრინციპები ევროკავშირის მიერ არის გაწერილი - ომის დაწყების მიზეზების და მიმდინარეობის გამოძიება. მანდატი კონკრეტულად არის განსაზღვრული - ფაქტების დამდგენი მისია. ტალიავინმა ქართულ მედიას განუმარტა, რომ **"კომისიაში არიან მარიან სტაშევსკი, უვე შრამი და სხვა დამოუკიდებელი ექსპერტები, თუმცა ეს არ არის უცვლელი გუნდი და დროთა განმავლობაში შეიძლება მას ახალი წევრები დაემატონ. მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია ძალიან ცნობილი დიპლომატებითა და პოლიტიკოსებით. მათ შორის არის ჟან მარი კინო, რომელიც გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იყო."** გარდა ამისა, ტალიავინის ერთ-ერთი მრჩეველია გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი. საბოლოო ანგარიშს ჰაიდი ტალიავინი, უვე შრამი და მარიან სტაშევსკი დაწერენ. ჩატარებული სამუშაოს შედეგები საჯარო იქნება და ის საქართველოს, რუსეთს, გაერო-სა და ევროკავშირს გადაეცემა. ამით შემოიფარგლება ტალიავინის კომისიის ფუნქციები. ხოლო ანგარიშში ასახული შედეგებიდან გამომდინარე, ევროგაერთიანება შემდგომი მოქმედებების შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას.

ევროკავშირის კომისიას საქართველოს ხელისუფლებამ მისცა რეკომენდაცია, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესწავლა 1990-იანი წლებიდან დაიწყოს. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწოდება ამ საკითხში ემთხვევა საქართველოს მთავრობის პოზიციას. კერძოდ, რუსეთის საგარეო უწყება ითხოვს **"მომხდარის მიზეზებზე ობიექტური პოზიციის შემუშავებას და 90-იანი წლების დასაწყისიდან მოვლენათა ზუსტი თანმიმდევრობის დადგენას."**

ამ საკითხზე ჰაიდი ტალიავინმა ქართველ ჟურნალისტებს დიპლომატიური პასუხი გასცა. **"საგამოძიებო მისია კონფლიქტის მიზეზებისა და განვითარების ისტორიული ასპექტის გათვალისწინებას აპირებს,"** - აღნიშნა საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ.

# უშედეგო დიალოგი

პირველი გვერდიდან

თუმცა ისიც დაამატა, რომ ძირეული რეფორმების გატარების აუცილებლობა არ არსებობს და მნიშვნელოვანი გარდაქმნების საჭიროებას ვერ ხედავს.

მოლაპარაკებებზე კომენტარი გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მან ჟურნალისტების კითხვებს შეხვედრის შემდეგ გამართულ საგანგებო პრეს-კონფერენციაზე უპასუხა.

ლავროვის განცხადებით, მხარეებმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის შემუშავების თაობაზე დიალოგი კონსტრუქციული ფორმით მიმდინარეობს. **"მოსკოვს სასარგებლოდ მიაჩნია საქართველოში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გაერო-ს მისიის მუშაობა,** - განაცხადა ლავროვმა, - **თუმცა უშუალო გადაწყვეტილება, რასაკვირველია, მხოლოდ იმ მხარეებს ეკუთვნით, რომლებმაც საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ ტერიტორიაზე უნდა მიიღონ."**

ლავროვის მხრიდან ასეთ განცხადებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გათვალისწინებით, რომ გასულ წელს რუსეთმა დაბლოკა ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელება ე.წ. სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ტერიტორიაზე.


AFP' 2009
*სერგეი ლავროვი და ხავიერ სოლანა*

მოსკოვმა მოითხოვა, რომ მისიის მანდატი "დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსთან" შესაბამისობაში იყოს.

რაც შეეხება ევროსაბჭოს უმაღლეს წარმომადგენელს, სოლანას აზრით, ქართულ-რუსული კონფლიქტის ზონაში ვითარება **"დაურეგულირებელი რჩება და კვლავ ევროსტრუქტურების ყურადღების ცენტრშია."**

**"სანამ რუსულ-ქართული კონფლიქტი გაყინულია და ადგილზე არსებული სიტუაცია დაძაბული რჩება, ჩვენ, რასაკვირველია, მისი დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის გზები უნდა ვეძებოთ,"** - განაცხადა სოლანამ. **"ეუთო-სა და გაერო-ს მისიებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ადგილზე არსებულ ვითარებაში, ისევე როგორც ევროკავშირმა,"** - აღნიშნა მან.

ამავე დროს საქართველოსგან მოწყვეტილი მეორე რეგიონის - აფხაზეთის ხელისუფლებამ კონფლიქტის ზონაში გაერო-ს მანდატის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა.

ევროკავშირ-მოსკოვის მოლაპარაკებებზე მხარეებმა საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან თემებზეც ისაუბრეს, მათ შორის ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზე, ირანის ბირთვულ პროგრამასა და სომალის სანაპიროებთან მეკობრეობის პრობლემებზე.

## ეუთო-ს თავმჯდომარე ოსურ მხარეს ვითარების დაძაბვაში ადანაშაულებს

ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დორა ბაკოიანისის განცხადებით, 10 თებერვალს გორის რაიონიდან ეუთო-ს დამკვირვებლების გატაცებით ოსურმა მხარემ ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

ბაკოიანისის თქმით, 10 თებერვალს ეუთო-ს ორი ოფიცერი, რომლებიც პატრულირებას ახორციელებდნენ, ოსმა შეიარაღებულმა პირებმა სოფელ აძვის მახლობლად დააკავეს, სოფელ გოიათის განყოფილებაში გადაიყვანეს, დიპლომატთა მანქანები გაჩხრიკეს და ისინი მხოლოდ სამი საათის შემდეგ გაათავისუფლეს. ბაკოიანისის თქმით, ეუთო-ს დამკვირვებლებმა რეგიონში პატრულირება შეუზღუდავად უნდა განახორციელონ, მათი დაკავება დიპლომატიურ იმუნიტეტს არღვევს. **მედიანიუსი**

## ოსებმა ეუთო-ს დამკვირვებლების დატყვევება სცადეს

გუშინ ცხინვალის რეგიონის სოფელ არწევთან ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ბანდფორმირებების წევრებმა კვლავ სცადეს ეუთო-ს დამკვირვებლების დატყვევება. ეუთო-ს დამკვირვებლები არწევთან პატრულირებას ახორციელებდნენ. ოსური ფორმირების წევრებმა მათ გზა გადაუღობეს და მანქანის გაჩერება მოსთხოვეს. თუმცა, ეუთოს დამკვირვებლები ოსების მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და ქართული პოლიციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ. ცნობისათვის - 10 თებერვალს ოსებმა ეუთო-ს ორი დამკვირვებელი დაატყვევეს და ისინი სამსაათიანი ტყვეობის შემდეგ გაანთავისუფლეს. **მედიანიუსი**

## ინციდენტი ქვემო ნიქოზში

გუშინ, დაახლოებით, 13:40 საათზე, რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ქვემო ნიქოზის ტერიტორია დატოვეს. რუსი ოკუპანტები ქვემო ნიქოზის ტერიტორიაზე გუშინ 12:20 საათზე შევიდნენ. მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცტექნიკაც შეიყვანეს და საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის დაწყება სცადეს. ქართულ მხარეს კი განუცხადეს, თითქოს ე.წ. საზღვრის მოწყობის სამუშაოების ჩატარებას აპირებდნენ. ქართული მხარის მკაცრი პოზიციის გამო რუსებმა ქვემო ნიქოზი დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული აქციით რუსებმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება დაარღვიეს, ქვემო ნიქოზის საგუშაგოზე განლაგებულმა ქართველმა პოლიციელებმა მათ ცეცხლი არ გაუხსნეს. **მედიანიუსი**

## თომას ჰამარბერგი კოდორის ხეობაში ვერ ჩავიდა

ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვიზიტით მყოფმა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსაბჭოს კომისარმა თომას ჰამერბერგმა ზემო აფხაზეთის მონახულება ვერ შეძლო. ვიზიტის ჩაშლის მიზეზი უამინდობა გახდა, რადგან ვერტმფრენის დაშვება ვერ მოხერხდა.

ზემო აფხაზეთში თომას ჰამარბერგს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა უნდა შეესწავლა. **მედიანიუსი**

## საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ

სამშენებლო კომპანია "ნოლას" უმუშევრად დარჩენილმა თანამშრომლებმა და მშენებელთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა გუშინ საქართველოს პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს.

აქციას პოლიტიკური გაერთიანება "ქართული დასის" ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდო ბაღათურიაც შეუერთდა.

"ნოლას" წარმომადგენლებმა კუთვნილი ხელფასების მიღება და კომპანიისთვის ყადაღის მოხსნა მოითხოვეს. მათი განცხადებით, კომპანიის დაყადაღების გამო მათ მუშაობის საშუალება არ ეძლევათ. ამასთან, ზოგიერთ თანამშრომელს ცხრა-ათი თვის ხელფასი არ აუღია. აქციის მონაწილეთა თქმით, მათ არაერთი ობიექტი ააშენეს, რომელთა შორისაა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაზარალებული პირების კომპაქტურად ჩასახლების ობიექტები. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებისგან კომპანიის ფუნქციონირების აღდგენა მოითხოვეს.

როგორც ჯონდო ბაღათურიამ განაცხადა, "ნოლას" უმუშევრად დარჩენილ 1500 თანამშრომელს მალე ის ადამიანებიც შეუერთდებიან, რომლებიც სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებში არიან დასაქმებულნი.

ჯონდო ბაღათურიამ სამშენებლო კომისიების უმუშევრად დარჩენილ თანამშრომლებს საპროტესტო აქციების ჩატარებისკენ პარლამენტის 10 თებერვლის პლენარულ სხდომაზე მოუწოდა. **მედიანიუსი**

### ზუგდიდში მოსწავლეთა დოკუმენტირება მიმდინარეობს

მოსწავლეების რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის რაიონში პირადობის მოწმობები უკვე 5000-მდე მოსწავლემ მიიღო.

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის ტერიტორიული სამსახურის ინფორმაციით, ზუგდიდის რაიონის 30 სოფლის სკოლებში პირადობის მოწმობების გადაცემა დასრულდა, ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ ზუგდიდის სკოლების მოსწავლეების დოკუმენტირება.

უახლოეს დღეებში პირადობის მოწმობები ადგილზე გადაეცემათ ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის N1 საჯარო სკოლის 470 მოსწავლეს.

მოსწავლეთა რეგისტრაციის პროექტს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს.

აქციის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 14 წელს ზემოთ ყველა მოსწავლეზე გაიცემა, ხოლო 14 წლამდე ასაკის პირები მშობლის საცხოვრებელი მისამართის მიხედვით რეგისტრირდებიან და მათ პირადი ნომრები ენიჭებათ. 2008 წლის აპრილიდან 14 წლის ასაკიდან საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა აიღოს. მოწმობის აღება სურვილისამებრ შეუძლია ასევე 14 წლამდე ასაკის მოქალაქესაც.

სკოლებში მოსწავლეთა რეგისტრაციისას ასევე ფიქსირდება, რომელ სკოლაში და კლასში სწავლობს თითოეული მოსწავლე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ რეგისტრაციის შედეგად შექმნილ მონაცემთა ბაზაზე online-რეჟიმში წვდომის უფლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექნება. რეგისტრაცია უფასოა, ამ პროცესის დროს იქმნება სკოლის მოსწავლეთა ფოტოსურათიანი ბაზა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის თანამშრომლები სკოლებში ადგილზე მიდიან და პირადი ნომრის მისაღებად ბავშვებს აღარ უწევთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მისვლა.

სკოლებში მოსწავლეთა რეგისტრაციის პროცესის დასრულება მაისისთვის იგეგმება. **მედიანიუსი**

### დაკავება კაპიტოლიუმის შენობასთან

ტელეკომპანია CNN-ის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობასთან, შაშხანით შეიარაღებული მამაკაცი დააკავეს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას სახელზე გზავნილი ჰქონდა. როგორც პოლიციელებმა გაარკვიეს, 64 წლის ალფრედ ბროკი, რომელიც წარმოშობით ლუიზიანიდანაა, კაპიტოლიუმის შენობის ღობეს მიუახლოვდა და დაცვის თანამშრომლებს აცნობა, რომ ბარაკ ობამას რაღაც გზავნილი მიუტანა. საუბრისას ბროკმა ისიც აღნიშნა, რომ მას მანქანაში შაშხანა ჰქონდა. ამ აღიარების შემდეგ, ძალოვანებმა ბროკი დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ბროკის ავტომობილის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა არარეგისტრირებული შაშხანა და ტყვიები აღმოაჩინეს. პოლიციელებმა კაპიტოლიუმის მიმდებარე ტერიტორია გაჩხრიკეს, თუმცა რაიმე საეჭვო ნივთი არ უნახავთ. ალფრედ ბროკს ბრალად იარაღის და საბრძოლო მასალების უკანონო შენახვა წარუდგინეს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სამართალდამცველებმა ამერიკის 44-ე პრეზიდენტისადმი მტრულად განწყობილი პირი დააკავეს. დაახლოებით ერთი თვის წინ, ვისკონსისის მკვიდრი დააკავეს, რომელიც ბარაკ ობამას მოკვლით იმუქრებოდა, ხოლო 2008 წლის ოქტომბერში გახსნეს შეთქმულება, რომლის თანახმად, ტენისის მკვიდრი ორი ახალგაზრდა რასისტული შეხედულებების გამო ობამაზე თავდასხმას გეგმავდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განუთავსებლობის შემთხვევაში რუსეთი საპასუხო ზომებს არ მიიღებს

მოსკოვის მტკიცებით, აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გეგმაზე უარის თქმის შემთხვევაში რუსეთიც არ მიიღებს საპასუხო ზომებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა არ განთავსდება, რუსეთიც უარს იტყვის კალინინგრადის ოლქში "ისკანდერის" ტიპის რაკეტების ი განთავსებაზე. **"ისკანდერების" განთავსება, უბრალოდ, აბსოლუტურად აუცილებელი სამხედრო-ტექნიკური ნაბიჯია, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ მესამე ოპოზიციურ რაიონში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ფიზიკურად შეიქმნება. თუ იგი არ შეიქმნება, მაშინ რუსეთის ფედერაცია არანაირ საპასუხო ზომებს არ მიიღებს,"** - განაცხადა ლავროვმა. **პირველი**

# სტუმარი ეუთო-დან

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი იორან ლენმარკერი. მისი სტუმრობის პროგრამა საკმაოდ გადატვირთულია: გუშინ ლენმარკერმა შეხვედრები გამართა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილთან, დღის ბოლოს კი იგი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო.

სახელისუფლებო კაბინეტებში "გადარბენების" დაწყებამდე, იორან ლენმარკერი, ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელ ტერი ჰაკალასთან ერთად, კარალეთში გაემგზავრა და იქ მონიტორინგის მისიის ბაზა დაათვალიერა. გარდა ამისა, ლენმარკერი ეუთო-ს იმ წარმომადგენლებსაც შეხვდა, რომლებიც შეიარაღებულ ოს სეპარატისტებს ჰყავდათ გატაცებული.

კარალეთიდან თბილისში დაბრუნების წინ, ჟურნალისტებთან საუბრისას, სტუმარმა იმედი გამოთქვა, რომ ეუთო-ს მისია საქართველოში მუშაობას გააგრძელებს.

**"ჩემი მიზანი იყო, მენახა ეუთო-ს მისია. ძალიან ცუდია, რომ მისი უფლებამოსილების გაგრძელებას საფრთხე შეექმნა. ჩვენ გულმოდგინედ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ რუსებს აზრი შევაცვლევინოთ. ამ რეგიონში ეუთო-ს დამკვირვებლები მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ეს ტერიტორია საერთაშორისო დამკვირვებლების გარეშე არ უნდა დარჩეს. დამკვირვებლების გატაცების შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის უფლებების შელახვა დაუშვებლად მიმაჩნია,"** - აცხადებს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ნალბანდოვთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, ლენმარკერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეუთო-ს წარმომადგენლობა საქართველოში ძალიან კარგ საქმეს აკეთებს და ამ მისიის შეჩერება შეცდომა იქნება. მისივე თქმით, ძალიან მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ ეუთო-ს მისია მუშაობას გააგრძელებს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ კი ლენმარკერმა დევნილების შესახებ გააკეთა კომენტარი.

**"კონფლიქტის ზონაში დამკვირვებლების ყოფნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. თუ დაზარალებულებს სურთ, რომ საკუთარ სახლებში დაბრუნდნენ, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების გარანტიები, სხვა შემთხვევაში - დაბრუნება გაუჭირდებათ. დევნილებს აქვთ სრული უფლება, დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს და მათ ამაში ხელი არავინ უნდა შეუშალოს,"** - აღნიშნავს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი.

იორან ლენმარკერის ვიზიტს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ.

**"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პერმანენტული პროვოკაციების პერიოდში ასეთი მაღალი დონის დელეგაცია ჩამოდის. მიზანშეწონილია, რომ საქმის კურსში იყვნენ არა მხოლოდ დამკვირვებლები, არამედ ამ ორგანიზაციის პოლიტიკური ხელმძღვანელებიც. ჩვენ მათ დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ ადმინისტრაციულ საზღვრებთან მიმდინარე მოვლენებზე"** - აცხადებს თემურ იაკობაშვილი.

გუშინდელისგან განსხვავებით, დღევანდელ დღეს სტუმარი თითქმის მთლიანად ოპოზიციას "მოახმარს". იორან ლენმარკერი შეხვდება გაერო-ში ყოფილ ელჩ ირაკლი ალასანიას, შემდეგ პარტია "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს და ბოლოს საპარლამენტო ოპოზიციას.

იორან ლენმარკერი ხვალ თბილისიდან ბაქოში გაემგზავრება.

*საკუთარი ინფორმაცია*

# მედვედევის განკარგულება - სუვერენული საქართველოს საქმეებში ჩარევა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დავით დარჩიაშვილის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანება, რომელიც სამხედრო-ტექნიკურ სფეროში საქართველოს მოქმედებებზე მეთვალყურეობის დაწესებას გულისხმობს, სუვერენული საქართველოს საქმეებში მორიგი ჩარევაა.

"რუსეთი კვლავ უხეშად ერევა საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის საქმიანობაში. ჩვენ რუსეთს ყველანაირად გავუწევთ წინააღმდეგობას, ისე როგორც ვენის დოკუმენტის თანახმად სამხედრო ინსპექტირებას შევუშალეთ ხელი," - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ომს აგრძელებს და გამარჯვება საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით მიიღწევა.

ცნობისათვის - რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა საქართველოს მოქმედებებზე სამხედრო-ტექნიკურ სფეროში მკაცრი მეთვალყურეობის დაწესება მოითხოვა. მედვედევმა ეს მოთხოვნა გუშინ რუსეთის ფედერაციის უცხო ქვეყნებთან სამხედრო ტექნიკური თანამშრომლობის საკითხების კომისიის სხდომაზე გაახმოვანა და საქართველოზე მკაცრი მეთვალყურეობა სწორედ ამ კომისიის წევრებს დაავალა.

მედვედევმა ასევე განაცხადა, რომ მის მიერ ხელმოწერილი კანონი "საქართველოსთვის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ" აუცილებლად მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

ამ საკითხზე გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემაც გააკეთა კომენტარი. იგი სასაცილოს უწოდებს რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ახალ განკარგულებას იარაღის შესყიდვაზე კონტროლის გამკაცრების შესახებ.

ვაშაძის განცხადებით, მედვედევი ამაზე იმიტომ ლაპარაკობს, რომ მის გარდა ეს თემა არავის აინტერესებს. ვაშაძის განცხადებით, საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთთან აღარანაირი სამხედრო თანამშრომლობა აღარ აკავშირებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "წმენდა" სერბეთის სამინისტროებში

მარიკა იაშვილი

20-ზე მეტი დაპატიმრებული ჩინოვნიკი - ასეთია წმენდის შედეგი, რომელიც სერბეთის ხელისუფლებამ სამინისტროებში ჩაატარა.

სერბეთის პოლიციამ, ქვეყნის სპეცსამსახურებთან ერთად, დანაშაულებრივ დაჯგუფებათა წევრები დააკავა. მათ შორის რამდენიმე მაღალი რანგის თანამდებობის პირიც.

სერბეთის ვიცე-პრემიერ და შინაგან საქმეთა მინისტრ ივიცა დაჩიჩის ცნობით, სპეცოპერაციის შედეგად 24 ადამიანია დაპატიმრებული. მათ შორის თავდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლები და ვაჭრობის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლებიც არიან.

მხოლოდ თავდაცვის სამინისტროდან პოლიციამ 17 ადამიანი დააკავა. მათ თაღლითობაში, გაფლანგვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში ედებათ ბრალი. ჩინოვნიკები ქვეყნის შეიარაღებული ძალების კუთვნილი საცხოვრებელი ფართების შესახებ დოკუმენტაციისა და იუგოსლავიის ომში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთების გაყალბებაში არიან ეჭვმიტანილნი. ამ მოწმობების დახმარებით, ომის მონაწილეები სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებებს იღებენ.



სერბეთის ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი ივიცა დაჩიჩი

**"ორი ეჭვმიტანილი ბელგრადის სამხედრო ჰოსპიტალის პოლკოვნიკია, კიდევ ერთი არმიის გადამდგარი კაპიტანი. სწორედ ეს კაპიტანი ხელმძღვანელობდა თაღლითთა მოქმედებებს,"** - შეატყობინა ჟურნალისტებს პოლიციის თანამშრომელმა, რომელმაც ანონიმურობის დაცვა ისურვა.

დაჩიჩმა აღნიშნა, რომ დაკავებები სახელმწიფო სტრუქტურებში არსებულ კონრუფციასთან ბრძოლის ფარგლებში ჩატარდა. თუ დაპატიმრებულ ჩინოვნიკებს ბრალი დაუმტკიცდებათ, მათ ციხეში 15 წლის გატარება მოუხდებათ. დაჩიჩის განაცხადებით, შინაგან საქმეთა ორგანოები ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც გააგრძელებენ.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლით და ქვეყანაში წესრიგის დამყარებით ბელგრადი ცდილობს, ევროკავშირს მიუახლოვდეს. ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სერბეთი ევროკავშირის წევრობაზე განცხადების შეტანას აპირებს და ამას უახლოესი 6 თვის განმავლობაში გააკეთებს. სერბეთის ვიცე-პრემიერის ევროინტეგრაციის საკითხებში ბოჟიდარ დაილიტის აზრით, ქვეყანა ევროკავშირში შესასვლელად ტექნიკურად 2012 წლისთვის იქნება მზად.

ჩეხეთი, რომელიც ევროკავშირს ამ მომენტისთვის ხელმძღვანელობს, ორგანიზაციაში სერბეთის გაწევრიანების წინააღმდეგი არ არის. პრაღელმა კოლეგამ ალექსანდრ ვოლდრამ, რომელიც ჩეხეთის ხელისუფლებაში ევროკავშირთან ურთიერთობებს კურირებს, დაილიტს განუცხადა, რომ ბელგრადის გეგმებს მხარს დაუჭერს. თუმცა სერბეთის ვიცე-პრემიერს მიაჩნია, რომ ევროკავშირში მისი ქვეყნის მიღების რეალური თარიღი მომდევნო ათწლეულის შუა პერიოდია.

# დეპუტატის შეკითხვა პრეზიდენტს

*პარლამენტში ვიზიტისას პრეზიდენტთვის შეკითხვის დასმის შესაძლებლობის შემთხვევაში, დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე აპირებს პრეზიდენტს შეკითხვა დაუსვას, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით მსჯავრდებულების ციხიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.*

როგორც დეპუტატი აცხადებს, მას სურს, პირადად სააკაშვილისგან მოისმინოს, კონკრეტულად ვინ მისცა პრეზიდენტს იმ პატიმართა სია, რომელთა საქმეები შეწყალების კომისიას საერთოდ არ განუხილავს.

საუბარია შეწყალების აქტზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დეკემბრის ბოლოს გამოსცა და 1286 მსჯავრდებული შეიწყალა.

დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის განმარტებით, ციხიდან მხოლოდ სამოხელეო დანაშაულის ჩამდენი პირები უნდა გამოსულიყვნენ, თუმცა მათ შორის ისეთი პატიმრებიც აღმოჩნდნენ, რომელთა შესახებაც შეწყალების კომისიას საერთოდ არ უმსჯელია.

დეპუტატის განცხადებით, აღსანიშნავია, რომ დეკემბერში შეწყალებულთა შორის იყვნენ განსაკურებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის გამო მსჯავრებულები, მათ შორის - ნარკორეალიზატორები, ქურდობის, ყაჩაღობის და მკვლელობის გამო გასამართებულები.

**"შეწყალების კომისიის გვერდის ავლით ციხიდან ასეთი დანაშაულის ჩამდენი ორ ათეულზე მეტი მსჯავრდებული გამოვიდა. მსურს, მიხეილ სააკაშვილმა განმარტოს, ვინ შეუტანა მას ხელმოსაწერად ამ ადამიანთა სია და კონკრეტულად ვინ სთხოვა მას, 2008 წლის დეკემბერის თვეში ციხიდან გამოეშვა მსჯავრდებული, რომელსაც 16-წლიანი პატიმრობა 2008 წლის თებერვალში შეუფარდეს,"** - განუცხადა სააგენტო "პირველს" დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუტატი ასევე შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის პასუხისმგებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ შეწყალების წესის გამოყენების დებულების თანახმად, იგი ვალდებულია, პასუხი გასცეს შეკითხვას - რა მოხდა ამ შემთხვევაში.

დეპუტატი საუბრობს, 18-19 დეკემბერს ჩატარებულ ოპერაციაზე, როდესაც დააკავეს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები - შოთა მაცაბერიძე, გელა გიგაშვილი, კობა თორაძე და შეწყალების კომისიის კანცელარიის უფროსი ოთარ ხურციძე, რომლებმაც

პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, პატიმარს, რომელიც პრეზიდენტის შეწყალების აქტით გათავისუფლდა, 10 000 აშშ დოლარი მოსთხოვეს. მაშინ შეწყალების კომისიის წევრებმა და ელენე თვდორაძემაც განაცადეს, რომ 1286 მსჯავრდებული პრეზიდენტმა ისე შეიწყალა, რომ მათი საქმეები კომისიას არ განუხილავს. შეწყალების კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ მათთვის უცნობია, რა გზით სძალავდა პატიმრებს ფულს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ხურციძე.

*საკუთარი ინფორმაცია*

*სასამართლო დარბაზი*

# სასამართლომ პატიმარი გაათავისუფლა

*მოსამართლის გადაწყვეტილება მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულ ი. ე-ს პირადად არ მოუსმენია, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებას იგი გუშინვე დატოვებდა.*

11 თებერვალს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულის სასარგებლოდ შეცვალა და პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა.

საქმის ფაბულის მიხედვით, ი. ე-ს., რომელიც სამედიცინოგამაჯანსაღებელ ცენტრში, მასაჟისტად მუშაობდა, ყოფილი პაციენტის სახლში აყვანა და მისი მოკვლის მცდელობა ედებოდა ბრალად. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, ი.ე-მ გასროლის შემდეგ თავად გამოუძახა სასწრაფო დახმარებას და ყველაფერი გააკეთა დაჭრილი ქალბატონის გადასარჩენად. პირველი ინსტანციის სასამართლომ განსასჯელი მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით გაასამართლა, დამნაშავედ ცნო და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განაჩენი მსჯავრდებულის ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც მისთვის წაყენებული ბრალდება - მკვლელობის მცდელობის ნაწილში - გადაკვალიფიცირდა და ახალი ბრალდებით - სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებით შეიცვალა. სასჯელის ზომად კი სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

განაჩენი მხარეებმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. მსჯავრდებულის ადვოკატი უზენაეს სასამართლოს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მისი დაცვის ქვეშ მყოფის ქმედების 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) დაკვალიფიცირებას თხოვდა. ადვოკატის განცხადებით, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არა განზრახვით, არამედ მხოლოდ გაუფრთხილებლობით იყო გამოწვეული.

უზენაესმა სასამართლომ გუშინდელ სხდომაზე დააკმაყოფილა მსჯავრდებულის ადვოკატის მოთხოვნა და ი.ე-ს მიერ ჩადენილ დანაშაულს - გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების კვალიფიკაცია მისცა. აღნიშნული დანაშაული კი ჯარიმას, ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლომ სასჯელის სახით მსჯავრდებულის მიმართ ჯარიმა გამოიყენა და მას 10 000 ლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

თუმცა, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აღნიშნულ დანაშაულს ამნისტია შეეხო და სასამართლომ ამ ნაწილში დანიშნული ჯარიმის გადახდისაგან მსჯავრდებული გაათავისუფლა. რაც შეეხება იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებას, უზენაესმა სასამართლომ ამ დანაშაულისთვის მსჯავრდებულს ჯარიმა - 20 000 ლარის გადახდა დააკისრა. თუმცა, მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ი.ე. მთლიანად გათავისუფლდა დანიშნული ჯარიმის გადახდისგან.

გუშინდელ სხდომაზე მოსამართლემ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა, გადაწყვეტილების სრულ ვერსიას მხარეები კანონით დადგენილ ვადაში მიიღებენ.

# მსჯავრდებულს სასჯელი 5 წლით შეუმცირდა

*უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ კიდევ ერთ მსჯავრდებულს შეუმცირა სასჯელის ვადა.*

2008 წელს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის შედეგად, მსჯავრდებულების სასარგებლოდ, 98 პირის მიმართ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულ ზ. ს. სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებაც სწორედ ამგვარი საქმეების კატეგორიას მიეკუთვნება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს საქმე 2009 წლის სტატისტიკაში მოხვდება.

ზ. ს. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ მსჯავრი დაედო ძარცვისთვის, ანუ ძალადობით ჩადენილი ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

დანაშაულის ფაბულის მიხედვით, ზ.ს. მეზობლად მცხოვრები ქალბატონის ბინაში შეიჭრა და ძალის გამოყენებით მობილურ ტელეფონს დაეუფლა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ზ. ს. 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, მასვე დაეკისრა დამატებითი ჯარიმის სახით 4 500 ლარის გადახდა. განაჩენი სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ს. ადვოკატმა და უზენაეს სასამართლოს მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა და მისი უდანაშაულოდ ცნობა მოსთხოვა.

უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები და ადვოკატის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასარგებლო ცვლილებები შეიტანა.

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, თუმცა საკასაციო ინსტანცია საქმის განხილვის დროს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა არა ძარცვა, არამედ სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, აგრეთვე წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის ცემა.

უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ ზ. ს. პირველად არის სამართალში, წარსულში არ ხასიათდება უარყოფითად, ფაქტობრივად აღიარებს ჩადენილ ქმედებას და დაადგინა, რომ მსჯავრდებულის მიმართ ძირითად სასჯელად თავისუფლების აღკვეთის ისეთი ზომა უნდა იყოს გამოყენებული, რომელიც არ იქნება მომეტებულად მკაცრი, ამასთან საკმარისი იქნება მსჯავრდებულის გამოსასწორებლად.

ამასთან, უზენაესმა სასამართლომ ზ.ს. მიმართ დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნის შესახებაც იმსჯელა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დანიშნული ჯარიმა უნდა შემცირდეს, რადგან, როგორც ირკვევა, ზ. ს. ოჯახს აქვს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულისთვის დანიშნული ჯარიმის ოდენობა მინიმალურ ზომამდე შემცირდა და, საბოლოოდ, ზ. ს. დამატებით სასჯელად 500 ლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ყველაზე მთავარი ცვლილება, რომელიც უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულის სასარგებლოდ დაადგინა, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის შედეგად სასჯელის შემცირება გახლავთ. ზ. ს. სასჯელი 5 წლით შეუმცირდა და მას სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და 6 თვის ვადით განესაზღვრა.

*უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური*

### აღსრულებულ საქმეთა მაჩვენებელი გაიზარდა

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების მონაცემებით, აღსრულებულ საქმეთა მაჩვენებელი იანვარში გასული წლის დეკემბერთან შედარებით გაიზარდა. ამავე მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარში 2367 საქმე აღსრულდა და სახელმწიფო ბიუჯეტში 545 238,72 ლარი გადაირიცხა. გასული წლის დეკემბერში კი აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა 2258 იყო.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარში აღმოსავლეთ საქართველოს ბიუროებმა 1571 საქმე აღასრულეს და ბიუჯეტში 200 484,78 ლარი გადარიცხეს. დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო ბიუროებმა 796 საქმე აღასრულეს და ბიუჯეტში 344 753,94 ლარი გადარიცხეს. **პირველი**

### ყადაღისა და იპოთეკის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს ახალ მომსახურებას, ინტერნეტის მეშვეობით ყადაღის და საგადასახადო გირავნობის შესახებ ინფორმაციის მიღებას უკვე 13 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურიდან სთავაზობს. ეს სამსახურებია: თბილისი, ზუგდიდი, გარდაბანი, თელავი, მცხეთა, რუსთავის, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, კასპი, ოზურგეთი, ხელვაჩაური.

აღნიშნულ პროგრამა მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, სააგენტოს ვებგვერდზე (www.reestri.gov.ge) გაეცნონ საჯარო რეესტრის მონაცემებით, თუ ვის ქონებას ადევს ყადაღა და საგადასახადო გირავნობა. ასევე გაეცნონ ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულ ყადაღასა და საგადასახადო გირავნობასთან დაკავშირებულ განცხადებებს, კერძოდ, განცხადების შინაარსს, განცხადების განხილვის ეტაპს, განცხადებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ახალი სერვისი მნიშვნელოვნად უმარტივებს მუშაობას კერძო კომპანიებს, რომლებსაც ხშირად ესაჭიროებათ სხვადასხვა უწყებებში ყადაღის შესახებ ცნობების წარდგენა. მათ შეუძლიათ, ოფისიდან გაუსვლელად ელექტრონულად შეავსონ განაცხადის ფორმა, გადაიხადონ მომსახურების საფასური პლასტიკური ბარათის მეშვეობით და ასევე, ელექტრონულად მიიღონ საჯარო რეესტრში მომზადებული ცნობა ყადაღის შესახებ და ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის შესახებ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ადვოკატი სასჯელის მოხდის გადავადებას ითხოვს

მომღერალ ჯაბა ბოჯგუას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ადვოკატი სასამართლოში სასჯელის მოხდის გადატანის თაობაზე შუამდგომლობის შეტანას აპირებს. ადვოკატ მაკა ბერაიას თქმით, ჯაბა ბოჯგუას ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია, ის ხელოვნურ აპარატზეა შეერთებული.

თაღლითობის მუხლით გასამართლებული ჯაბა ბოჯგუა სასჯელს გლდანის №6-ე დაწესებულებაში იხდიდა. მას რამდენიმე დღის წინ გული გაუჩერდა, რის გამოც ღუდუშაურის სახელობის კლინიკის რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. **მედიანიუსი**

### "მახინჯი და გამრუდებული პენიტენციური სისტემა"

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გია ცაგარეიშვილის განცხადებით, "საქართველოს მოქმედი ხელისუფლების სახე მახინჯი და გამრუდებული პენიტენციური სისტემაა".

"თუ გინდათ, დაინახოთ ჩვენი ხელისუფლების სახე, უნდა შეხვიდეთ ციხეებში. მასობრივ შეწყალებამდე და ამნისტიამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 22 ათასამდე პატიმარი იყო, ახლა დარჩენილია 18 ათასი. მიმაჩნია, რომ საქართველოს საპატიმროები 10 ათას მსჯავრდებულზე უნდა იყოს გათვლილი," - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

მისივე თქმით, ის, რომ შევარდნაძის წასვლის შემდეგ პატიმართა რაოდენობა 4-5-ჯერ გაიზარდა, მოქმედ ხელისუფლებას მიღწევად და წარმატებად მიაჩნია, თუმცა პატიმრების რაოდენობის ზრდა კრიმინალის შემცირებას არ იწვევს და შედეგი მხოლოდ ისაა, რომ ციხის საავადმყოფოები დაავადებული პატიმრებითაა გადავსებული.

"ჩვენს ციხეებში ადამიანი არ სწორდება, პირიქით, ირყვნება, ნადგურდება, ავადმყოფდება სულით და ხორცით. სწორედ ამიტომ ციხეებიდან გამოსწორებული ადამიანები არ გამოდიან. ზუსტად ამ მიზეზების გამო აუცილებლად უნდა შეიცვალოს მიდგომა ამ სფეროსადმი და რიგი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ციხიდან გამოსწორებული და არა უფრო საშიში კრიმინალი გამოვიდეს," - აცხადებს დეპუტატი. **პირველი**

### საქართველოს მოქალაქეები აზერბაიჯანიდან გამოაძევეს

აზერბაიჯანული ვებ გვერდის www.apa.az-ს შირა-ზაქათალის ბიუროს ცნობით, ბალაკანის რაიონში აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა დააკავეს საქართველოს ორი მოქალაქე, რომლებიც რელიგიური სექტის "იეღოვას მოწმეების" პროპაგანდას ეწეოდნენ აზერბაიჯანში. ბალაკანის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქეები, ლაგოდეხის რაიონის მაცხოვრებლები 32 წლის დავით ბექაშვილი და 30 წლის მამუკა სუბუაშვილი დააკავეს. დაკავების დროს მათ სამი დასახელების 171 ცალი წიგნი აღმოაჩნდათ "იეღოვას მოწმეებზე," რომელიც დაბეჭდილი იყო გერმანიაში. სამართალდამცველებმა საქართველოს მოქალაქეები აზერბაიჯანიდან გააძევეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიხსნა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - გამოხატვის თავისუფლება. ღონისძიება საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავს ეძღვნება. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში 12 ევროპული ქვეყნის ომბუდსმენები და მათი წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. კონფერენციას ასევე ესწრებიან საქართველოში მომუშავე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კონფერენციის გახსნისას, საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა რუსეთის ადამიანის უფლებათა კომისარს ვლადიმერ ლუკინს ბოდიში მოუხადა, რომელიც პოლიტიკური გარემოებების გამო საქართველოში ვერ ჩამოვიდა. მას ვიზაზე თანხმობა დაუგვიანდა.

როგორც სუბარმა აღნიშნა, მისი ომბუდსმენობის პერიოდში მოსახლეობის მიმართვა სახალხო დამცველისადმი სამჯერ გაიზარდა. საქართველოში სახალხო დამცველის ოფისი მოსახლეობაში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია და მოქალაქეები ამ ინსტიტუტს ენდობიან.

კონფერენციაზე დაგეგმილია უცხოელი სტუმრების სიტყვით გამოსვლაც. ღონისძიება საბერძნეთის ომბუდსმენის ოფისისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისთან არსებული Eunomia-ს პროექტის მხარდაჭერით ტარდება. **მედიანიუსი**

## სწავლება არასრუწლოვანთა მართმლმსაჯულების საკითხზე

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე ტრენინგები ჩატარდა. სწავლების მიზანი იყო საზოგადოებრივი ადვოკატების ინფორმირება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ნორმების შესახებ. სწავლება ჩატარდა "საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში, რომელსაც გაერო-ს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ტრენინგებს უძღვებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები, რომლებმაც UNICEF-ის ორგანიზებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე ტრენერთა მოსამზადებელი კურსი გაიარეს.

სასწავლო პროგრამა, რომელიც სამ კვირას გაგრძელდა, მოიცავდა შემდეგ საკითხებს: არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები და კანონმდებლობა; ბავშვის დაკავების პროცედურები; დამნაშავეების, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვა; საგამოძიებო და სასამართლო პროცედურები. ტრენინგები იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებულმა ყველა ადვოკატმა გაიარა. სწავლების ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ. იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. სამსახური, საზოგადოებრივ ადვოკატებისა და კონსულტანტების პროფესიული განვითარების მიმართულებით, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის თებერვლიდან იურიდიული დახმარების სამსახური ფუნქციონირებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში აგრძელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთში საქართველოს ორ მოქალაქეზე ძებნა გამოცხადდა

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის ნოვგოროდის ოლქის საგამოძიებო სამმართველომ ნოვგოროდელის მკვლელობაში ეჭვმიტანილ საქართველოს ორ მოქალაქეზე 35 წლის კახაბერ უსტალიშვილსა და 35 წლის ვახტანგ თირვალიძეზე ძებნა გამოაცხადა. მათ ბრალად ედებათ სამი მოქალაქისთვის ჯანმრთელობის ზიანის მიყენებაში.

საქმე აღძრულია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით. ნოვგოროდში, ერთ-ერთი სახლის კიბეზე აღმოაჩინეს იქ მცხოვრები 22 წლის პოგრებოვას ცხედარი, რომელსაც მრავლობითი ჭრილობები ჰქონდა მიყენებული.

"გამოძიების დროს დადგინდა, რომ 18-დან 24 წლამდე ასაკის კიდევ სამი ნოვგოროდელი, რომლებიც მკვლელობის მომენტში იქ იმყოფებოდნენ, იმავე ადგილიდან მოხვდნენ სამკურნალო დაწესებულებებში. მათ დანით მიყენებული სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობები ჰქონდათ", - აღნიშნულია უწყების პრესამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში. პრესამსახურის ცნობით, ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია და მათზე ძებნა გამოცხადდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თარჯიმანი ქალი ნარკომოვაჭრეების დახმარების გამო ციხეში მოხვდა

მიუნხენის სასამართლომ ნატო-ს 32 წლის თარჯიმან ქალს ღალატის გამო სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ქალმა ალბანელი ნარკომოვაჭრეები დაპატიმრებას გადაარჩინა.

2008 წლის მარტში თარჯიმანი მიუნხენის პოლიციას ნარკომოვაჭრეთა სატელეფონო საუბრებისა და სმს-ების გაშიფვრაში ეხმარებოდა. ამის მერე ქალი კოსოვოში დაბრუნდა, შეხვდა ნარკომოვაჭრეებს და მათ მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ აუწყა. თარჯიმანს საიდუმლოს გამხელის სანაცვლოდ ნარკოვაჭრებისგან არაფერი მიუღია. ამ ნაბიჯზე ახალგაზრდა ქალი იმიტომ წავიდა, რომ კოლეგების ყურადღება მიეპყრო და შეფისთვის გადაეხადა სამაგიერო, რომელიც გამუდმებით უწუნებდა თარგმანებს. **მედიანიუსი**

# ბორის ბერეზოვსკის სარჩელი პატარკაციშვილის ქვრივის წინააღმდეგ





*ჯოზეფ ქეი ბერეზოვსკის და გუდავაძეს ფარულ ალიანსში ადანაშაულებს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

*იმ დროს, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლო გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქონების მემკვიდრედ გამოცხადებულ ჯოზეფ ქეისა და პატარკაციშვილის ქვრივ ინა გუდავაძეს შორის გამართულ დავას განიხილავს, ბრიტანული გამოცემა The Sanday Times-ის ინფორმაციით, რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი, ინა გუდავაძის წინააღმდეგ, ლონდონის სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. ამავე ინფორმაციის მიხედვით, ბორის ბერეზოვსკი სასამართლოს გზით, ბატარკაციშვილის ქვრივისგან გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონების ნახევარს ანუ 3 მილიარდ ფუნტ სტერლინგს მოითხოვს.*

**"პატარკაციშვილი 20 წლის განმავლობაში ბორის ბერეზოვსკის პარტნიორი იყო. ახლა კი ბერეზოვსკის და გუდავაძეს მხოლოდ ადვოკატის მეშვეობით აქვთ კონტაქტი. ბერეზოვსკისა და ინა გუდავაძეს შორის ურთიერთობა საბოლოოდ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დაიძაბა. ბერეზოვსკი ყოფილი პარტნიორის ქონების ნახევარზე აცხადებს პრეტენზიას, პატარკაციშვილის ქვრივის, ინა გუდავაძის განმარტებით კი, ბერეზოვსკის ამ ქონებაზე არანაირი უფლება არ აქვს. პატარკაციშვილის ქვრივმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, აქტივების ნახევრის ბერეზოვსკის მფლობელობაში ყოფნა აღიარა, თუმცა, მოგვიანებით, გუდავაძემ გადაწყვეტილება შეცვალა და განაცხადა, რომ ბერეზოვსკის მოთხოვნა უკანონოა,"** - წერს The Sanday Times. გამოცემის ინფორმაციით, ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ მეგობრის ქონების ნახევარი მემკვიდრეობით ერგება.

The Sanday Times-ის მტკიცებით, ბადრი პატარკაციშვილის ქონება 6 მილიარდ ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული. გაზეთის ინფორმაციით, ბერეზოვსკი სარჩელთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ექსპერტების დანიშვნას ითხოვს, რომლებმაც უნდა დაადგინონ, პატარკაციშვილის ქონების რა ნაწილზე შეუძლია ბერეზოვსკის პრეტენზიის გამოთქმა.

საქმე ისაა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ბორის ბერეზოვსკისთან გამიჯვნის თაობაზე განცხადება ბიზნესმენის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეშივე გააკეთა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები მაშინ აცხადებდნენ, რომ მათ ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკისთან ყველანაირი ურთიერთობა - პოლიტიკური, ეკონომიკური და ბიზნესკავშირები გაწყვიტეს.

**"მსურს, კიდევ ერთხელ, ცალსახად დავადასტურო, რომ პატარკაციშვილების ოჯახი ბორის ბერეზოვსკის შეხედულებებსა და პირად მისწრაფებებს პოლიტიკასა და ბიზნესთან მიმართებაში არ იზიარებს და მასთან თანამშრომლობას კატეგორიულად ემიჯნება. ჩვენი ოჯახი რუს ოლიგარქთან რაიმე სახის საქმიან თუ პოლიტიკურ თანამშრომლობაში არ იმყოფება და ამგვარი კავშირების დამყარებას არც ესწრაფვის. ამის საწინააღმდეგო ნებისმიერი განცხადება ან დასკვნა მიზანმიმართულ და მცდარ ინფორმაციას წარმოადგენს,"** - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც პატარკაციშვილის ოჯახის პრესსამსახურმა ინა გუდავაძის სახელით გაავრცელა.

ინა გუდავაძემ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ რუს ოლიგარქთან არსებული კავშირების თაობაზე ბევრჯერ გააკეთა განცხადება და ბევრჯერ განმარტა, რომ ბერეზოვსკისთან მისმა ოჯახმა კავშირი კარგა ხნის წინ შეწყვიტა და მასთან ურთიერთობა 2008 წლის მაისის შემდეგ აღარ ჰქონიათ.

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში, ბორის ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ ზუსტად არ იცოდა, იყო თუ არა იგი საქართველოში არსებული აქტივების მფლობელი, რომლებიც მისი მეგობრის გარდაცვალების შემდეგ დარჩა. თუმცა, ამ განაცხადის გაკეთებიდან ცოტა ხანში, რუსმა ოლიგარქმა გარკვეულ აქტივებზე პრეტენზია გამოთქვა.

**"ხელთ მაქვს ყველა აუცილებელი მტკიცებულება იმისთვის, რომ სასამართლოში დავიცვა საკუთარი უფლებები პატარკაციშვილის ქონებაზე, მათ შორის ტელეკომპანია "იმედზეც", რომელიც მე მიღებული მაქვს "სელფორდ კაპიტალ პარტნერს ინკ"-თან და "საჰოლდინგო კომპანია მეტალოინვესტთან" პარტნიორობის შედეგად,"** - განაცხადა გარდაცვლილი ბიზნესმენის მეგობარმა.

**"ბერეზოვსკი ჩემი მეუღლის ბიზნესპარტნიორი იყო, მაგრამ მათ ე.წ. ეკონომიკური გაყრის შესახებ 2006 წელს განაცხადეს. პირადად მე, ბერეზოვსკისთან კონტაქტი მაისის შემდეგ აღარ მქონია, რადგან მეგობრობა არ არის ისეთი რამ, რაც მემკვიდრეობით გადაეცემა,"** - ასე უპასუხა პატარკაციშვილის ქვრივმა რუს ოლიგარქს.

პატარკაციშვილის ოჯახის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ 2005 წელს ბიზნესპარტნიორებს - ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილს შორის წარმოიშვა მნიშვნელოვანი უთანხმოება რიგ, განსაკუთრებით კი, პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამის გამო, მათ გაწყვიტეს ერთობლივი საქმიანობა ბიზნესისა და სხვა სფეროებში. ამავე განცხადების თანახმად, პარტნიორების ამგვარი დაშორება განხორციელდა პატარკაციშვილის მიერ ბერეზოვსკისგან აქტივების, აქციებისა და წილების გამოსყიდვით.

**"თუ ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ პატარკაციშვილის ქონებაში რაიმე წილი ეკუთვნის, უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს,"** - აცხადებდა ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი.

ბადრი პატარკაციშვილის ქონების განმკარგველის, ჯოზეფ ქეის მტკიცებით, ბისნესმენ ბორის ბერეზოვსკისა და ინა გუდავაძეს დღემდე საერთო ინტერესები და მოქმედების ერთიანი სტრატეგია აქვთ. დოზეფ ქეის წარმომადგენლები იმ დეტალებზე საუბრობენ, რომლებიც, მათი მტკიცებით, პატარკაციშვილის დაკრძალვის წინა დღეს ბერეზოვსკისა და გუდავაძეს შორის გაფორმდა.

**"ამ გარიგების საფუძველზე, რომელიც დამოწმებულია ნოტარიულად და აპოსტილით, ბერეზოვსკი პატარკაციშვილის ქონების 50 ითხოვს. ირკვევა, რომ გუდავაძე, რომელიც 1 ერთი წლის განმავლობაში ქართულ საზოგადოებას არწმუნებდა, თითქოს ქეი უკანონოდ ცდილობდა ოჯახის ქონების მიტაცებას, ბერეზოვსკის ფარულად გაურიგდა. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ბადრი პატარკაციშვილის ქონების არც ერთ პროცენტზე ჯოზეფ ქეი პრეტენზიას არ აცხადებდა და არც ახლა აცხადებს",** - განმარტავს ჯოზეფ ქეის ადვოკატი დავით ასათიანი.

**"ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც ჩემს წინააღმდეგ მიმდინარეობს, მიზნად ისახავს ბერეზოვსკისთვის იმ აქტივების გადაცემას, რომლებიც მას პოლიტიკურ და სხვა დივიდენდებს მოუტანს. მე ერთადერთი მიზანი მაქვს, დავიცვა ჩემი დეიდაშვილის უკანასკნელი ნება და მისი ქონება მემკვიდრეებს ისე გავუნაწილო, როგორც მან გადაწყვიტა, ხაზს ვუსვამ - მემკვიდრეეებს, რომელთა შორის არც ბერეზოვსკი და არც ჯოზეფ ქეის არ მოიხსენიებიან,"** - აცხადებს ჯოზეფ ქეი, რომელიც მედიის წინაშე გუშინ პირველად წარდგა.

მან იმედი გამოთქვა, რომ ამ გარიგების არსებობა ბევრს აუხელს თავლს და პასუხს გასცემს მთავარ კითხვას - რატომ აირჩია ბადრი პატარკაციშვილმა თავისი ქონების აღმასრულებლად ჯოზეფ ქეი.

# ტერაქტების სერია ქაბულში

მარიკა იაშვილი

ქუჩები ცარიელია. ხალხი სახლიდან გამოსვლას ერიდება. ქალაქში შიშისა და პანიკის ატმოსფერო სუფევს, - ასე აღწერენ თვითმხილველები ავღანეთის დედაქალაქში ტერაქტების მორიგი სერიის შემდეგ შექმნილ ვითრებას.

ტერორისტული თავდასხმების შედეგად ქაბულში 19 ადამიანი გარდაიცვალა, 50 კი დაიჭრა.

დაღუპულია რვა ტერორისტიც. ყველა მათგანს წელზე შაჰიდის ქამარი ეკეთა, თუმცა ის მხოლოდ სამმა მათგანმა გამოიყენა. რამდენიმე ექსტრემისტმა მიმალვა მოახერხა. მათ დასაკავებლად და მორიგი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად პოლიცია და სამხედრო შენაერთები ქაბულის ქუჩებში განუწყვეტლივ პატრულირებენ.

პირველი თავდასხმა ავღანეთის იუსტიციის სამინისტროზე მოხდა. ხუთი შეიარაღებული პირი ქალაქის ცენტრში მდებარე შენობაში შეიჭრა. შენობაზე კონტროლის მოპოვება და თავდამსხმელთა ლიკვიდაცია უსაფრთხოების სამსახურმა 2 საათში შეძლო, თუმცა მანადე ტერორისტებმა მძევლების აყვანა მოასწრეს. მათ შორის იყო იუსტიციის მინისტრი სარვერ დანეშიც.

დანეშმა სპეცსამსახურის წარმომადგენლებს ინფორმაცია მობილური ტელეფონით მიაწოდა. სპეცსამსახურს მან ისიც შეატყობინა, რომ ტერორისტები ხელყუმბარებსა და აკ-47 ტიპის ავტომატურ იარაღს იყენებდნენ. იუსტიციის მინისტრის თქმით, შენობაში ამ დროს ბევრი თანამშრომელი იმყოფებოდა.




ტერორისტული თავდასხმების შედეგად ქაბულში 19 ადამიანი გარდაიცვალა, 50 კი დაიჭრა

იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი ჰყვება, რომ ნახა მამაკაცი, რომელსაც ხელში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა და ხოცავდა ყველას, ვისაც დერეფანში დაინახავდა. თვითმხილველის მტკიცებით, სამი ადამიანის გვამი მან საკუთარი თვალით ნახა. უწყების თანამშრომელთა ნაწილმა შენობის დატოვება ფანჯრებიდან მოახერხა.

თავდასხმა მოხდა იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის შენობაზეც, რომელიც ქალაქის სხვა ნაწილში მდებარეობს. სროლები ისმოდა პრეზიდენტის სასახლიდანაც, სადაც შეტაკება პოლიციასა და ორგანიზაცია "თალიბანის" წევრებს შორის მოხდა.

ტერორისტები თავს დაესხნენ განათლების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამმართველოსაც. ერთ-ერთმა ტერორისტმა თავი მაშინ აიფეთქა, როდესაც გვერდით პოლიციის ბადრაგმა ჩაუარა.

ტერორისტები შენობებს და მასში მყოფ პირებს ძირითად შემთხვევაში ცხრილავდნენ, თუმცა რამდენიმე მათგანმა შაჰიდის ქამარიც გამოიყენა და თავი აიფეთქა.

ორგანიზაცია თალიბანის პრესსპიკერ ზაბიულა მოჯაჰედის ცნობით, ტერორისტთა ძირითადი სამიზნე ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ. ორგანიზაცია "თალიბანის" მტკიცებით, მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტები პასუხია დაკავებულ თალიბთა მიმართ ცუდ მოპყრობაზე ავღანეთის ციხეებში.

ქაბულის ქუჩებში პოლიციელთა და ავღანეთის შეიარაღებული ძალების მუდმივი პატრულირება გრძელდება. მათ დახმარებას უწევს დასავლური კოალიციის 70.000 სამხედრო, თუმცა ტერაქტების სერიას ამან ხელი ევრ შეუშალა. თავდასხმები ერთი დღით უსწრებდა წინ ქაბულში რიჩარდ ჰოლბრუკის ჩასვლას, რომელიც ამერიკის ახალი საგანგებო წარმომადგენელია ავღანეთსა და პაკისტანში.


## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 12 თებერვლიდან აცხადებს ტენდერს ხუნდების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ხუნდების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **12 თებერვლიდან** 2009 წლის **4 მარტის** ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | ელმავლის თუჯის სამუხრუჭე ხუნდი | ცალი | 14 000 |
| 2 | სამუხრუჭე ხუნდები კომპოზიციური მ659-00 სბ | ცალი | 2 000 |
| 3 | სამუხრუჭე ხუნდები ელექტრომატარებლის (თუჯი) | ცალი | 1000 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP საქართველო, მოთხოვნის შესაბამისად;

**4. მოწოდების ვადა:** 2009 წლის II, III და IV კვარტალი

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 4 მარტის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

<u>იურიდიული პირებისათვის :</u>

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

7. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. <u>(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)</u>

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **<u>დღგ-ს</u> გარეშე:** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **<u>56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;</u>** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: **წ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)**

<u>სატენდერო კომისია</u>

## ჰილარი კლინტონი: აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ბედი ირანის ქმედებებზეა დამოკიდებული

აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებაზე აშშ-ს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს ირანი თავის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა. **"ეს იმ სამ კითხვათაგანია, რომელზე პასუხი მართლაც ირანის ხელისუფლების გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული,"** - განაცხადა კლინტონმა. სახელმწიფო მდივანმა ასევე დასძინა, რომ ვაშინგტონი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მიმართ საკუთარ პოზიციებს გადახედავს, თუკი შეიცვლება ირანის პოლიტიკა იმ პროგრამების მიმართ, რომლებიც, აშშ-ს აზრით, "ბირთვული იარაღის მიღებისკენ სწრაფვას წარმოადგენენ". **ჯი-ეიჩ-ენი**

## კაპიტოლაზერბაიჯანში სამხედრო-საჰაერო ძალების და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარების სარდალი მოკლეს

აზერბაიჯანში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი რაილ რზაევი მოკლეს. სააგენტო Day.Az-ის ინფორმაციით, ეს ფაქტი აზერბაიჯანის შს სამინისტრომ უკვე დაადასტურა. აზერბაიჯანის შს სამინისტროში აცხადებენ, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალზე თავდასხმა გუშინ დილით განხორციელდა. მომხდარის დეტალები ჯერ კიდევ ზუსტდება. მომხდარზე აზერბაიჯანის სამხედრო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. წინასწარი მონაცემებით, რზაევი სახლიდან გამოსვლისას მოკლეს. მას თავში ესროლეს. დაჭრილი სარდალი ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. მკვლელობის მოტივები და მკვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უგო ჩავესმა ლეხ ვალენსას ვენესუელაში ჩასვლა აუკრძალა

ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ნობელის პრემიის ლაურეატსა და პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტ ლეხ ვალენსას ვენესუელაში ჩასვლა აუკრძალა, თუკი იგი ქვეყანაში ჩასვლას ოპოზიციის მხარდასაჭერად შეეცდება. ჩავესის ეს განცხადება 15 თებერვალს საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების წინა დღეებში გავრცელდა, როდესაც ქვეყანაში პრეზიდენტის და ზემდგომთა თანამდებობაზე ყოფნის ვადების შეცვლა უნდა მოხდეს. საქმე ვადების გაგრძელებას ეხება. პოლონეთის პრეზიდენტი ვენესუელის უნივერსიტეტის ოპოზიციურად განწყობილმა სტუდენტებმა მიიწვიეს. ვალენსას ოპოზიციურ კონფერენციაში მონაწილეობა ჯერ კიდევ 2008 წელს უნდა მიეღო, მაგრამ, რაკი აუწყეს, რომ მისი უსაფრთხოება ქვეყანაში დაცული ვერ იქნებოდა, წასვლა გადაიფიქრა. **მედიანიუსი**

## მეკობრეებთან ბრძოლაში თურქეთიც ჩაერთვება

თურქეთის პარლამენტმა მეკობრეებთან საბრძოლველად თურქული ხომალდების სომალის ნაპირებისკენ გაგზავნის საკითხზე ხელისუფლების ინიციატივა მოიწონა. ოპერაციის დაწყების ზუსტი ვადები არ სახელდება, თუმცა, სამხედროთა განცხადებით, თურქი მეზღვაურები აფრიკაში მიმდინარე წლის თებერვლის მიწურულს უნდა გაემგზავრონ. თურქი სამხედროები ადენის ყურეს ამერიკელ, რუს და ევროკავშირის სპეცსამხედრო დანიშნულების წარმომადგენლებთან ერთად დაიცავენ. **მედიანიუსი**

## ბელარუსმა ნოუთბუქების წარმოება დაიწყო

ბელარუსში უახლოეს ხანებში გასაყიდად სამამულო წარმოების ნოუთბუქს გამოიტანენ. "ინტეგრალტექნისის" მიერ დამზადებული egm ამჟამად სერტფიკაციას გადის. ნოუთბუქის სისტემური კონფიგურაცია და ფასი არ სახელდება. ასევე უცნობია, გაიტანენ თუ არა კომპიუტერს ბელარუსის ფარგლებს გარეთ. "ინტეგრალტექნისი" Tk-მონიტორებს, კომპიუტერებსა და მედტექნიკისთვის თხელ მონიტორებს აწარმოებს. აღნიშნული მოწყობილობა უცხოეთიდან იმპორტირებული მაკომპლექტებლებით იწყობა. რესპუბლიკურმა საწარმოებმა შარშან უკვე გამოუშვეს პირველი ბელარუსული მობილური ტელეფონი evrotef-m, რომელსაც ფერადი ეკრანი და ვიდეოკამერა აქვს. ტელეფონი ჩინური მაკოპლექტებლებით არის აწყობილი. **მედიანიუსი**

## ევროპაში ანტიებრაული განწყობა გაძლიერდა

ევროპის მოსახლეობაში, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და ღაზას სექტორში წარმოებული საომარი მოქმედებების გამო, ებრაელებისადმი უარყოფოთი დამოკიდებულება გაიზარდა. ასეთი დასკვნა ებრაულმა ორგანიზაციამ "ანტიცილისმწამებლურმა ლიგამ" გამოიტანა, რომელმაც ევროპის შვიდ ქვეყანაში 3500 ადამიანი გამოკითხა. გამოკითხულთა 31 პროცენტმა განაცხადა, რომ ფინანსური კრიზისი ებრაელების ბრალია - კვლევის შედეგებს ებარული გაზეთი "ჰარეციც" აქვეყნებს. გამოკითხულთა 40 პროცენტს მიაჩნია, რომ მსხვილი ბიზნესსტრუქტურების საქმიანობაზე ებრაელები გადაჭარბებულ ზეგავლენას ახდენენ. ასე ფიქრობს ჩეხეთის, ესპანეთისა და პოლონეთის რესპონდენტთა ნახევარი. ანტისემიტიზმს ღაზას სექტორში ჩატარებული სამხედრო ოპერაციაც ამძაფრებს. **მედიანიუსი**

# "კადიმა" და "ლიკუდი" - არჩევნებში გამარჯვებულნი

### კოალიციური მთავრობის ფორმირების სირთულეები

ხათუნა გაბიევი





ისრაელში 10 თებერვალს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამარჯვება პარტიებმა "კადიმამ" და "ლიკუდმა" იზეიმეს. ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, ხმათა 99 პროცენტი უკვე დათვლილია, შედეგები კი ასე გამოიყურება: მმართველმა ცენტრისტულმა პარტიამ "კადიმამ" საკანონმდებლო ორგანოში 28 მანდატი მოიპოვა, ხოლო მემარჯვენე "ლიკუდმა" 27 ადგილი. ქნესეთში მოპოვებული მანდატების რაოდენობის მიხედვით რიგით მესამე ადგილზეა ულტრანაციონალისტური პარტია "ისრაელი ჩვენი სახლია", რომელსაც, სავარაუდოდ, 15 ადგილი უნდა ერგოს. მეოთხე ადგილს კი, სავარაუდოდ, თავდაცვის მინისტრ ეჰუდ ბარაკის ლიდერობით "შრომის პარტია" დასჯერდება, რისი პრეცედენტიც ისრაელის ისტორიაში დღემდე არ ყოფილა. საბოლოო და ოფიციალური შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

საბოლოო შედეგებში, სავარაუდოდ, დიდი ცვლილება არ იქნება. ორივე ლიდერ პარტიას კოალიციის შექმნა გაცილებით პატარა ფრაქციებთან ერთად მოუწევს.

"კადიმას" ლიდერმა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციპი ლივნიმ უკვე განაცხადა მზადყოფნა, გაუძღვეს ქვეყანას.

**"ხალხმა "კადიმა" აირჩია. ისრაელი არ ეკუთვნის მემარჯვენეებს, ზუსტად ისევე როგორც მემარცხენეებს არ ეკუთვნით მშვიდობიანი ცხოვრება,"** - განაცხადა მინისტრმა საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ "კადიმას" მხარდამჭერებთან შეხვედრაზე.

ლივნიმ "ლიკუდის" ლიდერს, ყოფილ პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუს ისრაელის ეროვნული ერთიანობის მთავრობაში შესვლისკენ მოუწოდა, რომლის ხელმძღვანელობასაც თავად აპირებს.

თუმცა, ნეთანიაჰუს აზრით, ისრაელი ისეთმა კოალიციამ უნდა მართოს, რომლის სათავეშიც "ლიკუდი" იქნება.

**"ღვთის შეწევნით, მე ვიქნები მომავალი მთავრობის ხელმძღვანელი,"** - დაჰპირდა ყოფილი პრემიერი "ლიკუდის" მომხრეებს არჩევნების შემდგომ თელ-ავივში ორგანიზებულ შეხვედრაზე.

რაც შეეხება იმას, თუ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე რა ბედს უწინასწარმეტყველებენ ანალიტიკოსები "ლიკუდს". ანალიტიკოსთა შეფასებით, "ლიკუდმა", სხვა ნაციონალისტურ პარტიებთან ერთად, ქნესეთის 120 მანდატიდან 65-ის მოგროვება უნდა შეძლოს. "კადიმას" შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულად იქნება, რადგან პატარა პარტიები, რომელთა მხარდაჭერაც ლივნის აუცილებლად სჭირდება, "კადიმას" პოლიტიკას გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმებიან, განსაკუთრებით ლივნის მოწოდებას - გაუცვალონ მიწის ნაწილი პალესტინელებს მშვიდობის სანაცვლოდ.

დამკვირვებელთა თქმით, პროგნოზებს ძალიან მიახლოებული შედეგები ისრაელის დემოკრატიისთვის არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას ქმნის, რადგან არ არის გამორიცხული, ქვეყანაში კვირების მანძილზე გაგრძელდეს დავა იმის შესახებ, თუ ვინ უფრო ღირსეულად გაუძღვება სამთავრობო კოალიციას.

არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი შიმონ პერესი პარტიების ლიდერებთან კონსულტაციებს გამართავს კოალიციურ მთავრობაში ლიდერის პოზიციის შესახებ.

კოალიციური მთავრობის ფორმირებას 42 დღე დასჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი პარტიის ლიდერთან გამართული კონსულტაციები წარმატებით ვერ დასრულდება, პრივილეგია მეორე პარტიის ხელმძღვანელს გადაეცემა.

ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზეც, თუ რას ეტყვის პრეზიდენტს პარტიის "ისრაელი ჩვენი სახლია" ლიდერი ავიგდორ ლიბერმანი, რადგან სწორედ მის წინადადებაზე იქნება დამოკიდებული ის, თუ პირველად პრეზიდენტი ვის შესთავაზებს კოალიციის ხელმძღვანელობას.

ისრაელში საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა მას შემდეგ მიიღო, რაც იგი კორუმპირებულობაში დაადანაშაულეს. არჩევნებისთვის გვერდის ავლით ახალი მთავრობის ფორმირება ციპი ლივნიმ გასულ წელს სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე პალესტინის ხელისუფლებას ჯერ არ გაუკეთებია ოფიციალურად რომელიმე კანდიდატის მხარდამჭერი განცხადება. "ბი-ბი-სი"-ს თანახმად, მემარჯვენე პარტიების გამო შეშფოთება მხოლოდ მთავარმა მომლაპარაკებელმა საებ ერაქათმა გამოთქვა.

**"ერთი რამ ნათელია, რომ ისრაელმა სამშვიდობო პროცესის შეჩერებას დაუჭირა მხარი,"** - თქვა ერაქათმა.

# საეჭვო გადაადგილებები ჩრდილოეთ კორეაში

### ფხენიანი შესაძლოა ბალისტიკური რაკეტის გამოცდისთვის ემზადებოდეს

ამერიკული ჯაშუში-თანამგზავრები ბოლო რამდენიმე დღეა, აფიქსირებენ ჩრდილოკორეელი სამხედროების აქტიურობას სარაკეტო გამშვებ მოედანზე, საიდანაც ადრე "ტეპჰოდონ 2"-ის ტიპის რაკეტის გაშვება მოხდა. ამ უკანასკნელს, "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, რომელიც ამერიკის სამხედრო წყაროებს ეყრდნობა, ბირთვული ქობინის ალასკამდე, ჰავაის კუნძულებსა და თვით ამერიკის შეერთებული შტატების შუაგულამდე მიტანაც შეუძლია.

ჯაშუში-თანამგზავრების მეშვეობით მიღებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ ფოტოზე კარგად ჩანს, როგორ ამონტაჟებენ კორეელები გამშვებ მოედანზე ტელემეტრიულ აღჭურვილობას, რაც რაკეტის გაშვებისთვისაა საჭირო.

ამავდროულად, შეერთებული შტატების ხელისუფლება აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით არ მოეპოვება იმის პირდაპირი მტკიცებულება მოედანზე რაკეტების ტრანსპორტირების შესახებ.

თუმცა, არც იმის დავიწყება ღირს, რომ ბოლოს მოედანზე ტელემეტრიული აღჭურვილობის ინსტალაციას "ტეპჰოდონ 2"-ის გამოცდა მოჰყვა, რაც წარუმატებლად დასრულდა.

გასულ კვირას იაპონიის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობები იმის შესახებ, რომ შემადგენლობა, რაშიც "ტეპჰოდონ 2"-ის კომპონენტებიც უნდა შედიოდეს, კილჯუს რაიონშია გადაყვანილი. კილჯუს რაიონი ჩრდილოეთ კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მუსუდანრის პოლიგონის სიახლოვეს მდებარეობს. კიდევ უფრო ადრე საინფორმაციო სააგენტო "რენჰაპი" იუწყებოდა, რომ რაკეტის კომპონენტები უკვე მუსუდანრის ბაზაზე იყო მიტანილი. თუმცა, როგორც შეერთებული შტატების ოფიციალური წყაროები ირწმუნებიან, რეალური დადასტურება სარაკეტო კომპონენტების ბაზაზე მოხვედრის შესახებ ჯერ არ არსებობს. ექსპერტთა შეფასებით, რაკეტების მონტაჟსა და მასში თხევადი საწვავის ჩასხმას ერთი ან ორი თვე მაინც დასჭირდება. ოფიციალურ სეულში ასევე არ გამორიცხავენ "ტეპჰოდონ 2"-ის გაშვებისთვის მზადების იმიტაციას.

ჩრდილოეთ კორეის არსენალში მოიპოვება როგორც "ტეპჰოდონ 2", ასევე მოძველებული საბჭოთა რაკეტა "სკადეს"-ის ბაზაზე დამზადებული "ნოდონი".

"ტეპჰოდონ 2"-ის ფრენის სიშორე, დაახლოებით 6 ათასი კმ-ია, მაგრამ ექსპერტთა ვარაუდით, შესაძლებელია მანძილის 10 ათას კმ-მდე გაზრდაც. ასეთ შემთხვევაში მოდერნიზებული "ტეპჰოდონ 2"-ის მეშვეობით შესაძლებელი გახდება შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე დარტყმა, მათ შორის - ლოს-ანჯელესზეც. აღნიშნულ რაკეტას 500 კგ-მდე წონის ქობინის გადატანა ძალუძს.

გასული წლის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კორეამ ზემოაღნიშნული რაკეტის ძრავაც გამოსცადა.

მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთთან დღემდე მიღწეული ყველა შეთანხმების დატოვების შესახებ განაცხადა და აღნიშნა, რომ ნახევარკუნძული ომის ზღვარზე იმყოფება.

# რევიუ

## ბრძოლა "იმედისათვის"

### აშშ-ში ბარაკ ობამას ყველაზე ცნობილი პორტრეტის გამო ბრძოლა გაჩაღდა

ამ ორშაბათს მხატვარმა ლოს ანჯელესიდან - შეპარდ ფეირიმ სასამართლოში განაცხადი სააგენტო "Associated Press"-ის წინააღმდეგ შეიტანა. სარჩელი წარმოადგენს "გამაფრთხილებელ დარტყმას" - ცოტა ხნის წინათ ამ სააგენტომ ფეირი მის საკუთრებად მიჩნეული ფოტოგრაფიის არაკანონიერ გამოყენებაში დაადანაშაულა, მაგრამ სასამართლო წესით პრეტენზიები მათ ჯერჯერობით არ წამოუყენებიათ.

საქმე ეხება სურათს, რომელიც საფუძვლად დაედო ფეირის ყველაზე ცნობილ ნამუშევარს - ბარაკ ობამას პორტრეტი, რომელზეც შავკანიანი პოლიტიკოსი პატრიოტულ მოწითალო-მოლურჯო ტონებშია გამოსახული. პორტრეტზე დიდი ასოებითაა დაწერილის სიტყვა HOPE - იმედი.

38 წლის შეპარდ ფეირი (Shepard Fairey) მხატვარ-დიზაინერია, რომელმაც ფული კედლების, კსეიდბორდებისა და ფეხბურთელების მაისურების მოხატვით დააგროვა. ცოტა ხნით ადრე, ის ცნობილი გახლდათ, უმთავრესად, სხვადასხვა ქალაქებში გავრცელებული კედლებზე მოხატული პროფესიონალი მოჭიდავის აბსტრაქტული გამოსახულებით, სახელწოდებით - გოლიათი ანდრე, მისი თანმდევი სიტყვით - "Obey" - "მოინანიე".

ბარაკ ობამას პორტრეტის პოპულაობის წყალობით, "ქუჩის" მხატვარმა დიდი ნაბიჯი გადადგა "მეინსტრიმის" მხარეზე. ფეირის სახელგანთქმული ნამუშევარი ექსპონირებული იყო ვაშინგტონის პორტრეტების ნაციონალურ გალერეაში, ხოლო გასულ კვირას ის ბოსტონის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტშიც წარმოადგინეს, სადაც მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ფეირი რესპექტაბელური ბოლომდე მაინც ვერ გახდა: პარასკევს ის დაიჭირეს და ბოსტონის კერძო საკუთრებაში მყოფი ნაგებობების კედლების არაკანონიერ მოხატვაში დაადანაშაულეს. ორშაბათს ფეირი სასამართლოს წინაშე წარსდგა და თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა.

ობამას ცნობილი პორტრეტი მან გულის ძახილით შექმნა და მასობრივ წარმოებაშიც საკუთარი ძალებით ჩაუშვა. ამისათვის მას ობამას წინასაარჩევნო შტაბმა მადლობაც კი გადაუხადა, მაგრამ ოფიციალურად ფეირის ნამუშევარი არ გამოუყენებია. მხატვარი ყვებოდა, რომ თავდაპირველად პორტრეტზე სიტყვა "პროგრესი" იყო მოცემული, რომელიც, მოგვიანებით, წინასაარჩევნო შტაბის თხოვნით სიტყვით - "იმედი" შეიცვალა. სწორედ "იმედი" და "ცვლილებები" გახდა ობამას სააგიტაციო მანქანის შეიარაღებად. ბოლოს და ბოლოს, ობამას მომხრეებისათვის ფეირის ნამუშევარი ხატად იქცა - ის გამოსახეს პლაკატებზე, ფეხბურთელების მაისურებზე, ნიშნებზე, ინტერნეტ-საიტებზე და ა.შ.

თებერვალში სააგენტომ საჯაროდ გამოაცხადა, რომ აღნიშნული ფოტო მისი საკუთრება იყო და ფეირისგან კომპენსაცია და სურათის პირველადობის დამოწმება მოითხოვა. რასაც მხატვრის იურისტები შეეპასუხნენ იმით, რომ ფოტო ფეირიმ შემოქმედებითად გადააკეთა ე.წ. "კეთილსინდისიერი გამოყენების" (Fair Use) ფარგლებში.

"კეთილსინდისიერი გამოყენება" - ეს არის დოქტრინა ამერიკულ სამართალში, რომელიც წესებიდან გამონაკლისის გაკეთების უფლებას იძლევა და საავტორო უფლებების სამართლის მიერაა დადგენილი. დოქტრინა, ზოგ შემთხვევაში, ითვალისწინებს საავტორი უფლებების მქონე ობიექტების მათ კანონიერ მფლობელებთან განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე გამოყენებას: ძირითადად მაშინ, როდესაც ობიექტი მეცნიერების ან ხელოვნების განვითარებისათვის გამოიყენება.




ფეირის იურისტთა ჯგუფში კვალიფიციური სპეციალისტები შედიან, მათ შორისაა: ანტონი ფალცონე (Anthony T. Falzone), რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტში საგამოძიებო პროექტს "კეთილსინდისიერი გამოყენების" სფეროში ხელმძღვანელობს.

სარჩელის ტექსტში, რომელიც მიცემულია ფეირისა და მისი სტუდიის - "Obey Giant Art" სახელით, ნათქვამია, რომ გარსიას მიერ გადაღებული ფოტო მხატვრმა "შესანიშნავ აბსტრაქტულ და იდეალიზირებულ ვიზუალურ გამოსახულებად აქცია, რომელმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა და სრულიად სხვა გზავნილისმატარებელი გახდა", რაც ნიშნავს, რომ სააგენტოს პრეტენზიები უსაფუძვლოა. ამას გარდა, სასამართლოს აცნობეს, რომ AP-ს წარმომადგენლები, რომლებიც კომპენსაციას ითხოვენ, მხატვარს დავით ემუქრებოდნენ, - ამიტომაც გახდა საჭირო გამაფრთხილებელი დარტყმა.

სააგენტოში - "Associated Press" განიცდიან, რომ ფეირი ჯიუტობს და არ სურს "აღიაროს ფოტოგრაფების უფლება მათივე ნამუშევრებზე"... ისინი, ასევე, გაოცებას ვერ მალავენ სასამართლო სარჩელთან დაკავშირებით. სააგენტოს წარმომადგენელი პოლ კოლფორდი (Paul Colford) ამტკიცებს, რომ გასულ კვირას AP და ფეირის ადვოკატი დავის ნებისმიერი გზით მოგვარების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, სავარაუდო კომპენსაციას კი, ფიქრობდნენ, რომ AP-ს მიერ დაწესებული ჰუმენიტარული ფონდის საჭიროებისამებს გამოიყენებდნენ.

ცალკე ინტერესს იწვევს მენი გარსიას სიტყვები. რეპორტიორი ამტკიცებს, რომ საავტორო უფლებები ობამას ფოტოზე, სინამდვილეში, სააგენტოს კი არა, სწორედ მას ეკუთვნის ფოტოგრაფსა და სააგენტოს შორის არსებული მოლაპარაკების საფუძველზე. ფოტოგრაფს ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რას მოიმოქმედებს სასამართლო დავასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნა, რომ ამაყი იყო, როდესაც მის მიერ გადაღებული სურათიდან მიღებული პოსტერი პირველად ნახა. ფოტოგრაფს შეპარდ ფეირის ნამუშევარი მოსწონს.

## არ ნახოთ "დაწნული კაცი"

### გამოქვეყნდა 10 ფილმის ანტირეიტინგი

ედ ვუდი ყველა დროისა და ხალხის ყველაზე ცუდ რეჟისორადაა აღიარებული, თუმცა ამჟამად მისი ყველა ფილმი კლასიკურ ნამუშევრებადაა შერაცხული და ტრეშის გენიალურ ნიმუშებად მიიჩნევა. როგორც ხედავთ დრომ ედ ვუდის კინო გადააფასა და ასევე დრომ მოიტანა ყველაზე ცუდი ფილმების ახალი ჩამონათვალიც, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ. აქვე შეგახსენებთ, რომ სია სუბიექტურია და თუ მასში მოხსენიებული ფილმი შედევრად მიგაჩნიათ, ძალიან ნუ იდარდებთ.

ირლანდიაში ერთი უცნაური რამ - "ცუდი კინოს კლუბი" არსებობს, რომელსაც ადგილობრივი კომიკოსი მწერალი გრეჰემ ლაინჰენი მეთაურობს. იგი საშინელი ენის პატრონია და ერთი სიტყვით შეუძლია ოპონენტის განადგურება. სწორედ ამიტომ მას არავინ ეკამათება, ისიც ხელშეუხებლობით სარგებლობს და თავს მსგავსი რეიტინგების შედგენის უფლებასაც აძლევს. მაშ ასე, ვნახოთ ლაინჰენის სია, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად შეადგინა და "თაიმსშიც" გამოაქვეყნა:

გაგიკვირდებათ და ათეულში სანახაობრივი კინოს პრაქტიკულად შედევრი ლუკ ბესონის "მეხუთე ელემენტიც" მოხვდა. რეიტინგის ავტორს მთავარი პრეტენზია კრის ტაკერის პერსონაჟის, რუბი როდის მიმართ აქვს, რომლის ორიენტაცია და ცხოვრებისეული მისწრაფება მისთვის დღემდე გაურკვეველი რჩება. ლაინჰენი იმითაც უკმაყოფილოა, რომ ვერ გაიგო, მოქმედება კონკრეტულად რომელ პლანეტაზე და საუკუნეში ხდება და ამას ისეთი ბრაზით კითხულობს, თითქოს ფილმისთვის რამე მნიშვნელობა ჰქონდეს.

მეცხრე ადგილი საკმაოდ დამსახურებულად ერგო 2004 წლის ფილმს "ქალი კატა", რომელშიც მთავარ როლს ჰოლი ბერი ასრულებს. რეიტინგის შემდგენელები ამ ფილმს "ტვინის ბურღს", "სატანჯველს", "იმბეცილის ნაბოდვარს" და სხვა მსგავსი ეპითეტებით ამკობენ და სიმართლე გითხრათ, ძნელია შეეკამათო. მათ პრეტენზია აქვთ ჰოლი ბერის კოსტუმის მიმართაც, რომელსაც ფილმისთვის შექმნილ ყველაზე ცნობილ ძონძად მოიხსენიებენ და ეგრევე მსახიობზე გადადიან: "როგორც ჩანს "ოსკარის" მიღებამ იმდენად გამოათაყვანა, რომ საკუთარი კარიერა ერთი ხელის მოსმით დაასამარა".

შემდეგ სტივენ სპილბერგის "ხელოვნური ინტელექტი" მოდის. ამ შემთხვევაში ლაინჰენს და კომოპანიას პრეტენზია მხოლოდ მის ფინალთან აქვთ, რაც ნაწილობრივ სამართლიანია - ფილმის ფინალი იმდენად გაწელილი და მომაბეზრებელია, რომ მაყურებელს მისი ბოლომდე ნახვის სურვილს უკარგავს. ლაინჰენი წერს კიდეც: "მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფილმის ფინალზე არც სპილბერგს უფიქრია და არც იდეის ავტორ სტენლი კუბრიკს. ან ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთს იმდენჯერ გაუზიარეს, რომ საბოლოოდ მისგან არაფერი დარჩა".



მეექვსე ადგილი ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (!) ერთობლივ ნამუშევარს "ზვიგენის შეტევა: მეგალოდონს" ხვდა წილად. ეს ფილმი იმდენად უცნობია, რომ მის შესახებ საუბრით არ შეგაწუხებთ. დაახლოებით ასეთივეა მეხუთე ადგილოსანი "სახლი გზის პირას" პატრიკ სუეიზით მთავარ როლში - ისტორია ბარის მცველზე, რომელიც ფილმის მსვლელობისას ნამდვილ რემბოდ გადაიქცევა.

მეოთხე ადგილი მართლაც რომ უცუდეს ფილმს ერგო. ალბათ არ არსებობს ადამიანი, ვისაც "ბრძოლის ველი დედამიწა" მოსწონს. ეს არის საიენტოლოგიური რელიგიის გამომგონებლის ლაფაიეტ რონალდ ჰაბარდის ნოველის მიხედვით გადაღებული ფანტასტიკური ჟანრის კოშმარი (აქ იგულისხმება არა ჟანრი, არამედ შეფასება), რომელშიც ამ რელიგიის თავგადაკლული მიმდევარი ჯონ ტრავოლტა და მის მიერ გაბრიყვებული პატიოსანი ფორესტ უაიტეკერი თამაშობენ. ფილმი აღსავსეა სრულიად აბსურდული სცენებით, იდიოტური დიალოგებითა და სხვა სისულელეებით.

შემდეგია ანტონიო ბანდერასისა და ლუსი ლიუს ცოდვილობა საი-ფაი ჟანრის ფილმში "ბალისტიკი: ეკი სევერის წინააღმდეგ". რეიტინგის ავტორები ამ ფილმს ორივე მსახიობის დიდ სირცხვილად მოიხსენიებენ, ხოლო მაყურებელს მისი ნახვისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებენ. არა ნაკლები კრიტიკა შეხვდა მეორე ადგილზე გასულ "წმინდანსაც" - ველ კილმერის ფილმს, სადაც რუსეთის მთავრობაზე თავზე ლაფის დასხმა ისეთი დოზით ხდება, რას ნახავ უკეთესს. თუმცა გრეჰემ ლაინჰემს მისი კინემატოგრაფიული ღირსებები არ მოეწონა და შესაბამისად "საპატიო" ადგილზეც გაამწესა.

ახლა კი ყველაზე "გემრიელი" ლუკმის დროც დადგა და საზეიმოდ გაუწყებთ, რომ ანტი ათეულში პირველი ადგილი 1973 წლის კლასიკური ფილმის რიმეიკმა "დაწნულმა კაცმა" დაიკავა. თუ სადმე კინოგანსაცდელი არსებობს, მას აუცილებლად ნიკოლას კეიჯის ბოლო წლების კარიერა ჰქვია. ეს მსახიობი თვალსა და ხელს შუა აცამტვერებს იმ სახელს, რომელიც წლების განმავლობაში დამსახურებულად შექმნა. თავად განსაჯეთ, მას წლის განმავლობაში საშუალოდ 5 კინო პროექტი აქვს, ასეთ დროს კი ძალიან ძნელია ხარისხზე ორიენტირება, ამის გამო კი მხოლოდ კეიჯის კარიერა კი არა მაყურებელიც ზარალდება, რომელსაც ცნობილი ვარსკვლავის სახელი იმდენად ხიბვლავს, რომ სისულელეების სანახავად მიდის კინოტეატრში. "დაწნული კაცი" კი მართლაც ყველაზე ცუდი ფილმია და არა მხოლოდ ნიკოლას კეიჯის ფილმოგრაფიაში - მისი ყველაზე დიდი ღირსება ბოლო სცენაა, როდესაც მთავარი გმირი ჩვენს თვალწინ იფერფლება...

## დათო ტურაშვილის ხუთშაბათი



# მადონა

ცოლებს ერთი უცნაური თვისება აქვთ - თუ ტელევიზორს უყურებ, ისინი სწორედ მაშინ გაივლიან ხოლმე ეკრანის წინ, როცა იმ რომელიმე ფილმის ყველაზე საინტერესო მომენტია ან იმ რომელიმე ფეხბურთელს გადამწყვეტი გოლი გააქვს მოწინააღმდეგის კარში.

შეიძლება რომელიმე გამონაკლისი ცოლი არც გაივლის ხოლმე ტელევიზორის წინ, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევებია და ჩემმა ცოლმა კი იმ დღეს, სწორედ მაშინ ჩაიარა, როცა ეკრანზე მადონა გამოჩნდა.

რასაც მადონა მღერის, საერთოდ არ მაინტერესებს, მაგრამ თვითონ მადონა ნამდვილად ძალიან საინტერესო მოვლენაა, რადგან როცა ნიუ იორკში პირველად ჩავიდა, მართლა ცალ-ცალი კალოში ეცვა (ნოდარ დუმბაძის პერსონაჟივით) და სულ ორმოცი დოლარი ჰქონდა.

თუმცა მალე ის ორმოცი დოლარი ორმოც მილიონად აქცია და მისი ზღვა ენერგიისა და ჯადოქრული მონაცემების არშემჩნევა, დიდი უსამართლობა იქნებოდა.

უსამართლობას კი ბავშვობიდან ვერ ვიტან და ამიტომაც მადონას ბავშვობიდანვე მაინც პატივისცემით მოვიხსენიებდი ხოლმე სწორედ იმ დღემდე, მაკა რომ გადამეფარა.

იმ დღეს კი სწორედ ის ინფორმაცია მოვისმინე, რომლის გამოც მადონა გაი რიჩივით დავკარგე და თურმე ეს ქალი ყოველთვიურად ორმოც ათასს მხოლოდ იმაში იხდის რომ ისრაელიდან ამერიკაში წყაროს წყალი ჩაუტანონ. ვინ ურჩია არ ვიცი, მაგრამ ის მრჩეველი რომ ძალიან კეთილისმსურველს არ ჰგავს ფაქტია, რადგან ისრაელის მოჩუხჩუხე წყაროებიდან წყალი ბოლოს ბიბლიის პერსონაჟებმა დალიეს და რასაც ახლა წყაროს წყალს უწოდებენ, ჩვეულებრივი კომერციული წყალია. ასეთ წყალს რამდენიმე ებრაული კომპანია აწარმოებს ერთდროულად ან სხვა ქვეყანაში ყიდულობს და მერე თვითონვე ყიდის კიდევ უფრო უწყლო ქვეყანაში ან ისეთ ქვეყანაში, სადაც შედარებით მიამიტი ადამიანები ცხოვრობენ. ამიტომაც წყაროსწყალსმოწყურებულ მადონაზე მეტად, იმ მრჩეველზე ვბრაზდები, ვინც ამერიკელი ვარსკვლავი შეაცდინა და ნამდვილი წყლის ნაცვლად, ებრაული ქვიშა ურჩია. არადა მთელი საქართველო ანკარა და მოჩუხჩუხე წყაროებით არის სავსე და რომელიმე მათგანს რომ მადონა ეწაფებოდეს თავისი მრავალჭირნახული ტუჩებით, ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მშვენიერი სტიმული იქნებოდა. მართალია ჩვენი ეკონომისტები სულ სხვა ორიენტირებს გვთავაზობენ ხოლმე, მაგრამ ჩემი დილეტანტური ჭკუისა და გონებისთვისაც კი ცხადზე ცხადია, რომ ბუნებრივი წყლების თვალსაზრისით, საკმაოდ მდიდარი ქვეყანა ვართ.

თუმცა მთავარი მაინც ამ სიმდიდრის კარგად გამოყენებაა და ნებისმიერი ბუნებრივი რესურსის სწორად წარმართვაა, რასაც სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ და ჩვენი ყოფაც ზემოთქმულის შესაბამისია.

რაღაი წყალი ვახსენეთ, აქვე ღვინოზეც ვიტყვი, რადგან ამ წყალს ღვინოდ ჩვენთვის აღარავინ გადააქცევს და კარგი ღვინო ისევ ჩვენ თვითონ უნდა ჩამოვასხათ. ცოტა დაუჯერებლად კი ჟღერს, მაგრამ ღვინის სამშობლო ქვეყანაში კარგი სამარკო ღვინო სანთლით უნდა ეძებო და წამლად თუ გჭირდება, მხოლოდ ოჯახურ მარნებში, სათავისოდ დაყენებულ ღვინოებს შორის თუ მიაგნებ.

სადაც კი ხელისუფლებას აკრიტიკებენ (სხვათაშორის ყველგან აკრიტიკებენ), მეც სიამოვნებით ვუერთდები ხოლმე ამ კრიტიკას (რომელიც მართლა დაიმსახურეს), მაგრამ იმავდროულად ყველას ვეკითხები თუ რატომ არის შეუძლებელი საქართველოში კარგი ღვინის დალევა (რაც არა მხოლოდ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული) და ამ კითხვაზე ვერავინ მპასუხობს. მეც ჭკუა ვერ ვისწავლე და ბოლო ჯერზეც, ბაგრატიონების ქორწილშიც (ალბათ ჩემი მიამიტი ხასიათის გამო), კიდევ ერთხელ ვენდე ერთი მშვენიერი ქალის რჩევას და კიდევ ერთხელ მოვტყუვდი - ძალიან კარგი ღვინოაო და ისეთი სიხარულით მივეძალე რომ დილით უმა ტურმანივით გამეღვიძა. ვისაც ტარანტინოს ფილმები უნახავს მანიაკი ბილის შესახებ, ალბათ ის ეპიზოდიც ემახსოვრება, მშვენიერი უმა ტურმანი რომ თვალებს გაახელს და უცებ აღმოაჩენს რომ კუბოში წევს და ბაგრატიონების ქორწილის მეორე დღეს, მეც კუბოში გამეღვიძა. ნაკლებად რომ ინერვიულონ, ქართველები კუბოს სასახლესაც უწოდებენ ხოლმე, მაგრამ მე ხომ დანამდვილებით ვიცოდი რომ იმ დილით კუბოში ვიწექი და ჩემს მიამიტობას კი მერამდენედ დავტიროდი.

ჩემგან განსხვავებით, ინფორმაცია ფალსიფიცირებული ღვინის შესახებ (ეტყობა) წინასწარ ჰქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ბაგრატიონების ქორწილშიც ალბათ ამიტომ არ მოვიდნენ. მართალია ვიღაცეებმა ისიც კი თქვეს რომ ზოგიერთებს იმის შეეშინდათ მონარქიის მხარდაჭერაში არ დაედანაშაულებინათ და ამიტომაც ნივთმტკიცებების გასაქრობად, მოსაწვევებიც კი შეჭამესო, მაგრამ ჭორების არასოდეს მჯეროდა (მანამდეც) და მათი დაჯერება ახლაც მეზარება.

P.S. მადონასი არ იყოს, ქორწილის დეტალებსაც მერე მოვყვები...

# ნუგზარ შატაიძე გარდაიცვალა

ორიოდე დღის წინ თანამედროვე ქართული ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენელი და არაჩვეულებრივი პიროვნება - ნუგზარ შატაიძე გარდაიცვალა. მას დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა გული და მისი გარდაცვალების მიზეზიც სწორედ გულის უკმარისობა გახდა. ბატონ ნუგზარს 14 თებერვალს დიდუბის პანთეონში ძველი მეგობრის, თენგის მირზაშვილის გვერდით დაკრძალავენ.



"ნუგზარ შატაიძეს რომ ვკითხულობ, ასე მგონია ვჭაშნიკობ - გემრიელად წერს" - ასე შეაფასა ერთხელ მკითხველმა მწერლის ენა. ხოლო ვინც ბატონ ნუგზარს პირადად იცნობდა, მისთვის გემრიელი თავად იყო - მუდამ მზად ჰქონდა თბილი სალამი, ჩამოსართმევად გაწვდილ ხელს ხელის გულებში მოიქცევდა და მოგიკითხავდა: "როგორ ხარ პატარა გოგო?"

ნუგზარ შატაიძე 1944 წლის 9 მარტს დაიბადა. მისი მშობლები სახელოვანი გვარის წარმომავლები იყვნენ. ბატონი ნუგზარი თავდაპირველად თბილისის ყოფილ ვაჟთა მე-20 სკოლაში სწავლობდა. მოგვიანებით 62-ე სკოლა დაამთავრა. სწავლობდა ჯერ სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკის ფაკულტეტზე. სპეციალობით თბოენერგეტიკოსი იყო.

მწერლობით ადრეულ ასაკში დაინტერესდა. როგორც თავად იხსენებდა, 18-19 წლის ასაკში ჟურნალ "ცისკარში" ერთ-ერთი ამერიკელი მწერლის ნაწარმოები წაიკითხა, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა და ხელში კალამი ააღებინა. მოგვიანებით კი უფრო კარგად გაეცნო რევაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილისა და სხვათა შემოქმედებას, რამაც მწერლობისადმი ინტერესი უფრო გაუღვივა. თავის ნაწარმოებებს დიდი ხნის განმავლობაში არ აქვეყნებდა, რასაც მისი მეგობრები ბატონი ნუგზარის ხასიათის თავისებურებით ხსნიან - ის მუდამ ჩუმი და უპრეტენზიო ადამიანი იყო.

ნუგზარ შატაიძე არა ერთი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორია. ამჟამად ბერლინის ფესტივალზე სწორედ მისი სცენარით შექმნილი "გაღმა ნაპირია" წარმოდგენილი.

ნუგზარ შატაიძემ მოსაგონარი ბევრი დაგვიტოვა, მაგრამ დღეს, უეცრად ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი მისი დღიურები აღმოჩნდა. დღიურები, რომლებიც რადიო "თავისუფლებას" და მის მსმენელს გაუზიარა. სევდიანი, ემოციური და გულწრფელი...

სულ ცოტა ხნის წინათ 2008 წლის "თავისუფლების დღიურები" წიგნად გამოიცა. სწორედ ამ წიგნიდან ვკითხულობთ ამონარიდს ნუგზარ შატაიძის 2008 წლის 6 მაისის ჩანაწერებიდან:

"გუშინ თენგიზ მირზაშვილი დაკრძალეს. ჩვენი "ჩუბჩიკა". მე გასვენებაში წასვლა ვერ შევძელი. ვიწექი გულგასენებული და ერთი ამბავი მახსენდებოდა: ჩვენი სოფლის თავში ხორბალი ითესებოდა ხოლმე - დაბლა წითელი თავთუხები, უფრო ზემოთ - დოლის პური. მაისის ათში ან თერთმეტში, კარგი დარები თუ იდგა, წავიდოდი, ავიდოდი ყანების პირში, დავდგებოდი და გავცქეროდი მწვანედ მობიბინე ჯეჯილს. თითქოს სისხლი დაუქცევიათო, აქა-იქ ლაქებად მოჩანდა ყაყაჩოსაგან გადაწითლებული ადგილები და სოსნის ლილისფერი კორომები. ხევგაღმა ერთმანეთზე მიყრილიყვნენ შაბიამნისფერი გორები, ერთ-ერთ მათგანზე პატარა, ცალნავიანი საყდარიც იდგა.

რაც ხანში შევდიოდი, იქაურობა უფრო და უფრო ხშირად მაგონდებოდა და მეჩვენებოდა, რომ ჩემი ბალღობა იქ დავტოვე.

მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გავიდა.

ერთხელ, როგორღაც მოვახერხე და, იმ ადგილების სანახავად მთელი ჩემი ოჯახი წავიყვანე. ივნისი იდგა და ამიტომ ვღელავდი - ვაითუ, ყაყაჩოებმაც დაიყვავილეს და სოსნებმაც, ვინ იცის, მარტო ნარცეცხლებიღა დაგვხვდეს-მეთქი, მაგრამ მოვედით და, ყვავილებს ვინღა ჩიოდა, ყანებიც აღარსად იყო - ერთი უდაბური, ხრიოკი ველი დაგვხვდა, სადაც მდუმარედ დაბაჯბაჯებდნენ ყვავები და იქაურობას სკლინტით ათეთრებდნენ.

დაბნეული აქეთ-იქით ვიყურებოდი, როცა ცოლის ხმა შემომესმა:

- ვაი, ჩუბჩიკა?!
- რაო?
- ჩუბჩიკა, აგე, ჩუბჩიკა!

ხევგაღმა ისევ ისე ეყარნენ შაბიამნისფერი გორები და ერთ მათგანზე ცალნავიანი საყდარიც ისევე იდგა - მართლაც რომ ჩუბჩიკას ნახატს ჰგავდა: ერთი ხე აკლდა, ერთი კაცი, ერთიც წითელკაბიანი ქალი და ბავშვი.

ახლა, როცა ამ ჩემს ბეხრეკ კომპიუტერს ვუზივარ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაგონდება ის ბალღობის დროინდელი ხოდაბუნება და მზის გულზე გაყურსული პურის ყანები, თითქოს ჩამესმის ტოროლების წკრიალი, გუგულის "კაფეთესე" და ტკბილი, ძარღვების დამადუმებელი ოროველა:

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
შენა ხარ პურის მომყვანი,
დამძველებელი ქერისა."

# მოცარტი და პროკოფიევი სიმებიანი კვარტეტის შესრულებით

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წითელ დარბაზში 22 თებერვალს 19 საათზე გაიმართება თეატრის სიმებიანი კვარტეტის კონცერტი.

ოპერის თეატრის სიმებიანმა კვარტეტმა გიორგი ხაინდრავას, პაატა ჭანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძისა და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით არსებობის არასრული 3 წლის მანძილზე (პირველი კონცერტი-პრეზენტაცია 2006 წლის 1 აპრილს შედგა) ქართულ მუსიკალურ-საშემსრულებლო სამყაროში ღირსეული დამკვიდრებისკენ სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, საკმაო პოპულარულობაც მოიპოვა და ერთგული აუდიტორიაც შეიძინა. კვარტეტი მუდმივად მართავს კონცერტებს ოპერისა და ბალეტის თეატრში, ხშირად მონაწილეობს დედაქალაქში და საქართველოს რეგიონებში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, მას ხშირად იწვევენ უცხოური წარმომადგენლობები.



ოპერის თეატრის სიმებიანი კვარტეტი ყოველ კონცერტზე სრულიად ახალ პროგრამებს სთავაზობს მსმენელს. უკვე საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია კვარტეტის რეპერტუარი - ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის, ვერდის, რაველის, ბოროდინის, შოსტაკოვიჩის, სულხან ცინცაძის, ჯემალ ოიკაშვილის კვარტეტები და სხვადასხვა საკვარტეტო ნაწარმოებები, ასევე, მოცარტის კვინტეტი კლარნეტისა და სიმებიანი კვარტეტისთვის, შუმანის, შოსტაკოვიჩის, ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო კვინტეტები. საგულისხმო და მისასალმებელია ქართული კამერული მუსიკისადმი კვარტეტის ყურადღება, ერთგულება.

ამჯერად, კონცერტის პროგრამაშია ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ორი კვარტეტი (K.421 და K.458) და სერგეი პროკოფიევის უვერტიურა ებრაულ თემებზე. პროკოფიევის ამ შესანიშნავი ნაწარმოების შესრულებაში კვარტეტთან ერთად მონაწილეობენ კლარნეტისტი შოთა გოგოძე და პიანისტი ირაკლი ოიკაშვილი.

მრავალფეროვანი, საინტერესო პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ნამდვილად ქმნის 22 თებერვალს თეატრის წითელ დარბაზში შეკრებილი მსმენელებისთვის სიამოვნების მინიჭების საფუძველს.

## შპს “საქართველოს რკინიგზა” 2009 წლის 12 თებერვლიდან აცხადებს ტენდერს ლეიბებისა და ბალიშების შესყიდვის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ლეიბებისა და ბალიშების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **12 თებერვლიდან** 2009 წლის **4 მარტის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|
| 1 | ბალიში (ზომა 0,5 X 0,6 )მ | კომპლ-ექტი | 1 000 |
| 2 | ლეიბი (ზომა 1,90 X 0.65 X 0.06)მ | კომპ-ლექტი | 1 000 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მოწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 4 მარტის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

იურიდიული პირებისათვის :

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

ფიზიკური პირებისათვის :

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. პაკეტების გახსნის დღეს შემოთავაზებული პროდუქციის თითო ნიმუში;

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

3. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

4. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ქუქუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: **ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)**

სატენდერო კომისია

## შპს “საქართველოს რკინიგზა” 2009 წლის 12 თებერვლიდან აცხადებს ტენდერს ფიტინგის შესყიდვის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ფიტინგის** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება** (ნახაზების სახით) (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **12 თებერვლიდან** 2009 წლის **4 მარტის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთეული | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | **ფიტინგი დიდი** | ცალი | 600 |
| | **ფიტინგი საშუალო, ორკბილიანი (ოვალური)** | ცალი | 400 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მოწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 4 მარტის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

იურიდიული პირებისათვის :

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

ფიზიკური პირებისათვის :

**1.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ქუქუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: **ნ. კონჯარია 56-38-60**
**თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)**

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო აცხადებს ტენდერს ავტოტექმომსახურების შესყიდვაზე

| ლოტი № | ავტომანქანის მარკა | გამოშვების წელი | რაოდენობა | ა/მანქანის ტერიტორიული ადგილმდებარეობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1. სუზუკი გრანდვიტარა | 2007 | 1 | ქ. თბილისი |
| | 2. მიცუბიში პაჯერო | 2004 | 1 | |
| | 3. ტოიოტა ლენდკრუიზერი | 2003 | 1 | |
| | 4. ნისან სანი | 2007 | 2 | |
| | 5. ლადა 21 214 (ნივა) | 2007 | 4 | |
| | 6. მიცუბიში პიკაპი ლ200 | 2009 | 2 | |
| 2 | 1. ლადა 21 214 (ნივა) | 2003 | 4 | ქ. ფოთი |
| | 2. გალოპერი | 1998 | 1 | |
| | 3. ტოიოტა პიკაპი | 2001 | 1 | |
| 3 | 1. ლადა 21 214 (ნივა) | 2000<br>1999<br>6ც. 2002 | 8 | ქ. ბორჯომი |
| | 2. ნისან პიკაპი | 2007 | 2 | |
| | 3. უაზი („ვილისი") | 6ც. 1999<br>3ც. 2003 | 9 | |
| 4 | 1. ვაზ 2107 | 2000 | 1 | ქ. ქუთაისი |
| | 2. მიცუბიში პიკაპი ლ200 | 2009 | 1 | |
| | 3. ლადა 21 214 (ნივა) | 2007 | 1 | |
| | 4. ვაზ 2107 | 1998 | 1 | |
| 5 | 1. ლადა 21 214 (ნივა) | 2003-2007-1999 | 3 | ქ. ბათუმი |
| | 2. სგ პლუტუსი პიკაპი | 2008 | 1 | |
| 6 | 1. გაზ 66 | 1991 | 1 | ქ. თელავი |
| | 2. ტოიოტა ლენდკრუიზერი | 2003 | 1 | |
| | 3. უაზი („ვილისი") | 2003 | 6 | |
| | 4. ნისან პიკაპი | 2007 | 7 | |
| | 5. დეფენდერი | 2000 | 1 | |
| | 6. ლადა 21 214 (ნივა) | 1999-2006 | 2 | |

***შენიშვნა:*** ავტოპარკის გამოყენების შემთხვევაში სატენდერო წინადადების დანართში (ფასების ცხრილი) პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ავტოპარკით მომსახურების ღირებულება, ერთეულის (კილომეტრის) ფასი. ალტერნატიული წინადადება არ დაიშვება.

მომსახურეობა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, მიმწოდებლის ავტო-ნაწილებით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

1). სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, სამუშაო დღეებში, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ქ. თბილისი გ. გულუას ქ. №6, მე-5 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 12 თებერვლიდან 5 მარტის 16 საათამდე.

2). სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:

ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 301005500 (სატენდერო მოსაკრებელი) 5508 სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ, ქართულ ენაზე, ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 5 მარტს 16 საათამდე განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

4) არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

5). დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

6). პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება 2009 წლის 5 მარტს 16 საათზე, მისამართზე თბილისი, გ. გულუას ქ.№6 მე-5 სართული.

7). საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ რეგისტრაციის შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის:

მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირთათვის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს. ასევე ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

8). საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

9). ლოტში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ანა ჯაფარიძე, პლატონ ფიქრიშვილი ტელ: +995 752355; მისამართი: საქართველო, 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6 მე-5 სართული.

სატენდერო კომისია
12.02.2009
თარიღი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს მედიამონიტორინგის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია:** ქართულ ტელესივრცეში (ასევე უცხო ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებში საქართველოს თემაზე გასული სიუჟეტების მონიტორინგი) და ბეჭდვით მედიაში გასული სიუჟეტების მონიტორინგი, ინტერნეტის საშუალებით.

მედიამონიტორინგის მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ინფორმაციის მიწოდების მოქნილი მეთოდი - ტელევიზიის ეთერში და ბეჭდვით მედიაში გასული ახალი ამბების ოპერატიულად და სრულყოფილად წარმოდგენა, ვიდეო თუ დასკანირებული სტატიების თანხლებით.

2. ინფორმაციის მოძიების გამარტივებული საშუალება და მომუშავე ჟურნალისტების და პროდიუსერების მონიტორინგი - პროდუქტი უნდა ახარისხებდეს ინფორმაციას სიუჟეტის ავტორის, გადაცემის ნამყვანის და გადაცემის თარიღის მიხედვით.

3. არქივი - პრესასა და ტელევიზიაში გასული მასალების ხელმისაწვდომობა. სხვადასხვა საძიებო ველების არსებობა, რათა იოლად და დროის მინიმალურ მონაკვეთში იქნას შესაძლებელი სასურველი მასალის მოძებნა.

4. ანალიტიკა - პროდუქტი უნდა მოიცავდეს ანალიტიკურ ნაწილს, რაც ხელს შეუწყობს ხელმძღვანელობას გააუმჯობესოს პროდიუსინგი, მუდმივად შეადაროს თავი სხვა ტელეკომპანიების დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ობიექტური ინფორმაცია მიიღოს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ასევე ნებისმიერი საინტერესო უწყებისა თუ პერსონის შესახებ.

**შენიშვნა:** დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა: 2009 წლის 16 მარტიდან - 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 12 თებერვლიდან - 2009 წლის 4 მარტის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესყიდვების ჯგუფი. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რეკვიზიტები: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, სახაზინო კოდი N302008000;

**გადახდის დანიშნულება:** სატენდერო მოსაკრებელი, მედიამონიტორინგის მომსახურების შესყიდვის ტენდერი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 4 მარტის 13:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის" შესყიდვების ჯგუფი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისთვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2 ფიზიკური პირებისთვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოთ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესყიდვების ჯგუფი.

# სპორტი

## "ასკა" კიევურმა ტრანსფერმა გაახარა

საბოლოოდ გაირკვა მალხაზ ასათიანის ბედი. მოგეხსენებათ "ლოკომოტივი" ქართველი მცველის შენარჩუნებას არ ლამობდა, თუმცა გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო ასათიანის გადასვლა კიევის "დინამოში" არ გამოდიოდა. საქმე ისაა, რომ უკრაინული გუნდი "ასკას" ტრანსფერის გამოსყიდვას ერთი მარტივი მიზეზის გამო ვერ ახერხებდა, ამ შემთხვევაში კიეველებს ქართველისთვის ის ხელფასი უნდა შეენარჩუნებინათ, რომელსაც მას "ლოკომოტივში" უხდიდნენ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ასათიანი კვლავაც იჯარით ითამაშებს უკრაინულ გრანდში. საიჯარო ხელშეკრულება 2009 წლის მაისის ბოლომდეა გაფორმებული, ანუ უკრაინული სეზონის დასრულების შემდეგ ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი კვლავაც დღის წესრიგში იქნება.

ასათიანი უკვე შეუერთდა კიევის "დინამოს" და გუნდის ოფიციალური ვებგვერდის



ასათიანი კიევში დაბრუნდა

ჟურნალისტს მცირე ინტერვიუც მისცა.

**- იქონია თუ არა გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე იმ ნახევარმა წელიწადმა, რომელიც "დინამოში" გაატარეთ?**

- რა თქმა უნდა. ძალიან მსიამოვნებდა ესოდენ მეგობრულ კოლექტივში მუშაობა. ბიჭებთან საერთო ენა სწრაფად ვიპოვე, იური პავლოვიჩი კი კარგა ხანია მიცნობს და ჩემი შესაძლებლობებიც იცის. როდესაც საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოიწურა თავად ვისურვე "დინამოში" დარჩენა, თუმცა გარკვეული ფინანსური პრობლემები გაჩნდა. ახლა კი ხელშეკრულება ყველასთვის მისაღებია და მიხარია, რომ კვლავ "დინამოს" ფეხბურთელი ვარ.

**- გუნდი უკვე მეორე მოსამზადებელ ეტაპს იწყებს, მანამდე თუ ახერხებდით ფორმის შენარჩუნებას?**

- დიახ. მოსკოვში ვვარჯიშობდი. ძირითადად ინდივიდუალურად. ვგრძნობ, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, თუმცა დრო საკმაოდ არის და მომზადებას შევძლებ.

**- მოასწარით თუ არა გასაუბრება სიომინთან?**

- დიახ, იური პავლოვიჩთან ხანმოკლე საუბარი მქონდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მე დავეხმარები, ჩემის მხრივ შევეცდები მას იმედები არ გავუცრუვო.

## ბერძენ-რომაელები საევროპო სამზადის თბილისიდან შეუდგნენ

### 12 "თავისუფალი" ერთ ვერცხლს დასჭერდა

გიბა გურასაშვილი

*საქართველოს ბერძენ-რომაელთა უმთავრესი გუნდი ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისური შეკრებით იწყებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ საევროპოდ გაფართოებული შემადგენლობა დღეიდან სასტუმრო "ბატესტაში" შეკრიბა, სავარჯიშო ადგილად კი ვაკის ფალავანთა კლუბი დათქვა.*



გიბა გურასაშვილის ფოტო

ბერძენ-რომაელები საევროპოდ თბილისში შეიკრიბნენ

აქედანვე გარკვეულია, რომ კონტინენტის პირველობაზე საქართველოს ნაკრები მოისაკლისებს გუნდის პირველ ნომრებს დავით ბედინაძეს (60 კგ.), მანუჩარ კვირკველიას (74 კგ.), ბადრი ხასაიასა (84 კგ.) და რამაზ ნოზაძეს (96 კგ.). რჩეული ოთხეული სავარაუდოდ მარტიდან შეუდგება სანაკრებო მზადებას. მანამდე კი ბეგი დარჩიამ შემოიკრიბა ახლახანს დასრულებული საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნები და მესამეადგილოსნებს შორის გამარჯვებულები (შიდა სანაკრებო კანდიდატების შესარჩევად გადაწყდა, საქართველოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანთა ერთმანეთთან კონკურსგარეშე დაჭიდება და მათ შორის უძლიერესის გარკვევა. რედ.).

თბილისური შეკრების დასრულების შემდეგ, საქართველოს ნაკრები უნგრეთში "ოქროს გრან პრიზე" საასპარეზოდ გაემგზავრება. იქიდან დაბრუნებულები კი მარტში ორ შეკრებას გაივლის ბათუმში, მერე კი დასკვნითი მზადების დროც დადგება. ამ შემთხვევაში საუბარია ისევ თბილისში შეკრებაზე, ანაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ლიტვაში.

ჭიდაობის თემას "თავისუფლებით" გავაგრძელებთ, რომლებიც ანტალიის საერთაშორისო ტურნირიდან ერთი მედლით დაბრუნდნენ. თურქულ ხალიჩაზე საქართველოს ნაკრებმა თორმეტი მოჭიდავე - ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, გიორგი ედიშერაშვილი (ორივე 55 კგ.), გიორგი ბალიაშვილი, მალხაზ ზარქუა (60 კგ.), კობა კაკალაძე (66 კგ.), გოჩა ლომთათიძე (74 კგ.), ბექა ჭელიძე, ნიკო გაგნიძე, ირაკლი მარსაგიშვილი (84 კგ.), ლევან სეთურიძე (96 კგ.), გიორგი ნიკურაძე და ლაზარე მარსაგიშვილი (120 კგ.) გაიყვანა. მათ შორის კვარცხლბეკზე ასვლის პატივი მხოლოდ მალხაზ ზარქუამ დაიმსახურა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, ანტალიაშიც იგივე შედეგი აღმოაჩნდა.

ისე კი ახალგაზრდა მოჭიდავეებითა და ძირითადი ნაკრების მესამე-მეოთხე ნომრებით შემდგარი გუნდისგან, მნიშვნელოვან შედეგებს არავინ ელოდა. ანტალიურ ტურნირს უფრო ის დატვირთვა ჰქონდა, რომ ნაკრების მესამე-მეოთხე ნომრებს საერთაშორისო გამოცდილება მიეღოთ. ყოველ შემთხვევაში, თურქეთში გამგზავრებამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ აქცენტი სწორედ გამოცდილების შეძენაზე აიღო.

ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ თურქეთში გუნდს მწვრთნელებად ალეკო კახნიაშვილი და ჯემალ კილაძე გააყოლა. აი, თურმანიძე და მისი დამხმარე დავით ხურცია კი ნაკრების უმთავრეს კანდიდატებთან ერთად 3 თებერვლიდან სომხეთში წახკაძორის ოლიმპიურ ბაზაზე გადიან ორკვირიან შეკრებას.

და კიდევ, სავარაუდოდ, სწორედ სომხეთში ნავარჯიშევი თოთხმეტი მოჭიდავისგან შეირჩევა ის შვიდეული, რომელიც ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

### მშვილდოსნებმა ზამთრის ჩემპიონები გამოავლინეს

მშვილდოსნებმა საქართველოს ზამთრის მეექვსე ჩემპიონატის გამარჯვებულები გამოავლინეს. კაცებში პირველობა არავის დაუთმო შალვა წიბლიაშვილმა, ხოლო ქალებში ასმათ დიასამიძემ იმარჯვა.

უნივერსიტეტ "საქართველოს" სპორტულ დარბაზში მიმდინარე პირველობაში მონაწილეობა ყველა უძლიერესმა ქართველმა სპორტსმენმა მიიღო ნაკრების წევრ ქრისტინე ესებუას გარდა. მამაკაცებში საქართველოს ჩემპიონი ვეტერანი თბილისელი მშვილდოსანი შალვა წიბლიაშვილი გახდა. ფინალში მან ლადო ბოლქვაძეს 112:104 აჯობა. მესამე საპრიზოსთვის კი კახა ტრეტიაკოვმა ტარიელ ქადიძეს 101:97 სძლია.

ქალთა ასპარეზობას სიურპრიზების გარეშე არ ჩაუვლია. 18 წლის ნანა მახარაძემ პირველი სენსაცია მეოთხედფინალში დააფიქსირა, როცა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრ ხათუნა ნარიმანიძეს სძლია. აი, ნახევარფინალში კი კიდევ ერთი გამოცდილი სპორტსმენი, ოლგა ლადიგინა დაამარცხა. საქართველოს ზამთრის მეექვსე ჩემპიონატის გამარჯვებული კი ასმათ დიასამიძეა. ფინალში მან მახარაძეს საკმაოდ იოლად მოუგო - 109:93. მესამე ადგილისთვის ლადიგინამ ნათია ცინცაძე 111:105 დაამარცხა.

### ქართველი წყალშიმხტომელები ჩინეთში გაემგზავრნენ

საქართველოს წყალში მხტომელთა ეროვნული ნაკრების წევრები შოთა კორახაშვილი და ჭოლა ჭანტურია გუშინ ჩინეთის ქალაქ შენჟენი მსოფლიო გრან-პრიზე საასპარეზოდ გაემგზავრნენ.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი სარეიტინგოა, შესაბამისად, კორახაშვილი და ჭანტურია ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომებს 3 მეტრიან ტრანპლინიდან შეასრულებენ. ტურნირში 15 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

ქართველი სპორტსმენები თბილისში 16 თებერვალს დაბრუნდებიან.

### "ანჟი" ბოსნიელებთან დამარცხდა

ომარ თეთრაძის მიერ დარიგებულმა მახაჭყალის "ანჟიმ" თურქულ შეკრებაზე ბოსნიურ "ბორაცთან" საკონტროლო მატჩი ჩაატარა და 0:2 დამარცხდა. ბოსნიელებმა ანგარიში უკვე მეორე წუთზე გახსნეს, პირველივე ტაიმში კი გიორგი ნავალოვსკიმ საჯარიმოში ხელით ითამაშა და ბორაცმა "პენალტის" გატანაც მოახერხა.

ნავალოვსკიმ პირველი ტაიმის შემდეგ მინდორი დატოვა, ზურაბ არზიანმა, გოჩა ხოჯავამა და სანდრო იაშვილმა შეუცვლელად ითამაშეს, კახაბერ ალადაშვილი კი თამაშში 46-ე წუთზე ჩაერთო.

"ანჟი" მორიგ მატჩს 14 თებერვალს ერთ-ერთი უზბეკური გუნდის წინააღმდეგ გამართავს.

### დოლიძის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა

აზერბაიჯანის საფეხბურთო პრემიერლიგის მეორე წრის სტარტზე, ტოვუზის "თურანის" წინღაამდეგ, ზაქათალის "სიმურგის" ქართველი ნახევარმცველის გრიგოლ დოლიძის თამაში სათუოა.

დოლიძემ ტრავმა ზამთრის მოსამზადებელი პერიოდის დასაწყისში მიიღო და ამიტომ, საქართველოში შეკრებაგავლილ "სიმურგს" ვერცერთ ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დაეხმარა. ამ ხნის განმავლობაში, იგი ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

დოლიძის გარდა, "სიმურგში" კიდევ სამი ქართველი ლეგიონერი - მიხეილ მახვილაძე, კახა ჩხეტიანი და დავით ბოლქვაძე გამოდიან.

### თაყაძე სომხეთში ითამაშებს

ქართველი განაპირა ნახევარმცველი მიხეილ თაყაძე, კარიერას სომხეთის საფეხბურთო უმაღლესი ლიგის კლუბ კაპანის "განძასარში" გააგრძელებს.

თაყაძე ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ახალციხის "მესხეთის" ღირსებას იცავდა, ხოლო "განძასარი" მის კარიერაში მესამე უცხოური კლუბია. მანამდე იგი მოლდოვის "შერიფსა" და "კონსტრუქტორულში" ირიცხებოდა.

შარშან, სომხურ გუნდში სამი ქართველი - მამუკა მენთეშაშვილი, კობა ხანიშვილი და გაგა თიბილაშვილი გამოდიოდა. თუმცა, სეზონის დასრულების შემდეგ, პირველი ორი გუნდიდან გაუშვეს.

2008 წელს, სომხეთის რვაგუნდიან ჩემპიონატში "განძასარმა" მე-3 ადგილი დაიკავა.

### კობახიძე "დნიპროს" ძირითადში ათამაშეს

სანდრო კობახიძე "დნიპროს" სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა. მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ბესონოვმა ჩერნიგორიის "რუდარის" წინააღმდეგ მატჩში, რომელიც უკრაინელებმა 0:2 დათმეს, გუნდში დარჩენილი ორი ქართველიდან ორივე სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. სანდრო კობახიძე 57-ე წუთზე შეცვალეს ჯაბა კანკავამ კი მატჩი სრულად ითამაშა.

### ჰიდინკი "არისტოკრატებს" გაწვრთნის

ლონდონის "ჩელსის" პრესსამსახურის უფროსმა სთივ ატკინსმა დაადასტურა, რომ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი სეზონის ბოლომდე სათავეში ჩაუდგება ლონდონელ არისტოკრატებს. "შეთანხმება რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ჰიდინკთან "ჩელსიში" შეთავსებით მუშაობის შესახებ მიღწეულია სეზონის ბოლომდე. რაც შეეხება ჩვენი შემდგომი ურთიერთობის პერსპექტივებს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს საკითხი ჯერ არ წამოჭრილა," - ამბობს ატკინსი.

### დუნგა კმაყოფილია, ლიპი არა

ამხანაგური მატჩში ბრაზილიელებმა 27 წუთში მოუთავეს საქმე იტალიის ნაკრებს და ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდნენ. ორივე ბურთი "მანჩესტერ სითის" ბრაზილიელი ლეგიონერების ანგარიშზეა. მე-13 წუთზე ანგარიში ელანომ გახსნა, 27-ე წუთზე კი რობინიომ ორამდე გაზარდა სხვაობა. შედეგით და თამაშით კმაყოფილი დარჩა ბრაზილიელთა თავკაცი კარლოს დუნგა: "ხარისხობრივი თვალსაზრისით მაღალი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ. ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგი ინდივიდუალური ტექნიკა აჩვენეს. კმაყოფილი ვარ შედეგით. ეს იყო ტაქტიკური მოგება. ჩვენ კარგად შევისწავლეთ იტალიელები, განსაკუთრებით კი მათი ტაქტიკა. ამიტომაც იყო, რომ ჩვენი თამაში საკმაოდ კარგი სანახავი გახლდათ. ჩვენი ნაკრების ყველა მოთამაშე მილოცვას იმსახურებს." - მატჩის შემდეგ ამაყად აცხადებდა დუნგა. ცხადია საპირისპირო განწყობა ქონდა მატჩის შემდეგ "სკუადრა აძურას" თავკაც მარჩელო ლიპის: "ამ ეტაპზე ჩვენი მეტოქე უკეთესად გამოიყურებოდა. ჩვენ არ აღმოვჩნდით საკმარისად ძლიერნი იმისათვის, რომ ბრაზილიელბისათვის ღირსეული წინააღმდეგობა გაგვეწია. საჭიროა ჩვენს თავზე ვიმუშაოთ და გავაუმჯობესოთ ის შედეგები, რაც უდავოდ ტოვებს უკეთეს სურვილს. ვიტყვი იმასაც, რომ ბრაზილიის ნაკრების ცოტა შეგვეშინდა, რითაც ჩვენივე თავს გარკვეული პრობლემები შევუქმენით."

### ფერგიუსონს მთავარ კონკურენტად "ბარსელონა" მიაჩნია

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი "ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგაზე "წითელი ეშმაკუნების" მთავარ კონკურენტად მიიჩნევს. "ბარსელონა" ამ სეზონის მთავარი თემაა. მის გამოსვლას ესპანეთის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი სიტყვით თუ დავახასიათებ, ეს სიტყვა იქნება "დიდებული". ვფიქრობ სწორედ "ბარსელონასგან" გველის მთავარი საფრთხე ჩემპიონთა ლიგაზე. როცა მოურინიო ჩამოვიდა ინგლისში ჩვენი თამაშის სანახავად "ჩელსის" წინააღმდეგ, დამპირდა, რომ კარგ ღვინოს მაჩუქებდა. ველარ ვითმენ, მინდა რაც შეიძლება მალე მივიღო დანაპირები. "ინტერთან" მატჩი საკმაოდ რთული იქნება. ამ გუნდს ხომ შესანიშნავი მწვრთნელი და გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს." - ამბობს ფერგიუსონი.

### დეკუ გაკვირვებულია

პორტუგალიელმა ნახევარმცველმა დეკუმ განაცხადა, რომ "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის, ლუიშ ფელიპე სკოლარის გადადგომით გაკვირვებულია. სწორედ ფეხბურთის ბრაზილიელმა სპეციალისტმა მიიწვია დეკუ ლონდონურ კლუბში. "სკოლარი კარგი მწვრთნელია. პროექტის განვითარებისთვის მას მეტი დრო უნდა მისცემოდა. მისი გადადგომის შესახებ გავრცელებულმა ცნობამ შოკში ჩამაგდო. ამისი დაჯერება არ მსურდა. "ჩელსიში" ჩემი გადასვლის მიზეზი, სკოლარისთან ერთად მუშაობის პერსპექტივა გახლდათ. მან "ჩელსიში" თავისი ამბიციური გეგმების შესახებ მიამბო და კონტრაქტის გაფორმება გადავწყვიტე, თანაც სხვა შემოთავაზებებზე უარი ვთქვი", - განაცხადა დეკუმ.

### ბრაზილიელი ვუნდერკინდი 30 მილიონად შეფასდა

ბრაზილიური "გრემიოს" 18 წლის ნახევარმცველი დუგლას კოშტა, შესაძლოა, ზაფხულიდან ტურინის "იუვენტუსის" წევრი გახდეს. ამ ინფორმაციის საფუძვლიანობა არაერთმა იტალიურმა და სამხრეთამერიკულმა გამოცემამ დაადასტურა. უკვე საკმაო ხანია, "ბებერი ქალბატონის" წარმომადგენლები თვალს ადევნებენ ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის გამოსვლას, რომელიც სამშობლოში "ახალ რონალდინიოდ" მონათლეს. ცნობისთვის, თავის დროზე პროფესიული კარიერა რონალდინიომაც "გრემიოთი" დაიწყო. ტურინელებს კი, კოშტა ვეტერანი პაველ ნედვედის შემცვლელად ჰყავთ შეგულებული. დუგლას კოშტაზე პრეტენზიას ევროპული ფეხბურთის კიდევ სამი გრანდი - მადრიდის "რეალი", "ბარსელონა" და "მანჩესტერ იუნაიტედი" აცხადებს. ისიც სათქმელია, რომ ცოტა ხნის წინ, ახალგაზრდა ნახევამცველმა "გრემიოსთან" ახალი, გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის ერთ-ერთ პუნქტში ასეთი რამ სწერია - თუკი რომელიმე კლუბი კოშტას შეძენას მოისურვებს, ფეხბურთელის სანაცვლოდ 30 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. ასე რომ, "ახალი რონალდინიო" საკმაოდ ძვირად ფასობს.

### ადებაიორი საუკეთესო აფრიკელია

2008 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად, ტოგოს ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელი ემანუელ ადებაიორი დაასახელეს. ადებაიორი "არსენალში" 2006 წლის 13 იანვარს "მონაკოდან" 3 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ გადავიდა და ინგლისის პრემიერლიგაში ჩატარებულ 100 შეხვედრაში 44 გოლი გაიტანა. 24 წლის ფორვარდი, ტოგოს ნაკრებში 2000 წლიდან გამოდის და 38 მატჩში მეტოქის კარი 24-ჯერ აიღო. აფრიკის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად კოტ დ`ივუარისა და ლონდონის "ჩელსის" ფორვარდი სალომონ კალუ აღიარეს. წლის ნომერ პირველ ეროვნულ ნაკრებად, "შავ კონტინენტზე" ეგვიპტე მიიჩნიეს, ხოლო საუკეთესო მწვრთნელად ასევე ეგვიპტელი ჰასან შეჰატა დაასახელეს. წლის საუკეთესო აფრიკული კლუბის წოდება ეგვიპტურ "ალ-აჰლის" ერგო.

# ფაჩულიას "დაბლი"

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს, "ატლანტა ჰოუქსმა" "ვაშინგტონ ვიზარდს" უმასპინძლა. მატჩი ზაზა ფაჩულიასთვის აშკარად წარმატებული გამოდგა. ქართველი ცენტრი მწვრთნელმა ამჯერადაც ძირითად ხუთეულს მიღმა დატოვა, თუმცა სათადარიგოთა სკამიდან თამაშში შესული ფაჩულია მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. დედაქალაქელებთან შეხვედრაში ზაზამ მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა, "ქორებმა" კი მეტოქე ანგარიშით 111:90 დაამარცხეს.



ფაჩულია მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ატლანტელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ზაზას მხოლოდ 22 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ არც ისე დიდ მონაკვეთში საქართველოს ნაკრების წევრმა 11 ქულისა და 12 მოხსნის დაგროვება შეძლო. შედარებისთვის გეტყვით, რომ ძირითადი ცენტრის პოზიციაზე მოთამაშე ალ ჰარფორდმა მატჩი 6 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა. ამ თამაშის მოგების შემდეგ "ქორებს" უკვე 30 მოგება დაუგროვდათ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილიც დაიმკვიდრეს.

მომდევნო მატჩი ზაზა ფაჩულიას გუნდს დღეს გამთენიისას "დეტროიტის" წინააღმდეგ უნდა გაემართა.

ევროპულ კალათბურთში კი თავი ისახელა ტაირონ ელისმა. ფიბას ევროჩელენჯის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების შავკანიანი მცველის "კახასოლი" პერმის "ურალ გრეიტს" ესტუმრა და 72:61 დაამარცხა. ელისმა მოედანზე 25 წუთი დაჰყო და 3 ქულა, 2 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

ტაირონმა 6-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, 2 ორქულიანი კი მიზანს ააცილა.

ესპანური კლუბის რიგებში საუკეთესო იგნერსკიმ 21 ქულის მოგროვება მოახერხა.

"კახასოლს" K ჯგუფში მეტოქეებთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და თითო მოგება-წაგებით მესამე ადგილზე იმყოფება.

ჯგუფის ლიდერი კვიპროსული EKA AEL-ია, რომელმაც მე-3 ტურში როსტოვის "ლოკომოტივი" 87:69 გაანადგურა.

# "ბექსმა" ფულს ფეხბურთი ამჯობინა

დევიდ ბექჰემის "მილანში" დარჩენა არდარჩენის საკითხი ალბათ მარტის ბოლომდე იქნება აქტუალური. ინგლისელი იტალიურ გრანდს საოცრად სწრაფად შეეწყო და "როსონერის" დატოვება აღარ უნდა, თანაც სწორედ "მილანში" გადასვლის წყალობით შეძლო დევიდმა ინგლისის ნაკრებში ადგილის დაბრუნება.

როგორ შეეწყო დევიდი "მილანს", რას ფიქრობს საკუთარ მომავალზე და რა გეგმები აქვს მას, ამის შესახებ თავად ფეხბურთელი იტალიელ ჟურნალისტებს ესაუბრა. ინტერვიუ ინგლისი-ესპანეთის ამხანაგურ მატჩამდეა ჩაწერილი.

**- თქვენი აზრით რა გელით მომავალში, როგორ განვითარედება თქბვენი კარიერა?**

- "მილანში" დარჩენა მსურს, თუმცა სამწუხაროდ ყველაფერი ჩემს სურვილზე როდია დამოკიდებული. მაგრამ იმედი მაქვს ყველა მხარისთვის მისაღებ პირობებზე შევთანხმდებით. "მილანში" დარჩენა იმიტომ მინდა, რომ ამ კლუბმა თავი კვლავ ფეხბურთელად მაგრძნობინა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ყველაფერი ასე კარგად წარიმართებოდა.

**- რას ელით ასეთი გულახდილი განცხადების შემდეგ?**

- დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. აუცილებელია "მილანსა" და "ლოს-ანჯელეს გელექსის" შორის მიმდინარე მოლაპარაკებების დასრულებას. თუმცა, პირადად მე გადაწყვეტილება უკვე მიღებული




დევიდი ნაკრებში ვარჯიშისას

მაქვს.

**- და რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება?**

- ამ ეტაპზე ეს ჩემი ყველაზე დიდი სურვილია. სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია.

**- დაახასიათეთ თქვენი ახალი კლუბი?**

- მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბია. აქ თამაშის დროს საშუალება მომეცა დავბრუნებულიყავი ეროვნულ ნაკრებში.

**- "მილანმა" გაგაოცათ?**

- დიახ, აქ მივიღე უდიდესი გამოცდილება და ასეთი რამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო.

**- "მილანში" დარჩენის შემთხვევაში სერიოზულ ფინანსურ დანაკლისს განიცდით**

- "მილანი" ფულზე მეტია. პირველ რიგში ფეხბურთზე ვფიქრობ.

**- როგორი რეაქცია ჰქონდა ამერიკულ კლუბს თქვენს განცხადებაზე?**

- არ ვიცი. უნდა აღვნიშნო, რომ "გელექსიმ" და მისმა მენეჯერმა, ტიმ ლეივეკმა ბევრი რამ გააკეთეს, რათა ამ კლუბში გადავსულიყავი.

**- გამოდის, რომ კლუბს იმედი ვერ გაუმართლეთ.**

- "გელექსის" დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უკვე გამოვთქვი "მილანში" დარჩენის სურვილი. იმედი მაქვს, კლუბები ერთმანეთთან მოილაპარაკებენ.

**- ამჟამად რა ეტაპზეა მოლდაპარაკებები?**

- ამერიკული კლუბის ხელმძღვანელობასთან მე კონტაქტი არ მაქვს, მაგრამ ჩემი წარმომადგენელი ცდილობს არსებული პრობლემის მოგვარებას. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება

**- აგვიღწერეთ, ამჟამად თქვენი განწყობა როგორია?**

- ბედნიერი და მოხარული ვარ იმით, რომ "სან სიროზე" თამაშის საშუელება მომეცა. გუნდში შესანიშნავად დამხვდნენ. თავს საკუთარ სახლში ვგრძნობ, ამგვარმა მოპყრობამ თავიდანვე დამარწმუნა, რომ "მილანში" უნდა დავრჩე. არსად მინახავს ვარჯიშების დროს ისეთი ატმოსფემო, როგორიც ეს "მილანშია".

**- თქვენს ადაპტირებაში ყველაზე დიდი როლი ვინ ითამაშა?**

- პაოლო მალდინიმ. ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა დიდი მეგობრობა გამიწია.

**- რა მიზნებს ისახავთ ამჟამად?**

- დავრჩე "მილანში", ვითამაშო კარგი ფეხბურთი და დავბრუნდე ეროვნულ ნაკრებში. თუ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა მსურს, მანამდე სტაბილურად უნდა ვითამაშო მაღალ დონეზე.

**- როგორც სჩანს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაში დარწმუნებული ხართ.**

- დიახ, დარწმუნებული ვარ. მით უმეტეს, რომ კაპელომ ესპანეთთან ამხანაგურ მატჩზე გამომიძახა. კაპელო არასდროს ცვლის ფეხბურთელთა შეფასების მისეულ მეთოდს. თუ თავდაუზოგავად ვარჯიშობ და კარგად თამაშობ, ნაკრებში შენი ადგილი ყოველთვის მოიძებნება.

# არგენტინელი უარყოფს

არგენტინელი ჩოგბურთელი გილერმო კანიასი აცხადებს, რომ 2 თებერვალს ზაგრებში გამართული მატჩი მასსა და ხორვატ ჩოგბურთელ ანტონიო ვეიჩს შორის ჩაწყობილი არ ყოფილა. კანიასის თქმით, მას თამაშის დროს მხარი ასტკივდა და ამის გამო წააგო. ეს განცხადება არგენტინელმა Tennis.com-ის მეშვეობით გაავრცელა.

საქმე ისაა, რომ 2 თებერვალს ზაგრებში მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში არგენტინელი თავისზე გაცილებით სუსტ მეტოქეს ხვდებოდა და დამარცხდა ანგარიშით 6:4, 4:6, 2:6. რამდენიმე დღის შემდეგ კი საქმის გამოძიება ტოტალიზატორმა Betfair-მა დაიწყო.

Betfair-ის ინფორმაციით, თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში, მოთამაშეებმა ვეიჩის გამარჯვებაზე დაიწყეს ფულის დადება თანაც საკმაოდ სოლიდური თანხების. რეიტინგში 255-ე ჩოგანზე ფსონს მაშინაც კი მრავლად აკეთებდნენ, როდესაც მან პირველი სეტი წააგო, მეტიც თანხის რაოდენობა სწორედ მაშინ გაიზარდა, როდესაც კანიასმა პირველი სეტი მოიგო და ხორვატი თითქოს განწირული იყო.

საინტერესოა, რომ ვეიჩმა მეორე წრეში კიდევ ერთი ფავორიტის დამარცხება შეძლო, კერძოდ ხორვატმა რუსი ევგენი კოროლიოვი დაამარცხა და ამ შემთხვევაშიც ტოტალიზატორზე ანოლოგიური რამ ხდებოდა. საბოლოოდ უკვე ფავორიტად გცეული ვეიჩი მეოთხედფინალში თანამემამულე ჩილიჩთან დამარცხდა.

5 თებერვალს ესპანურ გამოცემა "ასში" დაიბეჭდა, რომ ზაგრების ტურნირის დირექტორმა მუქარის წერილი მიიღო, სადაც ეწერა, რომ წერილის ავტორმა ვეიჩის გამარჯვების გამო სოლიდური თანხა წააგო და 2009 წლის ტურნირი უკანასკნელი იქნებოდა, რომელსაც ზაგრებმა უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ცნობილი ჩოგბურთელები თამაშის ჩაშვებაში არიან ეჭვმიტანილი. 2007 წელს კარგა ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოძიება, რომელიც ნიკოლაი დავიდენკოს უკავშირდებოდა, თუმცა საბოლოოდ რუს ჩოგბურთელს თამაშების ჩაშვება ვერ დაუმტკიცდა.

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ხაშურში და დაბა სურამში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები
სატენდერო პაკეტის ნომერი: **SB/IDP/CW/15-2009**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს ქ. ხაშურში და დაბა სურამში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/15-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:
ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220 101 757
სალარე ანგარიშის №: 340 800 01
საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 12 თებერვლიდან 10:00 საათიდან 4 მარტის 17:00 საათამდე.

3. შესყიდვის საგანი:

***ქ. ხაშურში და დაბა სურამში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები***

***ლოტი №1:***

***ქ. ხაშურში ყოფილი საწვავ-საპოხი მასალების შენობაში და №64 პროფტექნიკური სასწავლებლის კორპუსში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები -*** **SB/IDP/CW/15-2009-L1**

სარემონტო სამუშაოების საერთო ფართი 4380 მ²

***ლოტი №2:***

***დაბა სურამში სანატორიუმ "წყაროს" სამსართულიან №3 კორპუსში, სანატორიუმ "სურამის" №1 კორპუსში, სანატორიუმ "მზიურის" „დ" კორპუსში, სანატორიუმ "წყაროს"-ში და ბავშვთა სახლე კორპუსში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების სარემონტო სამუშაოები*** - **SB/IDP/CW/15-2009-L2**

სარემონტო სამუშაოების საერთო ფართი 5416 მ²

თითოეულ ლოტზე განსახორციელებელი ძირითადი სამუშაოები მოიცავს შემდეგს:

| |
|---|
| - სახურავის მოწყობა თუნუქით |
| - შიდა სამღებრო სამუშაოები |
| - კარფანჯრები |
| - იატაკის მოწყობა |
| - შიდა სანიტარული კვანძების რემონტი |
| - გარე სანიტარული კვანძების მოწყობა |
| - შიდა ელექტრო სამუშაოები |
| - სასმელი წყლით მომარაგება |

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 4 თვეს თითო ლოტზე.

*დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.*

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (დედანი);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმე (დედანი);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (დედანი);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (დედანი).

5. პრეტენდენტთა წინადადებების განხილვისა და შეფასებისათვის მოთხოვნილი მინიმალური კრიტერიუმები:
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წლიური ბრუნვის შესახებ - ბოლო 3 წლის საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული მოგება-ზარალის უწყისები და საწარმოს ბალანსები. პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს ლოტზე №1 მინიმუმ 5,7 მილიონ ლარს, ხოლო ლოტზე №2 – მინიმუმ 9 მილიონ ლარს.
- წერილი ან ცნობა ბანკიდან პრეტენდენტის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში საკრედიტო ხაზის არსებობის ან გახსნის მზადყოფნის შესახებ, რომლის მინიმალური ოდენობა უნდა იყოს ლოტზე №1 260,000 ლარი, ხოლო ლოტზე №2 - 400,000 ლარი.
- ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების შესახებ – პრეტენდენტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 2 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო, სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან;
- პრეტენდენტის ძირითადი პერსონალის საკვალიფიკაციო ინფორმაცია. პროექტის მენეჯერს ან მასთან გათანაბრებულ პირს უნდა ჰქონდეს მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- პრეტენდენტი უნდა ფლობდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება ერთ ლოტზე. შესაბამისად, რამოდენიმე ლოტში მონაწილეობის შემთხვევაში მინიმალური თანხა გაიზრდება ლოტების რაოდენობის პროპორციულად.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან ორი გამარჯვებული თითოეულ ლოტზე ცალცალკე ან ერთობლივად ყველა ლოტზე.

8. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ **საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში** ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 12 თებერვლიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

10. **სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის** განმავლობაში.

11. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

12. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 5 მარტის 12:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

13. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 5 მარტის 12:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

14. 2009 წლის 5 მარტის 12:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
**მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,**
**ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**
**ფაქსი: +995 32 48 45 55**
ელ-ფოსტა: **procurement@mdf.org.ge**
ინტერნეტ-გვერდი: **www.mdf.org.ge**

---

## *ქ. თბილისის მერია*
## *2009 წლის 30 იანვრის გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებულ აუქციონში შევიდეს შემდეგი შესწორება.*

***ლოტი N 24 უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:***

ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 18 სექტემბრის N16.07.553 დადგენილებით ააიპ ქ. თბილისის N10 საბავშვო ბაგა-ბაღის" ბალანსიდან ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზება.
***გაცემის ფორმა -*** აუქციონი პირობებით;
***სარგებლობის ფორმა -*** საკუთრება;
***გასასხვისებელი ქონება -*** 0,075 ტონა (სავარაუდო წონა) ჯართი;
***კომისიის მიერ დადგენილი სააუქციონო პირობები:***
ა) გასასხვისებელი ქონების საწყისი ფასი - 12 ლარი;
ბ) აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 1 ლარი;
გ)G აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე" განისაზღვროს 5 ლარით;
დ) აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური - 5 ლარი;
ე) მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
ვ) აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს, ააიპ ქ. თბილისის N10 საბავშვო ბაგა-ბაღისა" და ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა;
ზ) აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, ააიპ ქ. თბილისის N10 საბავშვო ბაგა-ბაღის" ტერიტორიაზე არსებული ჯართის დაჭრა და გატანა;

***ლოტი N 25 უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:***

ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 20 მარტის N04.23.152 დადგენილებით ააიპ. ქ. თბილისის N20 საბავშვო ბაგა-ბაღის" ბალანსიდან ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზება.
***გაცემის ფორმა -*** აუქციონი პირობებით;
***სარგებლობის ფორმა -*** საკუთრება;
***გასასხვისებელი ქონება -*** 0,3 ტონა (სავარაუდო წონა) ჯართი;
***კომისიის მიერ დადგენილი სააუქციონო პირობები:***
ა) გასასხვისებელი ქონების საწყისი ფასი - 45 ლარი;
ბ) აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი;
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე" განისაზღვროს 18 ლარით;
დ) აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური - 5 ლარი;
ე) მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
ვ) აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს, ააიპ ქ. თბილისის N20 საბავშვო ბაგა-ბაღისა" და ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა;
ზ) აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, ააიპ ქ. თბილისის N20 საბავშვო ბაგა-ბაღის" ტერიტორიაზე არსებული ჯართის დაჭრა და გატანა;

---

# ცხადდება ღია კონკურსი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად (2 - მთელი შტატი და 1 - 0,5 შტატი)

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
2. კალენდარული ავტობიოგრაფია.
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ხოლო დოქტორანტებისათვის (ასპირანტებისათვის) - ცნობა შესაბამისი საგანმანათლებლო (სამეცნიერო დაწესებულებიდან).
4. გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი.
5. 1 სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს (კვლევის უნარს).
6. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელფოსტა, მისამართი) (სასურველია).
7. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია).
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

***ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები***

1. სახელმწიფო ენის ცოდნა.
2. რუსული ენის ცოდნა.
3. უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
4. მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და მარკეტინგული კვლევების გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით 2 ეგზემპლარად და ელექტრონული ფორმით.
**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 10 მარტის 1100 საათზე.**
საბუთები მიიღება ინსტიტუტის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე:
თბილისი, ფალიაშვილის ქ.N 85, მე-2 სართული, კადრების განყ. (ოთ. N 217).
**კონკურსის ჩატარების დრო - 11 მარტი, 1200 საათზე.**
**კონკურსის შედეგები გამოცხადდება - 16 მარტს.**
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
საქართველო, 0162, თბილისი, ფალიაშვილის ქ.N 85
ტელ.: 29 46 03, 22 64 00, 22 57 85
E-mail: tcimr@internet.ge
www.caumineral.org.ge

The New York Times offers a “window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# მოგონილი პენალტით წაგებული თამაში


AFP ' 2009

*იაშვილის ამ დარტყმით ანგარიში გაიხსნა*

16 წუთი იყო დარჩენილი თამაშის დასრულებამდე, როცა მატჩის ფინელმა არბიტრმა ჰიიტიამ ყოვლად გაუგებარი პენალტი დანიშნა საქართველოს ნაკრების კარში და რობი კინმა გაათანაბრა ანგარიში. კიდევ ხუთ წუთში კინმა თავით გაგვიტანა მეორე გოლი და ირლანდიამ ნატანჯი გამარჯვება გამოგლიჯა ქართველებს ხელიდან - 2:1.

არადა, საქართველოს ნაკრები იგებდა თამაშს ალექსანდრე იაშვილის მიერ მეორე წუთზე გატანილი გოლით და არავინ იცის, ჰიიტიას ფანტაზიორობა რომ არა, როგორ დასულდებოდა გუშინდელი მატჩი. კუპერმა თავის სტილს არ უღალატა. მან კონტრშეტევებზე გადაიტანა აქცენტი. ქართველი ფეხბურთელები ცდილობდნენ, ამბიციური მეტოქისთვის სივრცე შეეზღუდათ და არ მიეცათ შეტევის ორგანიზების საშუალება. თამაშის პირველ ნახევარში, კუპერის გუნდმა ეს ამოცანა, ასე თუ ისე, შეასრულა. მართალია ირლანდიის ნაკრებს სრული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ლომაიას კართან პირველ ტაიმში ორი რეალური სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომელიც ლომაიამ ზუსტი თამაშით განმუხტა.

კარგი ის იყო, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსება საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ექვსმა ფეხბურთელმა დაიცვა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ბრიტანული ტემპისთვის ეს ფეხბურთელები მზად არ აღმოჩნდნენ. ქართველები ვერ ასწრებდნენ პოზიციებზე ჩამოსვლას, ხშირი იყო ელემენტარული შეცდომები პასის გაკეთებისას და შედეგად ირლანდიამ სრული უპირატესობა მოიპოვა, რაც საბოლოო ჯამში ნაკრებს ძვირად დაუჯდა.

**ექტორ რაულ კუპერი:** "ვერ ამიხსნია, რა დარღვევა დააფიქსირა მსაჯმა. მე მარტო ის დავინახე, რომ გვერდით მსაჯს აწეული ჰქონდა ალამი, რომელიც თავის მხრივ თამაშგარეს ანიშნებდა. პენალტი, რომელიც დაგვინიშნეს, უსამართლობად მიმაჩნია, მაგრამ მხოლოდ მსაჯის გადაწყვეტილებას ვერ დავაბრალებ მარცხს.

ვფიქრობ, სამი თუ არა, ერთი ქულა მაინც დავკარგეთ.

როგორც არ უნდა იყოს, პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეორეში არც თუ დამაჯერებლად გამოვიყურებოდით. მართალი გითხრათ, მეორე ტაიმში ირლანდიელების მოძალებას ველოდი. მეგონა ფიზიკურ კონდიციებში ვერ ავყვებოდით. აი, პენალტმა კი არამარტო შედეგზე იქონია გავლენა, არამედ ფსიქოლოგიურადაც გაგვტეხა. მიუხედავად ამისა, მუშაობა გვმართებს, უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი გუნდი".

**ირლანდია - საქართველო 2:1**
0:1 - იაშვილი (2`), 1:1, 2:1 - რობი კინი (74`-პენ, 79`)




## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
**ბიზნესის მართვის ბიურო“**

**განცხადება**
რეორგანიზაციის შესახებ

2008 წლის 22 ნოემბრის პარტნიორთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „ბიზნესის მათვის ბიუროს“ რეორგანიზაციის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად ყველა კრედიტორს ვთხოვთ ოფიციალურად წერილობით წარმოადგინოს ორგანიზაციის მიმართ საკუთარი მოთხოვნები შემდეგ მისამართზე: თბილისი 0103, ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩა N19.

შპს „ბიზნესის მართვის ბიუროს“
პარტნიორები

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „წინამძღვრიშვილის ქ. N26/18, იაშვილის ქ. N18, გალაკტიონის ქ. N23/23, გალაკტიონის ქ. N21 ორი და სამსართულიანი და ლერმონტოვის ქ. N17/6-ში მდებარე შენობების ფუძე-საძირკვლების, მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრების, ასევე წყალსადენის, საკანალიზაციო და სანიაღვრე გარე ქსელების აღდგენის სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 28 იანვარს ხელშეკრულებები გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან: „ალიანსი“ და „აგრომშენსერვისი“, 30 იანვარს შპს „სანდრიკა 2008“-სთან.

ქ. თბილისის ძველი თბილისის
რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საწვავის შესასყიდად 17 იანვარს გამოცხადებული ტენდერის შედეგები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საწვავის შესასყიდად 17 იანვრის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდა სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია.“

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ. მარნეული 12 თებერვალი 2009 წ.**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ქ. მარნეულში მდებარე საცხოვრებელი მრავალბინიანი მრავალსართულიანი შენობების სახურავების სარემონტო სამუშაოების შესასყიდად. კერძოდ;

1.1 ქანობიანი გადახურვით:
ა) 26 მაისის ქ. N18 (ძველი N32)
ბ) 26 მაისის ქ. N26 (ძველი N34)
გ) 26 მაისის ქ. N30 (ძველი N36)
დ) გრიბოედოვის ქ. N1
ე) ერეკლე II-ის ქ. N4
ვ) ერეკლე II-ის ქ. N6
ზ) გიორგაძის ქ. N3
თ) გიორგაძის ქ. N3**გ**
ი) რუსთაველის ქ. N49 (ძველი N47)
კ) დავით აღმაშენებლის ქ. N69 (ძველი N19)

1.2 რბილი-ბრტყელი გადახურვით:
ლ) ყოფილი N1 სამხედრო ქალაქი N2
მ) ყოფილი N1 სამხედრო ქალაქი N6
ნ) რუსთაველის ქ. N23
ო) რუსთაველის ქ. N114 (ძველი N116)
პ) რუსთაველის ქ. N83 (ძველი N81)
ჟ) ჯანდარის მასივი N2
რ) ჯანდარის მასივი N3
ს) ჯანდარის მასივი N4
ტ) ჯანდარის მასივი N5
უ) 20 იანვრის ქ. N2**ა**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადა - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან **2009 წლის 01 ოქტომბრამდე.** შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ **200 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (რეკვიზიტებზე: მიმღები“ - რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მარნეულის განყოფილება ს/ნ 216403229. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, თბილისი, ბანკის კოდი N220101222, ა/ა N 200122900. მარნეულის მუნიციპალიტეტის სახაზინო კოდი 300103174, გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, საცხოვრებელი მრავალბინიანი მრავალსართულიანი შენობების სახურავების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის), ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 05 მარტამდე** მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N71, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შენობა (II სართული - მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება). ამასთან,Dდაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთ დალუქულ პაკეტში უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 05 მარტს 1000 საათიდან 1500 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. N73, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობა (III სართული - გამგეობის კანცელარია).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

5.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან უკანასკნელი **18 (თვრამეტი) თვის** განმავლობაში მინიმუმ **500 ათას ლარზე მეტი** ბრუნვის შესახებ;
გ) ინფორმაცია უკანასკნელი **18 (თვრამეტი) თვის** განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (ღირებულების მითითებით).
დ) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება ცნობის სახით, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;
ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ვ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

ასევე, პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები მე-5 მუხლის შესაბამისად. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს **მე-5** მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეთათვის ინსტრუქციის **მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით** და საბაზისო მონაცემთა ნუსხით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებაში, საკონტაქტო ტელეფონი (8 257) 2-13-14, (8 257) 2-52-15, მალხაზ სამაშვილი.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს №34 ხიხანში შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ.64-117; ზომლეთი-ხიხაძირის საავტომობილო გზის კმ.1-28; გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმის საავტომობილო გზის კმ.1-10; შუახევი-ხიხაძირის საავტომობილო გზის კმ.1-41.5; ხიჭაური-ნაღვარევის საავტომობილო გზის კმ.1-28.5) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 სამუშაოების შესრულების ვადა – 2009-2010 წლების განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეუძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, ბიუჯეტის შემოსავლის სახაზინო კოდი: 302007800, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის). სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლებათ შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გატანა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 11 თებერვლიდან 2009 წლის 4 მარტის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, შესყიდვების სამმართველო.

4. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-14[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად გამოყენებული იქნება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ცალ-ცალკე ორი დალუქული კონვერტი (კონვერტზე გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნით). პირველ კონვერტში უნდა მოთავსდეს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებისა და ტექნიკური წინადადების დედანი და ასლი, ხოლო მეორე კონვერტში მხოლოდ სატენდერო წინადადების, ხარჯთაღრიცხვის და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიის დედანი და ასლი.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების ქართულ ენაზე წარმოდგენის ვადაა – 2009 წლის 5 მარტის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2009 წლის 6 მარტის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე (სამუშაო დღეებში და საათებში).

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პირველი სართული, საქმის წარმოების განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დაუბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

გ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.3 როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარების და აპარატურის შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, ითხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი. სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობები, დანადგარები და აპარატურა.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა. შ. | | | | | |

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და მოცულობის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება სავალდებულო არ არის).

უშუალოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის (ქვეკონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და მოცულობის სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 50%.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (მითითებული იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები) |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| და ა.შ. | | |

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიისა, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

12. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწყებული 06.03.2009წ.)

13. სატენდერო წინადადების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

14. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.92 გიზო ელიზბარაშვილი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

## შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" განცხადება ავტონაწილების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" ესაჭიროება ქვემოთ ჩამოთვლილი ავტომანქანებისთვის ჰაერის და საწვავის ფილტრების, წინა და უკანა ხუნდების და ძრავის ღვედების შესყიდვა.

| # | დასახელება | PIN |
|---|---|---|
| 1 | ფოლცვაგენ ტაურეგი - (ბენზინი) - 2004 წ. | WVGZZZ7LZ5D041106 |
| 2 | ტოიოტა ლენდ კრუიზერი - 2004 წ. (დიზელი) | JTECBO9J003019211 |
| 3 | ტოიოტა ლენდ კრუიზერი "პრადო"- (ბენზინი) 2007წ. (4.0) | JTEBU29J505115017 |
| 4 | ტოიოტა ლენდ კრუიზერი "პრადო"- (ბენზინი) 2007წ. (2.7) | JTEBL29J905093154<br>JTEBL29J205093366 |
| 5 | ნისანი X ტრაილი -(ბენზინი)- 2004 წ. | JN8BT05Y55W008778<br>JN8BT05Y75W008779 |
| 6 | ჰუნდაი სონატა (ბენზინი)- 1998წ. | KMHCF31TPWU919365 |
| 7 | მერსედესი 230 – (ბენზინი) 1990 წ. | WDB1240201A367914 |
| 8 | მიცუბიში L-200 - (დიზელი 2.5) - 2007 წ. | MMBJNKB408D030339 |
| 9 | ფორდექსპლორერი (ბენზინი) 1994წ. | 1FMDU34X6RUC40105 |

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2 შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" შესყიდვების სამსახური; ტელ/ფაქსი 989816; მობ.-877240436.

## საგზაო-სამშენებლო კომპანია შპს. "ბლექ სი გრუპი" აცხადებს შემდეგ ვაკანსიებს

1. **ტოპოგრაფი** - მამაკაცი, ხელფასი 1200 ლარი topograpi@gmail.com
2. **ინჟინერ-ეკონომისტი** - /2 ვაკანსია/ პროფილი : საგზაო-სამშენებლო, ინგლისური ენის ცოდნა, გამოსაცდელი ვადის პერიოდში 700 ლარი, შემდგომ 1500 ლარი. engineereconomist@gmail.com
3. **პროექტის მენეჯერი** - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 5 წელი, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ინგლისური ენის ცოდნა, 3000 ლარი proektismenejeri@gmail.com
4. **საგზაო საქმეთა მწარმოებელი** - 3 ვაკანსია, - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 3 წელი, 750 ლარი 3 თვე საცდელი ვადის პერიოდში, ხელფასის ზრდის პერსპექტივით. prarabi1@gmail.com
5. **საგზაო საქმეთა მწარმოებლის თანაშემწე** - 3 ვაკანსია, - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 3 წელი, 450 ლარიდან prarabisdamxmare@gmail.com
6. **წარმოების დირექტორი** - მოეთხოვება ასფალტის, ბეტონის, მილების ქარხნების მართვა, გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 3-5 წელი, ხელფასი 2000 ლარი
   doreqtori1@gmail.com
7. **ტექნიკის მართვის მენეჯერი** - საგზაო-სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, გამოცდილება მინიმუმ 3 წელი, ხელფასი 1500 ლარი. teknikismenejeri@gmail.com
8. **სარემონტო სახელოსნოს უფროსი** - საგზაო-სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის კონტროლი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი, ხელფასი 1500 ლარი saxelosno@gmail.com
9. **მძღოლების უფროსი** - 2 ვაკანსია. 850 ლარი, mdzgolebi@gmail.com
10. **ასფალტის სამუშაოთა მწარმოებელი** - 2 ვაკანსია, ხელფასი 1500 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 10 წელი aspalti01@gmail.com
11. **ასფალტის დამგები მექანიზმის ოპერატორი** - 5 ვაკანსია, ხელფასი 1500 ლარიდან, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი aspalti02@gmail.com
12. **წყლის სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების ინჟინერი** - , ხელფასი 1500 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 10 წელი wateristem01@gmail.com
13. **წყლის სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების საქმეთა მწარმოებელი** - 3 ვაკანსია, ხელფასი 1200 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 5 წელი wateristem02@gmail.com

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N6-12-ში მდებარე სახლის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის, გამაგრებისა და „პასაჟის“ ინტერიერის რეკონსტრუქციის სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 4 თებერვალს ხელშეკრულება გაფორმდა სს „თბილისის მონოლითმშენთან“.

ქ. თბილისის ძველი თბილისის
რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „ქ. თბილისში, მთაწმინდის, ორპირისა და ბოტანიკურის ქუჩების მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე ლოტების შესაბამისად 2009 წლის 28 იანვარს ხელშეკრულებები გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან: „ალიანსი“ და „ემი“.

ქ. თბილისის ძველი თბილისის
რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

## ცვლილება 2009 წლის 6 თებერვლის გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებებში

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ 2009 წლის 6 თებერვალს გამოცხადებულ:

1. უფასო კვების მომსახურების შესყიდვის შესახებ განსახდებაში N 1 ლოტში ნაცვლად 14000 ბენეფიციარისა მითითებული უნდა იყოს 1 400 ბენეფიციარი. (N 25 გვერდი C8)
2. ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავების მომსახურების შესყიდვის განცხადების თავსართში შეცდომითაა მითითებული „ქ. რუსთავი 5 თებერვალი 2009წ.“ (N 25 გვერდი C4)
3. 2 ცალი მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შესყიდვის შესახებ განცადების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი: „ორ ლოტად:

ლოტი N 1 1 ცალი ავტომობილი. ძრავის მოცულობა 4 000 ლ. ბენზინი (4X4)

ლოტი N 2 1 ცალი ავტომობილი. ძრავის მოცულობა 4 200 ლ. ბენზინი (4X4)

## ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

ს.ს.ი.პ. - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35) საკანცელარიო ნივთების, კომპიუტერის, ფაქსის და ქსეროქსის ნაწილების, მცირეფასიანი ტექნიკისა და ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვაზე სამ ლოტად ტენდერის ჩატარების შესახებ შევიდეს ცვლილებები. კერძოდ განცხადების „6“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (მიმღები: აჭარის ა/რ ფინანასთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური, ანგარიში Nნომერზე 897 293 000, სს საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101 502, საიდენტიფიკაციო კოდი - 245444844, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 22 იანვრიდან 2009 წლის 22 თებერვლის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ე.ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N11

სატენდერო კომისია

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

გაზეთ 24 საათის“ 2009 წლის 10 თებერვლის N28-ში თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული საკავალიფიკაციო მონაცემები და მოთხოვნები, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებისათვის შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 250 7 31 05.

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „ქ. თბილისში, გალაკტიონის ქ. N11; გალაკტიონის ქ. N12; გალაკტიონის ქ. N14; გალაკტიონის ქ. N15; გალაკტიონის ქ. N17; გალაკტიონის ქ. N18; გალაკტიონის ქ. N22; ასათიანის ქ. N29; გალაკტიონის ქ. N9 და გორგასალის ქ. N1-ში მდებარე გამაგრებული შენობების ფასადების აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე, ლოტების შესაბამისად 2009 წლის 28 იანვარს ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ალიანსთან“, 29 იანვარს - შპს „დაგი“-სთან, 3 თებერვალს - შპს „ტექს ჯორჯია“-სთან.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის**
**რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „რაიონის ტერიტორიაზე მწვანე ზოლის ექსპლუატაციისათვის საჭირო მომსახურების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 26 იანვარს ხელშეკრულება გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „გრინსერვისი“.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის**
**რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში რეაბილიტირებული გზების საგზაო სამოსის მშენებლობის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში რეაბილიტირებული გზების საგზაო სამოსის მშენებლობის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული მომსახურება;

***მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 04 მარტის 11:00 საათიდან 2009 წლის 04 მარტის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში რეაბილიტირებული გზების საგზაო სამოსის მშენებლობის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 12 თებერვლიდან 2009 წლის 04 მარტის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. არასამეწარმეო კერძო სამართლის იურიდიული პირი- თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება აცხადებს ტენდერს, სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სავარაუდო მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება საკუთარი ტრანსპორტითა და ხარჯებით, უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთში არსებულ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. დაწესებულებების დასახელება და მისამართი მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2.1 შესასყიდი პროდუქტების რაოდენობა და დასახელება მითითებული
იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2.2 საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა, 2009 წლის 6 მარტიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ).

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართველმა „მიმწოდებელმა" ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა" მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი ფოთი-4400, დ. აღმაშენებლის ქუჩა N12, თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში, 2009 წლის 5 მარტის 12.00 საათამდე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირებისათვის და ფიზიკური პირებისათვის (ინდივიდუალურ მეწარმეთათვის):

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.2 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის (ინდივიდუალურ მეწარმეთათვის)

4.2.1 მონაწილის იურიდიული სტატუსი, კერძოდ: საწარმოს, ინდივიდუალურ მეწარმის, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის და სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის ქსეროასლი, ფიზიკური პირებისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ქსეროასლი , რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, საკონტაქტო ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

4.2.1 ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის თაობაზე.

5. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები (ინდივიდუალური მეწარმეები) ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წამოადგენენ მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

7. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა სატენდერო მოსაკრებლის 200(ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ (საბანკო რეკვიზიტები - ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, სატენდერო შემოსავლის კოდი 300423174) განხორციელდება სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 5 მარტის 12.00 საათამდე ამ განცხადების მე-3 პუნქტში აღნიშნულ მისამართზე.

8. სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 5 მარტის 12.00 საათი. საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტება არ ხდება საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის დაწყების შემდეგ.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1-%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების მთლიანი ფასის 2%-ის ოდენობით.

12. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ფასი, საქონლის ხარისხი, ანგარიშსწორების პირობები და საქონლის მიწოდების ვადები.

13 . ტენდერში ალტერნატიული წინადადება არ გამოიყენება.

14. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში მისამართი, ქალაქი ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N12.

14. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბერდია ბუსქანძე, საკონტაქტო ტელეფონი - 8(293) 2-22-28, 8(293) 2-25-23; მობილური - 899 14-97-41;

სატენდერო კომისია

# ცვლილება განცხადებაში საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში **(უნიფორმის, დამხმარე სამოსელისა და აღჭურვილობის)** შესყიდვაზე 2009 წლის 5 თებერვლის გაზეთ „24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილება:

კერძოდ: **შესყიდვის ობიექტი ლოტი 15 - დან ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

**საველე ფორმა ზამთრის**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 15 | ქურთუკი და შარვალი თბილი (კომუფლირებული) | კომპლ | 500 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივი მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 |
| 16 | ქურთუკი, შარვალი, მოსახსნელი მათბუნებლით (ციფრული - წყალგაუმტარი) | კომპ | 1000 | | |
| 17 | ქუდი ნაქსოვი | ცალი | 4200 | | |
| 18 | ნიღაბი (ზამთრის) | ცალი | 3000 | | |
| 19 | ხელთათმანი ნაქსოვი | წყვილი | 3500 | | |
| 20 | პულოვერი | ცალი | 5000 | | |
| 21 | საცვალი ზამთრის | ცალი | 4300 | | |
| 22 | წინდა შალის | წყვილი | 4300 | | |

**საველე ფორმა ზაფხულის**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | შარვალი, ხალათი, კეპი (ფერი - ციფრული, კომუფლირებული) | კომპ | 6000 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივი მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 |
| 24 | შარვალი, ხალათი, კეპი (ფერი - დაფოთლილი, კომუფლირებული) | კომპ | 1000 | | |
| 25 | შარვალი, ხალათი, კეპი (ფერი - მულტიკამი, კომუფლირებული) | კომპ | 1000 | | |
| 26 | შარვალი, ხალათი, კეპი (ფერი - ლურჯი) | კომპ | 1000 | | |
| 27 | ნიღაბი ზაფხულის | ცალი | 2500 | | |
| 28 | მაისური მოკლე მკლავიანი (ფერი ციფრული კომუფლირებული) | ცალი | 11500 | | |
| 29 | მაისური მოკლე მკლავიანი (ფერი - დაფოთლილი კომუფლირებული) | ცალი | 3500 | | |
| 30 | წინდა ბამბის | წყვილი | 17500 | | |
| 31 | ლაბადა საწვიმარი | ცალი | 3000 | | |
| 32 | ქამარი შარვლის ბრეზენტის | ცალი | 7000 | | |
| 33 | ქამარი წელის ბრეზენტის | ცალი | 5000 | | |

**ფეხსაცმელი**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 34 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი (ყველა სეზონის) | წყვილი | 4500 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივი მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 |
| 35 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი ზამთრის | წყვილი | 6300 | 01.08.09 - 31.08.09 | |
| 36 | ჩუსტი | წყვილი | 2000 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში | |

**აღჭურვილობა**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 37 | ზურგჩანა კომუფლირებული | ცალი | 500 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივი მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 |
| 38 | საძილე ტომარა | ცალი | 1500 | | |
| 39 | საძილე ტომრის ქვეშსაგები | ცალი | 1500 | | |
| 40 | განტვირთვის ჟილეტი | ცალი | 6000 | | |
| 41 | კარდალა | ცალი | 4000 | | |
| 42 | მათარა | ცალი | 4000 | | |
| 43 | კოვზი და ჩანგალი კომბინირებული | ცალი | 3000 | | |
| 44 | ფურნიტურა | ცალი | 7000 | | |
| 45 | მესანგრის ნიჩაბი | ცალი | 2000 | | |

**დამხმარე (სამუშაო სამოსელი და ფეხსაცმელი)**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 46 | სამედიცინო ხალათი | ცალი | 100 | ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 |
| 47 | მზარეულის ხალათი, შარვალი და ქუდი | კომპ | 200 | | |
| 48 | წინსაფარი წყალგაუმტარი | ცალი | 100 | | |
| 49 | დამლაგებლის ხალათი | ცალი | 200 | | |
| 50 | მაღალყელიანი რეზინის ჩექმა | წყვილი | 50 | | |
| 51 | რეზინის ჩექმა | წყვილი | 200 | | |

**სატენდერო**

**კომისია**


# აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

**2009 წლის 14 თებერვალს ეწყობა**

**ღია კარის დღე:**

*11 საათი*

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;

მედიცინის ფაკულტეტი.

*13 საათი*

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

*15 საათი*

იურიდიული ფაკულტეტი;

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

მისამართი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი ( ილია ჭავჭავაძის გამზირი N 1 ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი.

ტელეფონი: 221117; 227899

www.tsu.ge


საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია **„ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო"** (ნლს) ახორციელებს დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციას ქალაქ ქუთაისში. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია აცხადებს ღია ტენდერს სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე ყველა დაინტერესებული პირისათვის.

## სატენდერო პირობები

ორგანიზაცია, რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი სახის საკვალიფიკაციო მონაცემები:

1. სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელის სარეგისტრაციო სერტიფიკატი თავისი საიდენტიფიკაციო ნომრით.
3. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აქტივებისა და თანამშრომელთა შესახებ.
4. საბანკო რეკვიზიტები (ბანკის დასახელება, კოდი, ანგარიშის ნომერი).
5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.
6. სადაზღვევო დოკუმენტაცია.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) ქუთაისის ოფისში 2009 წლის 11 თებერვლის 10:00 საათიდან 2009 წლის 12 თებერვლის 17:00 საათამდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, დავითაშვილის მე-2 შესახვევი N 4.

2009 წლის 13 თებერვალს NRC-ის ინჟინრების მიერ ორგანიზებული იქნება სავალდებულო საველე ვიზიტები ობიექტებზე კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად. შეხვედრის ადგილი: ქ. ქუთაისი, დავითაშვილის მე-2 შესახვევი N 4. დილის 10 საათზე.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას NRC-ის ქუთაისის ოფისში არაუგვიანეს 17თებერვლის 17:00 საათამდე. სავალდებულოა, ხარჯთაღრიცხვა მოთავსდეს დაბეჭდილ კონვერტში, რომელიც სხვა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად ჩაიდება საერთო დალუქულ კონვერტში.

დალუქული კონვერტის გარეშე საბუთები არ მიიღება.

**საკონტაქტო ტელეფონები: 8 (99) 146322**

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**გარდაბნის რაიონის ვაზიანის დასახლებაში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები**

**სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/16-2009**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **გარდაბნის რაიონის ვაზიანის დასახლებაში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები** (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/16-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილოების მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220 101 757
სალარე ანგარიშის N: 340 800 01
საიდენთიფიკაციო კოდი: 206 074 193
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 12 თებერვლიდან 10:00 საათიდან 4 მარტის 17:00 საათამდე.

3. შესყიდვის საგანი:

***გარდაბნის რაიონის ვაზიანის დასახლებაში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები***

პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- ვაზიანის დასახლებაში (8 კორპუსი) შენობების რეაბილიტაციას - საერთო ფართობით 1586.4მ$^2$;
- დაზიანებული სახურავის აღდგენას მოთუთიებული თუნუქით 4500მ$^2$;
- ჭერის და კედლების შელესვას და შეღებვას;
- მეტალოპლესტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟს 330მ$^2$;
- სანიტარულ კვანძებში მეტლახის ფილების მოწყობას -410მ$^2$;
- იატაკის მოწყობას ლამინირებული პარკეტით - 1177მ$^2$;
- ხის კარებების მოწყობას 242მ$^2$;
- შიდა და გარე წყალსადენის და კანალიზაციის სისტემის მოწყობა-აღდგენას სანიტარულ კვანძში;
- შიდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს;
- და სხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 5 თვე.

*დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.*

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (დედანი);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმე (დედანი);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (დედანი);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (დედანი).

5. პრეტენდენტთა წინადადებების განხილვისა და შეფასებისათვის მოთხოვნილი მინიმალური კრიტერიუმები:

- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წლიური ბრუნვის შესახებ - ბოლო 3 წლის საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული მოგება-ზარალის უწყისები და საწარმოს ბალანსები. პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 16,5 მილიონ ლარს.
- წერილი ან ცნობა ბანკიდან პრეტენდენტის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში საკრედიტო ხაზის არსებობის ან გახსნის მზადყოფნის შესახებ, რომლის მინიმალური ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 700,000 ლარი.
- ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების შესახებ - პრეტენდენტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 2 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო, სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან;
- პრეტენდენტის ძირითადი პერსონალის საკვალიფიკაციო ინფორმაცია. პროექტის მენეჯერს ან მასთან გათანაბრებულ პირს უნდა ჰქონდეს მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- პრეტენდენტი უნდა ფლობდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

8. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 12 თებერვლიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

9. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

11. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

12. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 5 მარტის 15:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

13. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 5 მარტის 15:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

14. 2009 წლის 5 მარტის 15:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
**მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,**
**ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**
**ფაქსი: +995 32 48 45 55**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქუჩა N1, მომსახურე ბანკი - ს.ს. საქართველოს სახალხო ბანკის აბაშის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი - N222448643, ანგარიშის N3303005, ტელ/ფაქსი - 8 (212) 9-18-35) აცხადებს ტენდერს ქ. აბაშაში მიმდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვისა და ფასადების სარემონტო-სამღებრო სამუშაოებზე და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტები დაყოფილია სამ ლოტად:

**ლიოტი N1** - ქ. აბაშაში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N2, N4, N25, N50, N87, ჩიქოვანის ქ. N8, ჯორჯიკიას ქუჩა N2 და გამსახურდიას ქ. N17 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები (არსებული აზბოცემენტის შიფერის სახურავი მთლიანად იცვლება მოთუთუებული გოფრირებული მეტალის ფურცლით, სახურავის მთლიანი ფართის 65%-იანი აფიცვრით).

**ლოტი N2** - ქ. აბაშაში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N73, N102, N141, N141ა, ს.ცომაიას ქ. N5 და რუსთაველის ქ. N2 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები (არსებული აზბოცემენტის შიფერის სახურავი მთლიანად იცვლება მოთუთუებული გოფრირებული მეტალის ფურცლით, სახურავის მთლიანი ფართის 65%-იანი აფიცვრით).

**ლოტი N3** - ქ. აბაშაში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N37, N68, N70, N141, N141ა ფასადების სარემონტო-სამღებრო სამუშაოები.

სარემონტო სამუშაოების დამთავრების სავალდებულო ვადაა 2009 წლის 30 სექტემბერი.

პრეტენდენტი იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირებიდან წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის საკვალიფიკაციო მონაცემები (საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა აგრეთვე ქვეკონტრაქტორებზე, თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე):

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირის რეკვიზიტები (საფირმო სახელწოდება, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები და ტელეფონის ნომერი);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ;
3. წესდება (იურიდიული პირებისათვის);
4. რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
5. ცნობა გირავნობა-იპოთეკისა და ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
6. ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მხოლოდ იურიდიული პირების მიერ);
7. ცნობა, მომსახურე ბანკიდან, საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
8. ინფორმაცია, ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ და ამჟამად მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
9. ინფორმაცია, ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირების, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
10. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
11. ცნობა საქართველოს შ.ს. სამინისტროდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელი და მეწარმე ფიზიკური პირი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, არ არის მსჯავრდებული ეკონომიკური და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, ამასთან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის, რომ მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

- პრეტენდენტმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლის 5 მარტის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: - ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქ. N1, II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი;
- საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს დედანის ან ნოტარიულად დამტკიცებული ქსეროასლების სახით;
- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აღმოჩნდება ყალბი, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს ასეთი პირის დისკვალიფიკაცია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეიძლება, გაზეთ „24 საათში" ტენდერის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან ყოველდღე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ და შეწყდება სატენდერო წინადადების გახსნამდე ერთი დღით ადრე, ანუ 4 მარტს, 14 საათზე.
- სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 200 ლარს, რომელიც შეტანილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: - სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, კოდი - 300363174, ბანკი - სახელმწიფო ხაზინა N220101222.
- შესყიდვაში მონაწილების მსურველ პირებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, უფლება ეძლევათ, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო აპარატში, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას;
- ზემოთ მითითებულ მისამართზე სატენდერო დოკუმენტაციის გაცემას აწარმოებს სატენდერო კომისიის აპარატი.
- სატენდერო წინადადება კომისიას წარედგინება დახურული კონვერტით და მისი გახსნა მოხდება სატენდერო წინადადების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტთა თანდასწრებით, ან მათ გარეშე, მიმდინარე წლის 5 მარტს, 14 საათზე, შემდეგ მისამართზე: - ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქ. N1, II სართული, სატენდერო კომისია;
- ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, ხელშეკრულების დადებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკი, აკრედიტივი ან სხვა გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არანაკლებ ორი და არაუმეტეს ხუთი პროცენტისა;
- დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და შემდეგ ტელეფონებზე: - 855 155-222; 899 730-896.

სატენდერო კომისია

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ ქ. თბილისში, ფუნიკულიორის ასასვლელის წინ მდებარე, ლ. ასათიანის ქუჩაზე არსებული, ი. გოგებაშვილის ქ. N43-ის უკან მდებარე, ტვერელის ეკლესიის მოპირდაპირედ არსებული და სულხან-საბას სახელობის სკვერების რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე ლოტების შესაბამისად 2009 წლის 28 იანვარს ხელშეკრულებები გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან: „ალიანსი“, „ემი“ და „უნივერსალური სამშენებლო ჯგუფი“. 2009 წლის 29 იანვარს - შპს „მშენთან“.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის**
**რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2009 წლის 3 თებერვლის გაზეთ 24 საათში“ გამოქვეყნებულ N3 (წყალტუბოს რ-ნში, სოფ. სარბევის ტერიტორიაზე, მდ. რიონის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება) ობიექტზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 2009 წლის 17 თებერვალს 12 საათზე აუქციონი გაიმართება. მის: ჭანტურიას ქ. N12; ტელ: 98 20 13, 98 23 62. აღნიშნულ ობიექტზე უქციონში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღების ბოლო ვადაა ა/წ 16 თებერვალი.

## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2008 წლის 19 ნოემბერს კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის I ლოტში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „იუ-ჯი-თი“, ხოლო II და IV ლოტებში შპს სოფტ მასტერი“.

## განცხადება
## შპს “ქიზიყი-2002”-ის ლიკვიდაციის შესახებ

2009 წ. 9.02 პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება შპს ქიზიყი-2002 -ის ლიკვიდაციის შესახებ. მესამე პირებს, რომელთაც კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით გააჩნიათ მოთხოვნის უფლება შპს ქიზიყი-2002 -ის მიმართ, მიმართონ ლიკვიდატორს იური ზედელაშვილს, სიღნაღი, ერეკლე II-ის ქ. 27. საკონტაქტო ტელეფონი: 895-90-61-67.

### გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მიერ გამოქვეყნებულ ტენდერში ჩასამატებელი ცვლილება

1. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებლების 1%-ის ოდენობით.
2. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**შესყიდვის ობიექტი –** სატრანსპორტო საშუალებების და მესამე პირის მიმართ სატრანსპორტო საშუალებების პასუხისმგებლობის დაზღვევა

| ლოტი | დასახელება | აღწერილობა | დაზღვევის პერიოდი |
|---|---|---|---|
| I | სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა | TOYOTA RAV-4 | ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009 |
| II | სატრანსპორტო საშუალებების პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირის მიმართ (10 მანქანა) | პასუხისმგებლობის დაზღვევა თითოეულ მანქანაზე **50 000** აშშ დოლარზე | ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009 |

**– დაფინანსების წყარო:** ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

– სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 4 მარტის 17:00 საათამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის (200 (ორასი) ლარის ოდენობის) დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5. მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი – 220101222;
ანგ/ანგარიში – 200122900;
საინდენტიფიკაციო კოდი – 206160606;
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300773174.

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ორგანიზაციული კოდი 1533, ტენდერი №1.

– დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი – დედანი, ორი – ასლი), 2009 წლის 5 მარტის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, ოთახი №237 სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის აპარატი.

– წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 5 მარტს 15:00 საათზე, ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში, მე-3 სართული, ოთახი №349.

– დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

– საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის (გაკოტრება რეაბილიტაციის საქმე);
დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის).

**ფიზიკური პირისათვის:**
ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის);

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**
ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი” ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაზუსტებას არ ექვემდებარება.

– ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) ხელმოწერილი ან ბეჭდით დამოწმებული სატენდერო წინადადება, (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელიც უნდა მოიცავდეს ლოტის ღირებულებას, სატენდერო წინანდების მოქმედების ვადასა და გადახდის სასურველ პირობებს.
ბ) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ქართულ ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლიბით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

– სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ **30 დღე**. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

– იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

– ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

– სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5, მე-2 სართული, საკონტაქტო პირები ოთახი №245 გიორგი მამუჩაშვილი (ტელ 877 55 33 10) და ოთახი №237 ვასილ გაგნიძე (ტელ 877 55 69 69).

*სატენდერო კომისია*

საქმე 2/498-08

## განჩინება
## საქართველოს სახელით

9 დეკემბერი 2008 წ. ქ. ზუგდიდი
ზუგდიდის რაიონული სასამართლო
მოსამართლე ირაკლი აბშილავა
მოსარჩელე სს ბანკი რესპუბლიკა
წარმომადგენელი ფიქრია ზირაქაშვილი
მოპასუხე თეა გვასალია
მოპასუხე ლუარა ბუსქანძე
მოპასუხე მაგდალინა-მედიო გვასალია
მოპასუხე ირაკლი გვასალია
სასარჩელო მოთხოვნა:
საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება
თანხების დაკისრება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს ბანკი რესპუბლიკას წარმომადგენლის განცხადება პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

2008 წლის 29 ოქტომბერს სს ბანკი რესპუბლიკას მიერ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოშიტშემოტანილ იქნა სასარჩელო განცხადება თეა გვასალიას, ლუარა ბუსქანძის, მაგდალინა-მედიო გვასალიასა და ირაკლი გვასალიას მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და თანხების (მათ შორის სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის ხარჯების) ანაზღაურების შესახებ, სულ 25437,07 ლარის ოდენობით.

სარჩელს ერთვის შემდეგი მტკიცებულებები: ა) საკრედიტო ხელშეკრულება №52539, 12.02.2008, მხარეები: სს რესპუბლიკა ბანკის ზუგდიდის ფილიალი და თეა გვასალია, ბ) სესხის დაფარვის გრაფიკი, გ) იპოთეკის ხელშეკრულება №B-052539/1, 12.02.2008 მხარეები სს ბანკი რესპუბლიკა და მაგდალინა-მედიო გვასალია, ლუარა ბუსქანძე, ირაკლი გვასალია, დ) იპოთეკის ხელშეკრულება №B-052539, 12.02.2008 მხარეები სს ბანკი რესპუბლიკა და მაგდალინა-მედიო გვასალია, ლუარა ბუსქანძე, ირაკლი გვასალია, ე) ცნობა დავალიანების შესახებ, ვ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 431106524, ზ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 431106137, თ) ამონაწერი სესხზე, მემორიალური ორდერი სასესხო თანხის გაცემის შესახებ, ი) ამონაწერი სესხზე, კ) იურიდიული შეტყობინება, ლ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, მ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

მოპასუხეთა გზავნილები ჩაბარდა ერთ-ერთ მოპასუხეს მაგდალენა გვასალიას. სხვა მოპასუხეებს გზავნილები ვერ ჩაბარდათ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ორჯერ გააგზავნა სარჩელი და თანდართული მასალები დაზღვეული ფოსტით შეტყობინებით. საფოსტო შეტყობინებებში აღნიშნულია, რომ ადრესატები მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობენ. სხვა ალტერნატიული მისამართები სასამართლოსთვის უცნობია.

2008 წლის 9 დეკემბერს სასამართლოში შემოვიდა სს ბანკი რესრუბლიკას წარმომადგენლის ფიქრია ზირაქაშვილის განცხადება, რომელსაც თან ერთივს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროდან მიღებული საინფორმაციო ბარათები მოპასუხეთა შესახებ. განცხადებაში მითითებულია, რომ მოპასუხეთა ალტერნატიული მისამართები ვერ იქნა მოძიებული. ითხოვს მოპასუხეებს სქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ ეცნობოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით შეტყობინების საჯარო გავრცელების გზით, რომლის ხარჯებსაც ამ ეტაპზე გაიღებს მოსარჩელე.

სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის უზრუნველსაყოფად იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეებს სასამართლო გზავნილები ვერ ბარდებათ, მათთვის უნდა განხორციელდეს შეტყობინების საჯარო პუბლიკაცია.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს ბანკი რესპუბლიკის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
2. მოპასუხეთა საცხოვრებელ ადგილას გავრცელებული მასობრივი ინფორმაციის - გაზეთის საშუალებით გავრცელდეს **ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საჯარო შეტყობინება** შემდეგი შინაარსით:

**მოპასუხე თეა გვასალიას (მცხ. ზუგდიდი, სოფ. ახალსოფელი)**

**მოპასუხე ლუარა ბუსქანძეს (მცხ. ზუგდიდი, სოფ. ახალსოფელი)**

**მოპასუხე მაგდალინა-მედიო გვასალიას (მცხ. ზუგდიდი, ცაიშვილის ქ. 36)**

**მოპასუხე ირაკლი გვასალიას (მცხ. ზუგდიდი, სოფ. ახალსოფელი)**

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 29 ოქტომბერს სს ბანკი რესპუბლიკას მიერ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში შემოტანილია სასარჩელო განცხადება /საქმე №2/498-08, მოსამართლე ირაკლი აბშილავა/ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და თანხების (მათ შორის სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის ხარჯების) სოლიდარულად დაკისრების შესახებ, სულ 25437,07 ლარის ოდენობით.

სარჩელს ერთვის შემდეგი მტკიცებულებები: ა) საკრედიტო ხელშეკრულება №52539, ბ) სესხის დაფარვის გრაფიკი, გ) იპოთეკის ხელშეკრულება №B-052539/1, დ) იპოთეკის ხელშეკრულება №B-052539, ე) ცნობა დავალიანების შესახებ, ვ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 431106524, ზ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 431106137, თ) ამონაწერები სესხზე, ი) მემორიალური ორდერი სასესხო თანხის გაცემის შესახებ, კ) იურიდიული შეტყობინება, ლ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, მ) სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

მოპასუხეებს შეუძლიათ სარსელისა და თანდართული მასალების ასლები მიიღონ სასამართლოში - მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12, საკონტაქტო პირი ნინო ჩემინავა.

პუბლიკაცია ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოპასუხეები ვალდებულნი არიან საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში წარმოადგინონ პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე.

შესაგებლის დადგენილ ვადაში აპასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება .

3. სასამართლოს საჯარო შეტყობინების გაზეთის საშუალებით გავრცელება /2008 წლის 15 დეკემბრამდე/, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურება და სათანადო მტკიცებულების სასამართლოსთვის წარმოდგენა /2008 წლის 23 დეკემბრამდე/ დაევალოს მოსარჩელეს სს ბანკი რესპუბლიკას .
4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე ირაკლი აბშილავა**

## განცხადება

2009 წლის 12 მარტს, 14 სთ-ზე ჭიათურა, ბარათაშვილის ქ.№46-ში ტარდება აუქციონი, რომელზედაც გასაყიდად გამოდის შპს მეტალოინვესტის ქონება: 9 ტონა 22 მმ დიამეტრის არმატურა, რომლის საწყისი გასაყიდი ღირებულებაა 6500 ლარი. განცხადებები მიიღება 2009 წლის 12 მარტამდე. მონაწილეობის მიღების საგარანტიო თანხაა ქონების საერთო ღირებულების 2%.

შპს მეტალოინვესტის გაკოტრების მმართველი ტარიელ შარაბიძე, ტელ. 898-119139.

### ცვლილება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 27 იანვრის გაზეთ „24 საათში" სხვადასხვა სახის სარეკლამო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში შეტანილია ცვლილება კერძოდ:

მე-3 პუნქტში შევიდეს ცვლილება:

| ლოტი № | დასახელება | განზომილების ერთეული | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|
| 2 | რადიო რეკლამის განთავსება | 120 წამი დღეში ერთ რადიოში | 2009 წლის მანძილზე მოთხოვნის შესაბამისად |

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური
### მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

## შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ საბლანკო უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 16 იანვრიდან გამოცხადებული იქნა ტენდერი **საბლანკო უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ
:

1. მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში, პირველი პოზიციიდან ამოღებული იქნა **ზომა A-2;**
2. მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში, მეხუთე პოზიციიდან ამოღებული იქნა: **გრაფიკები, ცნობარი, კონვერტი, მოწმობა, დიპლომი, გაუთვალისწინებელი ინდივიდუალური საბლანკო პროდუქცია** და საბოლოდ შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით

| მომსახურების დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | |
|---|---|---|
| საბლანკო უზრუნველყოფა | მკაცრი აღრიცხვის, სატვირთო და სამგზავრო დოკუმენტები | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | | ზომა A-5 |
| | | ზომა A-6 |
| | | ზომა A-7 |
| | ბლანკები | ზომა A-1 |
| | | ზომა A-2 |
| | | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | | ზომა A-5 |
| | | ზომა A-6 |
| | | ზომა A-7 |
| | რვეული / წიგნი | ზომა Λ-2 |
| | | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | | ზომა A-5 |
| | | ზომა A-6 |
| | | ზომა Λ-7 |
| | ბროშურა | ზომა A-2 |
| | | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | | ზომა Λ-5 |
| | | ზომა A-6 |
| | | ზომა A-7 |
| | ინსტრუქციები, | ზომა A-4 |
| | | ზომა A-5 |
| | | ზომა A-6 |
| | | ზომა A-7 |
| | ტარიფები | ზომა A-4 |
| | | ზომა A-5 |
| | პოლისი | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | | ზომა A-5 |
| | ბარათი (სავიზიტი, მისალოცი) | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | | ზომა A-7 |
| | მიმართვის ბლანკი | ზომა A-4 |
| საბლანკო უზრუნველყოფა | რუქა, პლაკატი | ზომა A-1 |
| | | ზომა A-2 |
| | | ზომა A-3 |
| | | ზომა A-4 |
| | მაგიდის გადასაფურცლი კალენდარი | სტანდარტული |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>